ISSN 0130—1624

619/
1988/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრეგატი

ფილატელია
№ 12 1988





ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეთორმეტე სესიამ განიხილა საკითხები: 1. სახელმწიფო მშენებლობის დარგში პოლიტიკური რეფორმის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ; 2. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ.

სესიაზე მოხსენებით სახელმწიფო მშენებლობის დარგში პოლიტიკური რეფორმის განხორციელების ღონისძიებათა შესახებ გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი.

სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს,

საქართველოს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა დიდი გულისტკივილით აღიქვეს სტიქიური უბედურების ამბავი, რომელიც თავს დაატყდა მოძმე სომხეთს და გამოიწვია მსხვერპლი და დიდი ნგრევა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს და გულწრფელად თანაუგრძნობენ ყველა დაზარალებულს.

ამ ძნელბედობის ჟამს თქვენთვის, ძვირფასო მეგობრებო, საგანგებო დახმარების გასაწევად გამოგზავნილია სპეციალური ბრიგადები. სომხეთის მიმდებარე რაიონების მცხოვრებლებმა უკვე მიიღეს დაზარალებულები და უწევენ მათ პირველ დახმარებას.

საქართველოს შრომითი კოლექტივები, საწარმოები და ორგანიზაციები, მთელი მოსახლეობა გამოთქვამენ მზადყოფნას ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მოძმე სომეხ ხალხს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ 7 დეკემბერს სომხეთის მთელ რიგ ჩრდილოეთ რაიონებში მომხდარი ნგრევისა და მსხვერპლის გამომწვევი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს, ნათესავებსა და ახლობლებს და ყველა დაზარალებულს.

მთავრობის კომისიას, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს სომხეთის სსრ რესპუბლიკურ ორგანოებთან ერთად დაევალათ მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა სასწრაფოდ აღმოფხვრან მიწისძვრის შედეგები და დახმარება გაუწიონ დაზარალებულთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს სომხეთის სსრ ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

ეს-ეს არის შევიტყვე იმ დიდი უბედურების ამბავი, რომელიც თავს დაატყდა რესპუბლიკის ხალხს.

შემატყობინეს, რომ მოხდა არნახული ძალის მიწისძვრა, რომელმაც გამოიწვია ტრაგიკული შედეგები — მრავალი ადამიანის დაღუპვა.

მეც, და აქ ჩემთან ერთად მყოფი სსრ კავშირის ყველა წარმომადგენელი სულის სიღრმემდე შეგვძრა ამ მძიმე გრძნობამ.

სომხეთის ხალხისათვის ამ ძნელ ჟამს მინდა გამოგიცხადოთ უღრმესი თანაგრძნობა და სამძიმარი ვუთხრა ოჯახებს, რომლებმაც თავიანთი ახლობლები დაკარგეს.

ეს-ეს არის, ველაპარაკე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით შეიქმნა მთავრობის კომისია მისი ხელმძღვანელობით, რომელიც უკვე შეუდგა სასწრაფო პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას, უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანებისათვის მთელი საჭირო დახმარების აღმოსაჩენად.

ძვირფასო ამხანაგებო! შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ამ განსაცდელის ჟამს მთელი ქვეყანა თქვენთან ერთად არის.

მ. ს. გორბაჩოვი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 12 (624), დეკემბერი, 1988

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

ჯემალ მეხრიშვილი. სამუშაო ყველას გარანტირებული ექნება.

ია გარათელი. ერთი ზაფხულის „იდილია“...

გიორგი გოჩიტაშვილი. ექიმი უგნიდან დაბრუნდა.

კარლო კოგბერიძე. ტრაფარეტი.

სარგის ცაიშვილი. პოეტური იადგარი.

უშანგი გედია. ჩვენი ეროვნული პარკი.

გივი გამრეკელი. საჭადრაკო ტახტრევანი ისევ მაიასია.

კირა კვეიძე. ალექსანდრე ჭუთათელი.

ნუგზარ აფხაზავა. პარალელები.

გივი გუთხუზი. მთვარიან ღამეს.

გურამ მაისურაძე. ახალი ცნობები გარისის შესახებ.

ჯურხა ნადირაძე. საირხე — საქართველოს უძველესი ქალაქი.

გაბრიელ გარჯაძე. ჩემპიონი კვლავ ჩემპიონია.

ანდრე ცისკარიძე. სამრეწველო ჯაშუშობა.

არნოლდ გეგეჭკორი. ნიანგები პაკანამის ხეობაში.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1988 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინქლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ფურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი.

ეროვ. სსრ კ. ბიბლიოთ. სა. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

საეუაო ყველას გარანტირებული ეჭნეგა

საჯაროობისა და დემოკრატიის შემდგომი გაღრმავების პროცესმა ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნას. სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებმა სასიკეთო ზეგავლენა მოახდინა პოლიტიკური რეფორმის გატარებასა და სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის ხასიათსა და მიმართულებაზე. დღეს ჭეშმარიტად ყველა და ყველაფერი გარდაქმნის საჭიროებას, მოთხოვნილებებსა და ლოგიკას უნდა დაემორჩილოს.

რთული, სწრაფი და მასშტაბური ძვრები ხდება სოფლად. საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი **დავით სარიშვილი** სწორედ ამ ძვრებსა და სიახლეებზე ესაუბრება ჩვენს კორესპონდენტს **ჯემალ მეხრიშვილს.**

კითხვა: როგორ გესახებათ პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ფუნქცია XIX პარტიული კონფერენციის მიერ დასახული ახალი პოლიტიკური რეფორმის გატარებისას?

პასუხი: იგი ძირითადად მესახება როგორც პარტიული და საბჭოთა ორგანოების უშუალო გამმიჯვნელისა და კოორდინატორის ფუნქცია. აქ, როგორც ეს პარტიულ კონფერენციაზე ითქვა, პრინციპული მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების უფლებამოსილებათა სწორ განაწილებას პოლიტიკური სისტემის რგოლებს შორის.

კითხვა: გარდაქმნის პროცესში რა შეიცვალა, ან რა სიახლეა მოსალოდნელი პარტიის რაიკომის მუშაობის სტილსა და მეთოდებში, საერთოდ, რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში?

პასუხი: ჩვენი რაიონის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული პრინციპების გათვალისწინებით შევიმუშავეთ და ზემდგომ ორგანოებში განსახილველად წარვადგინეთ პარტიის რაიკომის ახალი სტრუქტურის პროექტი. ამ სიახლეზე მსჯელობა სხვადასხვა მოსაზრებით ჯვრჯერობით საჭიროდ არ მიმაჩნია და უფრო დაწვრილებით მაშინ ვილაპრაკოთ, თუკი ჩვენი თვალსაზრისი მხარდაჭერას იპოვის და პრაქტიკულად შევუდგებით მის განხორციელებას. რაც შეეხება რაიონის პარტიულ ორგანიზაციას, აქაც გვაქვს სიახლე და არცთუ უმნიშვნელო. რაღა დასამალია და, წლების განმავლობაში პირველად პარტიულ ორგანიზაციებში აშკარად მოიკიდა ფეხი უძრაობის ელემენტებმა, ფორმალიზმმა, ზერელობამ. ზოგიერთი მათგანის მცირერიცხოვნებისა და უმეტეს კომუნისტთა ხანდაზმულობის გამო, საგრძნობლად დაქვეითდა მათი ბრძოლისუნარიანობა, კომუნისტთა ავანგარდული როლი და შემოქმედებითი ინიციატივა. აქედან გამომდინარე, სოფლად განლაგებული პარტიული ორგანიზაციების როლის ასამაღლებლად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ თითოეული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შეიქმნას გაერთიანებული **სასოფლო პარტიული კომიტეტი,** რომელშიც პირველადის უფლებით შევლენ იქ არსებული პარტიული ორგანიზაციები. ამ პრინციპის მიხედვით ჩვენს რაიონში შესაძლებელია შეიქმნას 18 სასოფლო და ერთი რკინიგზის კვანძის პარტიული კომიტეტი. ასეთი სტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა, რომ კომიტეტის მდივნებად ავირჩიოთ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები.

კითხვა: ჩვენს ქვეყანაში მოქმედ კოოპერატივებზე ხელმძღვანელთა გარკვეულ ნაწილს ორნაირი შეხედულება ჩამოუყალიბდა: ერთი — ოფიციალური, ფრთხილი და მხოლოდ პრესისათვის გამიზნული, მეორე — პირველის საპირისპირო, მკაცრი და კრიტიკული, მაგრამ მხოლოდ ვიწრო და სანდო წრეში გასაზიარებელი. როგორია თქვენი აზრი?

პასუხი: ამ საგანზე მე მხოლოდ ერთი აზრი გამაჩნია და სწორედ იმას გავუზიარებ მკითხველს. ჩვენი წყობილებისათვის კოოპერაცია არც ახალია და თან ახალიცაა. ანდა შეიძლება ასეც ჩამოვაყალიბოთ: ჩვენი სისტემისთვის ის არ შეიძლება ახალ მოვლენად მივიჩნიოთ, ვინაიდან ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კოოპერაციის განვითარებას და ოციან წლებში ქვეყანაში მართლაც მოქმედებდა ათიათასობით კოოპერატივი. ხოლო, რაც შეეხება ახალ თაობებს, იმათ, ვინც დღეს უშუალოდ ჩაება კოოპერაციულ მოძრაობაში, მათ ამ მხრივ რაიმე ხელშესახები გამოცდილება არ გააჩნიათ და ამიტომ მათთვის კოოპერაციული მოძრაობა შეიძლება ჩაითვალოს ახალ ხილად, ეკონომიკურ და სოციალურ სასინჯ ქვად.

ოციან წლებში ჩასახულმა კოოპერაციულმა მოძრაობამ თუ რატომ ვერ პოვა ფართო გაქანება და როგორ ჩაკვდა, ეს მკითხველებმაც კარგად იციან და, რაკი ეს საკმაოდ რთული და მრავალპლანიანი საკითხია, აქ აღარ ღირს მასზე სიტყვის გაგრძელება. მხოლოდ ვიტყვი კი, რომ გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში კოოპერაციული მოძრაობის ჩასახვა და განვითარება დიდ მოვლენად მიმაჩნია და მჯერა, რომ იგი უეჭველად მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის გაღონიერებაში. თუმცა აქ უეჭველად ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ეჭვის თვალით უყურებს ახლადშექმნილ კოოპერატივებს. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ მათი გულისწყრომა გასაგებია, ვინაიდან კოოპერაციული მოძრაობის განვითარებისას ზოგან თავი იჩინა აჩქარებამ, გაუგებრობამ, არცთუ იშვიათად საქმე გვაქვს საკითხის ვულგარიზაციასა თუ სხვა სახის დარღვევებთან. მაგრამ რას ვიზამთ, ყოველგვარი სიახლე და გაბედული ნაბიჯი არასოდეს არ არის დაზღვეული ამგვარი ნაკლოვანებებისაგან. მაგრამ აქ განსაკუთრებით უნდა გავაშუქო ერთი მომენტი. ჩვენ შეცდომა არ უნდა მოგვივიდეს და დღევანდელ ეტაპზე კოოპერაციულ მოძრაობაში შენიშნული ესა თუ ის ნაკლი თვით კოოპერაციის ბუნებაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ იმაში, როგორც ეს ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა შენიშნა წელს, 12 სექტემბერს ქალაქ კრასნოიარსკის მშრომელებთან შეხვედრისას, რომ კოოპერაციულმა მოძრაობამ ჩვენში ჯერ კიდევ ვერ პოვა ფართო გაქანება, მათი რიცხვი მცირეა და ამდენად მათ შორის ჯერ ხეირიანად ვერ გაშლილა სოციალისტური კონკურენცია და შეჯიბრი, რაც უფრო სტაბილურსა და სასურველს გახდიდა მათ მუშაობას, ფასწარმოქმნას, მომსახურების დონეს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ გურჯაანის რაიონში? ჩვენ ყოველმხრივ მხარს ვუჭერთ კოოპერატივის შექმნის მსურველებს. დღეისთვის ფუნქციონირებს 33 კოოპერატივი. აქედან 20 მომსახურებისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოების სფეროში მუშაობს. რაკი სიტყვამ მოიტანა, ცოტა ვრცლად შევეხები ერთ-ერთ მათგანს — „გურჯაანს“, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის კოოპერატივს, რომელიც 1988 წლის 27 მაისიდან მოქმედებს. რას აკეთებს ეს კოოპერატივი? იგი ამუშავებს საზოგადოებრივი მეურნეობების საავტომობილო-სატრაქტორო პარკების შიდასამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის ტექნიკურ პროექტებს, ასევე აპროექტებენ იჯარებს. მაგალითად, შეიმუშავეს ბაკურციხის მეცხოველეობის გაერთიანების ფერმების, ველისციხის, ბაკურციხის და ჩალაუბნის საზოგადოებრივ მეურნეობათა შიდასადისპეტჩერო სამსახურების ტექნიკური პროექტები. მათ შეკვეთის საფუძველზე შეუძლიათ, უზრუნველყონ რაიონის სახალხო მეურნეობის დარგების ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემა, ასევე აწ-

ყობენ ტექნიკურ კუთხეებს და სხვადასხვა სახის და დანიშნულების კაბინეტებს, უჩვენებენ ტექნიკურ-პოპულარულ ფილმებს. ამას წინათ ჩალაუბნის ტექნიკური თვითმოქმედების ბრიგადასთან ერთად დაამთავრეს ლობიოს ასაღები და გასალეწი ავტომატური მოწყობილობის კომპლექსი.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამგვარი კოოპერატივი თურმე ჰაერივით ესაჭიროებოდა რაიონს. და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან აგერ, მაგალითად, არიან მსურველები, შექმნან საარენდო ჯგუფი, მაგრამ გამოუცდელობის გამო ვერ შეუდგენიათ პროექტი (არ იციან, საიდან რა გამოვა, ალალბედზე ნაბიჯის გადადგმა კი არავის უნდა). ამიტომ ასეთი კოოპერატივი სწორედ რომ მისწრებაა რაიონისთვის, რამდენიმე თვეში კოოპერატივმა უკვე 95 ათასი მანეთის შეკვეთები მიიღო და საქმეს ვერ აუდის.

კითხვა: გარდაქმნისა და ხაჯაროობის პროცესმა რა გავლენა იქონია რაიონის სამეურნეო მაჩვენებლებზე?

პასუხი: სასიკეთო და ცხოველმყოფელი! ბოლო წლებში მკვეთრად იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რამაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მოგება, რენტაბელობა, ფონდუკუგება. მაგალითად, თუ რაიონის სოფლის მეურნეობაში პროდუქციის რეალიზაციიდან წინა ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მიღებული იყო 17,7 მილიონი მანეთი მოგება, 1986-87 წლებში ამ ციფრმა 22 მილიონს გადააჭარბა, ანუ თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს მევენახეობა წარმოადგენს. რაიონში ვენახების საერთო ფართობი ამჟამად 11 570 ჰექტარია, საიდანაც მოსავლიანია 9 766 ჰექტარი. მიუხედავად იმისა, რომ ხუთწლედის განვლილი პერიოდი მევენახეთათვისაც არახელსაყრელი კლიმატური პირობებით ხასიათდებოდა, მაინც შევძელით, კვლავ გაგვეზარდა ყურძნის როგორც წარმოება, ისე საშუალო მოსავლიანობა. წელს, მაგალითად, ვაწარმოეთ 79.250 ტონა ყურძენი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ წლების მანძილზე მოვიკოჭლებდით ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოებაში. მაგალითად, წინა, 1986-87 წლებში, მარცვლეულის წარმოების გეგმას დავაკელით 3032 ტონა. წელს კი მარტო საშემოდგომო ნათესიდან გეგმიური 12 323 ტონის ნაცვლად ვაწარმოეთ 12 900 ტონამდე მარცვლეული.

რაიონის მშრომელებს განსაკუთრებით ახარებს წარმატებები მეცხოველეობაში, რაშიც, თუ გულწრფელად ვიტყვით, წლების მანძილზე მოვისუსტებდით, მაგრამ მიმდინარე ხუთწლედში მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა: იზრდება პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა, მცირდება ხორცის, რძისა და კვერცხის თვითღირებულება, კლებულობს იძულებითი დაკვლა და დაცემა. 1985 წლის შემდეგ წველადობა ერთ ფურზე საშუალოდ 498 კილოგრამით გაიზარდა და გადააჭარბა 1400 კილოგრამს. ამჟამად რაიონის მეცხოველეები ერთი ფურიდან საშუალოდ 2500 კილოგრამი რძის მიღებისათვის იბრძვიან. აქ, ალბათ, ასევე ანგარიშშია ჩასაგდები პროდუქციის თვითღირებულება: თუ 1985 წელს ცენტნერი რძის წარმოება 62 მანეთი გვიჯდებოდა, ამ ციფრმა 1986 და 1987 წლებში შესაბამისად ასეთი სახე მიიღო — 57,38 მანეთი. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა ხორცისა და კვერცხის წარმოებაშიც.

ხორცის წარმოების გადიდების მიზნით აღვადგინეთ მეკამეჩეობის დარგი — აზერბაიჯანიდან და ბულგარეთიდან შემოვიყვანეთ 424 სული კამეჩი, რითაც საერთო სულადობა 734-მდე გავზარდეთ.

კითხვა: მოდით, ამ წარმატებებს მოსახლეობის სოციალური პრობლემების გაუმჯობესების საჭიროების კუთხიდან შევხედოთ. რა კეთდება ამ მხრივ?

პასუხი: წინა წლების გამოდევნება ძალიან შორს წაგვიყვანს და ბევრ დროს დაგვაკარგვინებს. ამიტომ ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე მომხდარ სიახლეებს შევეხები. სწორედ ამ პერიოდში აშენდა გურჯაანის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული შენობა, კულტურის ცენტრი „გურჯაანი“, აშენდა ველისციხის კინოთეატრი, კულტურის სახლები ბაკურციხესა და შრომაში, კლუბი — კოლაგში, იოსებ ნონეშვილის სახლმუზეუმი კარდენახში, ივანე ბერიტაშვილის სახლ-მუზეუმი ჯინში. ასევე ამოქმედდა ახალი ჰიგიენის სახლი და წყალსადენი შაშიანში, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ქალაქის ცენტრალურ სტადიონს და მშრომელთა კულტურისა და დასვენების პარკს.

მიმდინარეობს ზიარის ზღვის მშენებლობა, რომლის შემოგარენიც საკურორტო ზონად გადაიქცევა. აქ უკვე დავიწყეთ 300 ჰექტარი ტყე-პარკის გაკულტურება. აქვე აშენდება ახალი ჰიგიენის სახლი. ამავე ზონაში აღორძინდება ძველად მეცხოველეობით განთქმული სოფლები — ზიარი და ფხოველი.

გარდა ამისა, ქალაქ გურჯაანში შენდება ცხრასართულიანი სასტუმრო, კავშირგაბმულობისა და წიგნის სახლები, საშუალო სკოლები, სავაჭრო ცენტრები ჩუმლაყსა და ვაზისუბანში. რაც აქ ჩამოვთვალე, ეს მაინც არ არის რაიონის ახალმშენებლობათა სრული სია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გურჯაანელი მშრომელები იმაზე მეტს იმსახურებენ, რაც ამჟამად რაიონის სოციალური განვითარებისათვის კეთდება.

კითხვა: როგორ ინერგება თქვენთან იჯარული შრომის ფორმები?

პასუხი: 1987 წლის ბოლოსათვის აგროსამრეწველო კომპლექსში იჯარით მუშაობდა 313 საბრიგადო ქვედანაყოფი, 99 რგოლი და ოჯახური იჯარა. აი, მაგალითად, ჩუმლაყის კოლმეურნეობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მედიკო აკოფაშვილის ოჯახმა შარშან გაიპიროვნა ხუთი ჰექტარი ვენახი, საიდანაც გეგმიური 42 ტონის ნაცვლად 70 ტონა ყურძენი მოიწიეს და ამ ოჯახის სუფთა შემოსავალმა 17 ათას მანეთს გადააჭარბა.

ამჟამად რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის 348 ქვედანაყოფში, ბრიგადასა და ფერმაში ყველგან 100 პროცენტითაა დანერგილი ბრიგადული იჯარა. ამას გარდა, იჯარით მუშაობს 121 რგოლი, 800 ოჯახი და 9 ინდივიდი.

რაიონში თანდათან ძალას იკრებს საოჯახო იჯარა. წელს, სექტემბერში, მეცხოველეობაში, მემინდვრეობასა და საკვებწარმოებაში შეიქმნა 16 საიჯარო ჯგუფი. კარგი თაოსნობა გამოიჩინა ჭანდრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ ა. სიმონიშვილმა, რომელმაც 23-კაციანი მეცხოველეთა იჯარული ჯგუფი შეკრა და ხელშეკრულება 1995 წლამდე გააფორმა. ამ იჯარულმა ჯგუფმა მეცხოველეობიდან 30 კაცზე მეტი გამოათავისუფლა. ასევე სამაგალითოა მელაანის კოლმეურნეობის ყოფილი ინჟინერ-მექანიზატორი შოთა იმერლიშვილი. მათ კოლმეურნეობიდან 2000 წლამდე გაიპიროვენს 605 ჰექტარი სახნავ-სათესი და გამოათავისუფლეს 25 კაცი...

კითხვა: ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ აქ საჭიროა დავინახოთ მედლის მეორე მხარეც. რა გამოდის? ერთი მუჭა არენდატორები ბარაქიანად იზომავენ ასობით ჰექტარ სახნავ-სათესს, სახელმწიფო შეკვეთის გეგმებსაც ასრულებენ და ათიათასობით მანეთის მოგებასაც ნახულობენ, მაგრამ რაღა ქნან იმ გამოთავისუფლებულმა მშრომელებმა, ვინც თავისი უძრავ-მოძრავი ქონება თავის დროზე არტელში გააერთიანეს, უმუშევრად დარჩენა ხომ არ ემუქრებათ? თუ მიწა, პირუტყვი და წარმოების საშუალებები ერთი მუჭა არენდატორების ხელში აღმოჩნდება, ეს ხელს ხომ არ შეუწყობს სოფლის მოსახლეობის ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ფენებად დაყოფას?

პასუხი: არავითარ შემთხვევაში — სამუშაო ყველას გარანტირებული ექნება! პირიქით, ჩვენი დიდი და მრავალდარგოვანი რაიონი ტრადიციულად ყოველთვის განიცდიდა და ამჟამადაც განიცდის კადრებისა და მუშახელის ნაკლებობას. მართალია, არენდული მოძრაობა საკმაო რაოდენობის ხალხს გამოგვითავისუფლებს ამა თუ იმ დარგიდან, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იქნება იმასთან შედარებით, რაც ჩვენ მუშახელი დაგვჭირდება საერთოდ და განსაკუთრებით კი მევენახეობაში, მომსახურების სფეროში. ამასაც რომ თავი დავანებოთ, რაიონი უკვე სამრეწველო რელსებზეა გადასული და მუშახელის აშკარა უკმარისობას განვიცდით. მალე ამოქმედდება მცირე სიმძლავრის მოტორების გამომშვები ელექტრომანქანების ქარხნის მეორე ხაზი, სადაც დაახლოებით ათას კაცამდე დაგვჭირდება. საიდან მოვიყვანოთ ამდენი მუშა?! ასე რომ, არენდულ მოძრაობას ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად ეს დადებითი თვისებაც ახასიათებს — თავის რიგებში ვერ იომენს ნახევრადდასაქმებულ და ზედმეტ წევრს, ეძებს რეზერვებსა და უფრო აქტიური შრომის ასპარეზზე გამოჰყავს თითოეული მოქალაქე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ზაფხულის „იდილია“

ანუ

რატომ გაურბიან ახალგაზრდები სოფელს

ბადაწყდა. დღეს გავდივარ ქალაქიდან. ხვალიდან სუფთა ჰაერს ვისუნთქავ. თბილისის ბუღსა და უჟანგბადობას ცოტა ხანს მაინც გავეცლები...

მატარებელი თერთმეტის ოც წუთზე გადის. შინ გული აღარ მიდგება. ხუმრობა ხომ არ არის. ის წამება რომ გამახსენდება, ბილეთის შოვნას რომ დასჭირდა, გული შიშით მიცემს, არ დამაგვიანდეს, მატარებელი მე ხომ არ დამიცდის.

ცხრა საათზე უკვე სადგურში ვარ და ჩემს თავს ვამაგრებ, ცოტაც მოითმინე ეს სიცხე და მალე ყველაფერი შეიცვლება-მეთქი.

ზოზინით იწევს წინ საათის ისარი, მეც წუთი საუკუნედ მეჩვენება, მაგრამ ვის დავაბრალებ. ჩემი მოუთმენლობა რომ არა, ახლაც რომ გამოვსულიყავი სახლიდან, თავისუფლად მოვასწრებდი.

ხალხროებთან ისევ დიდი რიგია. ვიღაც ამაოდ აბრახუნებს ცნობათა ბიუროს ერთ ფანჯარაზე, მერე მეორეზე. ამ დროს კიდევ ათიოდე კაცი გროვდება ცნობათა ბიუროს წინ და ამაოდ ელის სასურველ ცნობას... ახია თქვენზე, ადრევე უნდა მოგეგვარებინათ ყველაფერი, ჩემსავით ხუთი დღე მაინც უნდა გერბინათ, ახლა ხომ მშვიდად იქნებოდით-მეთქი, ვიცინი გულში და არხეინად განვაგრძობ ლოდინს.

როგორც იქნა, გახდა ათის ნახევარი. საცაა ათიც შესრულდება. მოუსვენრობა მიპყრობს და გულმოდგინედ ვისმენ სადგურის დიქტორის ხმას.

უკვე თერთმეტის ათი წუთია. მივდექ-მოვდექი, მოვნახე ფოთის მატარებლის მგზავრები. ისინიც შფოთავენ. ერთმანეთის იმედით ერთხანს კიდევ ვიცდით, მაგრამ თერთმეტის ნახევარზე ნერვები გვღალატობს და ყველანი მესამე ბაქნის შესასვლელთან ვიყრით თავს იმ იმედით, რომ როგორც გამოაცხადებენ, ერთმანეთზე გადავალთ და მივასწრებთ, თორემ ვინ იცის, დაგვიანებული მატარებელი რამდენ ხანს დადგება ბაქანზე...

ლოდინით ილაჯგაწყვეტილები მალე მესამე ბაქანზე გავდივართ და თან შიში გვზაფრავს, ვაითუ, პირველ ან მეოთხე ლიანდაგზე ჩამოდგეს მატარებელი. მოვასწრებთ?

ვდგავართ ათი წუთი, ოცი, ოცდაათი.

აი დიქტორის ნანატრი ხმაც როგორც არის გვაუწყებს, რომ დასავლეთისკენ მიმავალ მატარებლებს აგვიანდებათ გასვლა...

— თქვე დალოცვილებო, თავის დროზე გამოგეცხადებინათ, — თავს ვერ იკავებს მაღალი, გამხდარი კაცი და გაზეთს ნერვიულად შლის.

ნეტავ, რას ხედავს ამ ხიბნელეში, — ვფიქრობ ჩემთვის.

თხუთმეტი წუთიც და სახიხარულო ცნობა მივიღეთ: გაურკვეველი დროის შემდეგ ფოთის მატარებელი მესამე ლიანდაგზე ჩამოდგებაო. სიხარულის ამოძახილმა უცბად გადაირბინა თავიდან ბოლომდე.

რა გვიხაროდა? გასაქცევი რომ არ ვიყავით და სადაც ვიდექით, იქ მოვიდოდა მატარებელი... როცა იქნებოდა, ხომ მოვიდოდა...

გვერდით ბავშვიანი ქალი თავის გამცილებელს რაც შეიძლება მშვიდად ესაუბრება და მორიდებით სთხოვს, შინ წავიდეს.

— ახლა აღარაფერი მიჭირს. მატარებელი აქ ჩამოდგება, — ეუბნება წამდაუწუმ. გამცილებელს აშკარად ეტყობა, აქ დგომას ყველაფერი ურჩევნია, მაგრამ ზრდილობისათვის ერთხანს კიდევ იცდის, მერე ისიც მიდის.

— ესაა მაგათი გარდაქმნა? — ისმის აქეთ-იქიდან.

გადის კიდევ ნახევარი საათი.

...ასეა, ცუდი თუ არ ნახე, კარგს ვერ დააფასებ. ამიტომ ვაგონში ფეხი რომ ავდგეთ, თავისუფლად ამოვისუნთქეთ ყველამ. რა ბედენაა, თუ სამოთხი საათით დავიგვიანებთ. ყველაფერი ხდება ამქვეყნად.

— ხანძარი ყოფილა სადღაც, — ვიღაც ამბობს ისეთი ტონით, თითქოს ეს ხანძარი აუცილებელი მოვლენა იყო და ვიღაცის უნიათობასა თუ გაუფრთხილებლობას არ მოჰყოლოდა.

რაც არის, არის. თანდათან ვლაგდებით. ვეგუებით სულისშემბუთველ სიცხეს. ვუცდით მატარებლის გასვლას.

ახლა უკვე წამდაუწუმ ისმის დიქტორის ხმა, რომელიც ბოდიშს უხდის მგზავრებს დაგვიანებისათვის.

როგორც იქნა, დავიძარით. კუპეში ორი ხანში-შესული ქალია. მათ თერთმეტიოდე წლის გოგონა ახლავთ. ის-ის არის ჩემს ადგილზე ასვლა გადავწყვიტე, მაგრამ ჯერ გოგონას ვუშვებ. ვატყობ, დაღლილია, თვალები თავისით ეხუჭება. დგება ქვედა საწოლზე, ფრთხილად ადგამს ფეხს მაგიდის ძგიდეს და ის არის, უნდა აიწიოს ზემოთ, რომ მაგიდა ორად იხსნება, გოგონა ქვემოთ ვარდება და მსხვილ-მსხვილი, შეშინებული ყვავისფერი ტარაკანები აქეთ-იქით იშლებიან.

ხმაურზე ხალხი შემოცვივდა.

— მაგიდაზე როგორ შეიძლება ფეხის დადგმა, — თავის აზრს გამოთქვამს ერთი.

— მაშ, რა ქნას, აფრინდეს? მაშინ კიბე უნდა იყოს! — ეპასუხება მეორე.

გოგონა ზლაზვნით დგება. ეტყობა, გადარჩა... ერთობლივი ძალით ვსვამთ მას ზედა საწოლზე.

— თქვენც აგსვამთ, — მთავაზობს ვიღაცა.

მე შორს ვიჭერ და გარეთ გამოვდივარ.

— ეს კუპე თავისით მაგრად იკეტება. არ შეგეშინდეთ, მოვალ და გარედან გავაღებ, — გვაფრთხილებს გამყოლი....

— ხელით დავიჭერ, ვაითუ ვერ გაგაგონოთ, — საცოდავად ამბობს ქალი და თვალებში შიში უჩნდება.

— მე ამაღამ არ ვწვები, ქალბატონო, მშვიდად იძინეთ, — ვეუბნები.

— ძალიანაც რომ გინდოდეს, როგორღა ახვალ ზემოთ,— მესმის დამცინავი ხმა მეზობელი კუპედან.

ცოცხალ-მკვდარი მივედი სოფელში.

— რაღა შენ დაგემართა ასეთი ამბავი, — მეუბნება მასპინძელი და საჩქაროდ მიგებს ლოგინს, მაგრამ რა დამაძინებს.

— ეს რა ბუნებაა, ეს რა ეზო გქონიათ, ამ სამოთხეს მიატოვებს კაცი და ქალაქში იცხოვრებს? — ვამბობ და მავიწყდება ყველაფერი, რაც გზაზე გადამხდა.

პირველი საღამო ასე გავატარე. ღამეც მკვდარივით მეძინა. დილით თვალი გავახილე, უსიამოვნოდ ჩამესმა ყურში დიასახლისის ხმა:

— წადი, დათო, პური არ გთავდეს მაღაზიაში.

— აუ, რა წავა ახლა იქ.

— აბა, რა უნდა ვქნათ, სირცხვილია, — ხმას დაუწევ ვენერამ.

საჩქაროდ გადავიცვი კაბა, თმა გადავივარცხნე და რაც შემეძლო მხიარულად ვუთხარი ჩემს მასპინძლებს:

— მე წავალ რა, პურის მოსატანად!

— ჰმ, ჩაიცინა დათომ, — შენ ალბათ თავი თბილისში გგონია. ეგერ, ჰე, ჩაირბენ მაღაზიაში და ამოარბენინებ წამში. იქით-აქეთ სამი კილომეტრი მაინც უნდა გაიარო ფეხით.

მეც ეგ მინდა, ფეხით სიარულს რა სჯობიაშეთქი, — იხტიბარი არ გავიტეხე. გადაწყდა: დათოს მეც უნდა გავყოლოდი, მაღაზიის გზა უნდა მესწავლა.

მივდივართ. გზა აღარ თავდება. ღორღზე წამდაუწუმ მიცურდება ფეხი, სიცხე ტვინს ბურღავს.

როგორც იქნა, მივედით. ცარიელი თაროები რომ დავინახე, გული გამისკდა. დათოსაც ფერ-ფური დაეკარგა.

ხალხი ყვავს.

— მოვა? — ვკითხულობთ.

— არ ვიცი, — მშვიდად იძლევა პასუხს გამყიდველი.

— შანსი გეძლევა, კიდევ თუ მეტი არა, სამი კილომეტრის გავლისა, — ვითომ ხუმრობით მეუბნება დათო და თან მამშვიდებს:

— ნუ გეშინია, თუ იქაც არ იყო, იმის იქით ფეხით ველარ წავალთ, ავტობუსს უნდა დავუცადოთ. თუ ყოჩაღად მოვიქეცით, შუადღემდე მივალთ შინ.

იმ დღით სოფელში მოვიდა პური. დახარბებულებმა იმდენი ავიკიდეთ, შინ ძლივს მივედით.

ეს კიდევ არაფერი. მეორე დღეს პამიდვრის, ხორცისა და მწვანილის პრობლემამ შეაწუხა ოჯახი. ვიკითხე, აბა, რა სოფელია, თუ ვერაფერს ვიშოვით-მეთქი.

— პამიდორი შეიძლება ვიშოვოთ. მწვანილი ახლო-მახლო არავის არა აქვს. ხორცზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია! — ამიხსნეს.

— ბაზარი?

— ბაზარი შაბათს გეგეჭკორში, კვირას ბანძაში. — ეგ არის და ეგ, მთელი კვირა აღარაფრის იმედი არ უნდა გქონდეს, ცხაკაიაში თუ არ წახვედი. ცხაკაიაში წასვლა-წამოსვლას ჩვენს პირობებში ერთი დღე მაინც უნდა.

— ამისთვისაა საჭირო მსუბუქი ავტომანქანა, — გაკაპასდა ვენერა.

ვატყობ, დავა სულ სხვა ხასიათს იღებს. მშვიდობა მინდა ჩამოვაგდო და მოჩვენებითი აღტაცებით ვამბობ:

— წავიდეთ ცხაკაიაში, ამბობენ მაღაზიებში ყველაფერი იშოვებაო.

— ცხაკაიას ნუ გამახსენებ, ისტერიულად ყვირის ვენერა. — ვიყავით, ბატონო. წყალდიდობამ მოგვისწრო, ძლივს გადავრჩით დახრჩობას — გულუების ოჯახმა შეგვიფარა. მაინც რა ხალხი იყო, ჰა! თვითონ მთელი ქვედა სართული დატბორილი ჰქონდათ. წლობით მონაგარი წყალს მიჰქონდა და ჩვენ მაინც შემოგვაქეროდნენ თვალებში. ახლაც ყურში მიდგას ავადმყოფი მოხუცი ქალის მოთქმა:

— როგორ დაგღუპე, შვილო, სად დაგასახლე. მაგრამ რა ვიცოდი, მე უბედურმა, ჩვენი სახლი ყველაზე მაღალზე იდგა. არასოდეს არ ჩერდებოდა წყალი აქ. ჩაყარეს მილები — აამაღლეს მიწა, დააგეს ასფალტი — ისევ აამაღლეს. მერე კიდევ ვიღაცამ რაღაც მოიფიქრა. გათხარეს, გამოთხარეს, და ასე დაუსრულებლივ. სადაც თხრილები იყო, ნაგვით ამოავსეს. წყალს გზა აღარა აქვს...

— წყალდიდობა სტიქიაა, გენაცვალე, — მაგას ვერსად გაექცევი. აქ რომ მოხვედი, ღელე და ტბა არ გედგა ეზოში? რა ცხაკაიას წყალი აიჩემე მაინცდამაინც, — უკვე მოთმინება დაეკარგა დათოს.

— კაცო, ადრე წვიმა არ მოდიოდა?

— როგორ არა, მოდიოდა!

— აბა, იმ დალოცვილმა წინაპრებმა რა ხაიდუმლო იცოდნენ ასეთი. ახლა ყველას პირზე სტიქია რომ აკერია, მაშინ არ იყო ეს სტიქია?

— მაშინ, გენაცვალე, სოფელში ისეთი თხრილებიც გახლდათ, ცხენიანი კაცი დაიმალებოდა შიგ. უფროსებისაგან გამიგონია მე ეს. ეგერ, ე, ჩვენსა და ვალოდიას ეზოს შორისაც კი მთელ სიგრძეზე თხრილი ჩამოდიოდა. როგორც მოდიოდა წყალი, ისე მიდიოდა.

— ახლა?

— ახლა შენ თვითონ არა ხარ მოწმე, იმ დღეს თოხი რომ დავიჭირეთ მე და ჯემალიმ და ავუყევით გზას ეზოების წინ ნაგვით და მიწით ამოვსებული თხრილების გასაწმენდად? ხომ დაინახე, როგორ გამოგვენთო ალალონა? ხელი არ ახლართ მაგ თხრილს, ქალაქელებმა უნდა მასწავლოთ, რა სჭირდება ამასო? სანამ ალიოშა არ ჩაწვებოდა, ოჯახიას, მე ხელსაც არ ვახლებო. ცუდი რამე სანამ მიკადრებია, წადით აქედანო.

— კი მაგრამ, ან საბჭო არ არის ამ სოფელში, ან მეურნეობის დირექტორი ვერ ხედავს, წყალს რომ მიაქვს ყველაფერი?

— უყურე შენ, ვითომ არ იცოდეს. ახლა ექიმიც არ ჭამთხოვო სოფელში და კინოდარბაზი. ქალო, მეურნეობის ღორები გაატანეს წყალს და შენი ტყემლის ხე აწუხებთ? გადამრევ პირდაპირ, — კარი გაიჯახუნა დათომ.

უხერხულ მდგომარეობაში ვარ. მოსიყვარულე და ერთმანეთის პატივისმცემელ ცოლ-ქმარს ველარ ვცნობ.

მაშინ უნდა გენახათ ვენერა, ერთი კვირის სამყოფი სანოვაგე სულ რამდენიმე საათში რომ გაუხდა გადასაყრელი. დენი გამოირთო. წყლით აივსო მაცივარი.... გადასძახეს, გადმოსძახეს ერთმანეთს მეზობლებმა. ქარია და ქარში შუქი ყოველთვის ირთვებაო, ბოლოს ამით დაიმედეს თავი. ახლა ამას აღარაფერი ეშველებაო.

— ასეა თუ ისე, სანამ ჩვენ თვითონ არ წავალთ და კაცს არ წავიყვანთ, ჩამრთველი აღარავინაა, — დაასკვნა ვენერამ, მერე მე შემომიბრუნდა და მითხრა:

— იცი ხოლმე დაყინება. დღე-ღამეში სამ-ოთხ საათსაც რომ არაა შუქი, ახალი ამბავია? მე შენ გეტყვი, ტელეფონით დარეკავ და ვინმე გაგცემს პასუხს.

ეს იყო და ეს. რაღა უნდა მექნა. აღარაფერი ვთქვი. მართალი იყო და რას ვეტყოდი. მხოლოდ თითებზე მალულად გადავთვალე დარჩენილი დღეები და პირში წყალი ჩავიგუბე. თუმცა, ბოლომდე ვერც მოვითმინე და ერთხელ მაინც ამოვღერღე: იქნებ კინოში მაინც მოგვეკლა-მეთქი დრო.

— კინოო?! სად არის კინო. თუ კლუბში რაიმე ფილმს უჩვენებენ, გვიანობამდე ვინ დაიწყებს. უკუნეთ შუა ღამეში სახლში რაღა დაგაბრუნებს?

....მაშინაც არ იყო შუქი, აქეთ გამომგზავრების წინა საღამოს ეზოში ვისხედით. ლამპის მკრთალ ალზე კარგად ვერც კი ვარჩევდი სტუმრის სახეს. მშრომელი კაცი თავის წუხილს უზიარებდა მოკეთეებს:

— რა ვქნა, ბიჭს გული ქალაქისაკენ მიუწევს. უმაღლესი რომ დაამთავრა, კი დაბრუნდა სოფელში, სამსახურიც კი იშოვა დიდი წვალებით. სახლიც ვუყიდე ცალკე, დოჯახდება-მეთქი, მაგრამ... რაიონის ცენტრში მიმავალი ავტობუსი წრეს რომ უვლიდეს სოფელს, როგორც მარშრუტი აქვს, აღარ დაადგებოდა ბიჭს სამსახურში. ხან ახწრებს, ხან ვერა. რა ქნას, ნერვიულობს. ასეც არ იყოს, არ უნდა, ბატონო, ჩემსავით ილაყუნოს პურისათვის დღეში ექვსი კილომეტრი. ახალგაზრდა კაცს სხვანაირი ხელის შეწყობა უნდა. კაცაშვილი არ ფიქრობს ამაზე და ამიტომაა რომ ასე დაცარიელდა სოფელი.

— ვერც გაამტყუნებ, ვერა, — მექანიკურად უქნევს თავს დათო.

ყველას ერთი სული გვაქვს, როდის გათენდება, რომ დროზე გავიდეთ სახლიდან.

მინაწერი: მეგობრების შეშფოთებას არად ჩავაგდებდი: „რას შვრები, რომ გამოგვაჭენე, სოფელში აღარ ჩაგვეხვლებაო“, და უფრო ზუსტ მისამართს მოგცემდით, მაგრამ საქართველოში ბევრი სოფელია ამ დღეში. ბევრგან მიდის ყველაფერი ძველი, მდორე დინებით და არავინ იცის, სანამდე გაგრძელდება ასე. იქნებ დროა, ახალგაზრდობამ თავად მიხედოს თავის საქმეს, თავად იფიქროს თავის მომავალზე, თორემ სხვისმა მომლოდინეობამ აი, სადამდე მიგვიყვანა..

ია გარათელი



ექიმი უანგარო დაბრუნება

ნითელი ჯვრის ემბლემიანი მანქანა მძღოლმა დიდი სამამულო ომის ინვალიდთა რესპუბლიკური ჰოსპიტლის წინ დაამუხრუჭა. მანქანიდან ექიმი ნელი ჭარაქაშვილი გადმოვიდა. დაღლილობა ეტყობოდა, მაგრამ სახეს კმაყოფილების ისეთი სხივი უნათებდა, რომ ადამიანი უთქმელადაც მიხვდებოდა, სადღაც მძიმე ბრძოლა მოუგიაო სიკვდილთან ჭიდილში.

ექიმი უბნიდან დაბრუნდა.

— ალბათ გმოძახებაზე ბრძანდებოდით? — შევეკითხე ქალბატონ ნელის.

— არა, მორიგ შემოვლაზე გახლდით. დედაქალაქის ერთი ახალი უბნის — გლდანის დასახლების პირველ და მეორე მიკრორაიონებში ჩვენი ჰოსპიტალი სამედიცინო-სტაციონარულ დახმარებას ბინაზე უწევს დიდი სამამულო ომის მონაწილე ავადმყოფებს, რომელთაც ჰოსპიტალში წოლა არ შეუძლიათ.

— დღევანდელი შემოვლით კმაყოფილი ბრძანდებით?

— პირველი ჯგუფის ინვალიდი ვართან მინასოვი მოვინახულე. მან მძიმე ტრავმა გადაიტანა — თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა ჰქონდა, რამაც ნარჩენი მოვლენების სახით მეტყველების გაძნელება და მარჯვენა ხელ-ფეხის სისუსტე დაუტოვა. მას არ სჭირდება სადღეღამისო მეთვალყურეობა და ბინაზე ვუტარებთ სტაციონალურ მკურნალობას. მეორე ავადმყოფი ივანე პრიხოდკოა. მას მძიმე ბრძოლა გადაუტანია. მწვავე ინფარქტი და თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლა ჰქონდა. ჰოსპიტლიდან გაწერის შემდეგ სტაციონარულ მკურნალობას ასევე ბინაზე ვუტარებთ.

ქალბატონი ნელი ახლახან დაბრუნებულა ბულგარეთის ქალაქ ალბენადან, სადაც საბჭოთა კავშირის ხუთ სპეციალისტთან ერთად მონაწილეობდა რეფლექსოლოგ თერაპევტთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. ახლა მის მაგიდას ამ კონგრესის სამახსოვრო დიპლომი ამშვენებს.

— იქ მკურნალობის ბევრ ახალ მეთოდს გავეცანი, რომლებსაც თანდათან დავნერგავთ ჩვენს ჰოსპიტალში. კერძოდ, დავიწყებთ რადიკულიტის, კუჭის წყლულის, სამწვერა ნერვის ნევროზისა და სხვა დაავადებების ახლებური მეთოდით მკურნალობას.

ნელი ჭარაქაშვილს 1961 წელს დაუმთავრებია საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტი და დედაქალაქშივე დაუწყია მუშაობა, ხოლო მას შემდეგ, რაც თბილისში დიდი სამამულო ომის ინვალიდთა რესპუბლიკური ჰოსპიტალი გაიხსნა, იგი — ექიმი ნევროპათოლოგი და თერაპევტ-რეფლექსოლოგი პირველი კატეგორიის კაბინეტის გამგედ მუშაობს. 1980 წელს აქ შეიქმნა ნემსოთერაპიის კაბინეტი, სადაც მისი თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით დაინერგა ნემსოთერაპიით მკურნალობის მეთოდები. ასეთი მკურნალობა ძალზე კარგ შედეგებს იძლევა.

სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ვლადიმერ სანიკიძე ჰოსპიტლის დაარსების ორგანიზატორია და დღემდე უცვლელად ხელმძღვანელობს მას. ომგადახდილ მეომართა ეს სამკურნალო დაწესებულება ერთ-ერთი მოწინავეა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ საბჭოთა კავშირში არსებულ ამავე ტიპის ჰოსპიტლებს შორის. ამის დასტურია რამდენიმე საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა.

— მიმდინარე წლის ოქტომბერში ფართოდ აღინიშნება კავკასიის განთავისუფლების 45 წლისთავი, — გვითხრა ჰოსპიტლის უფროსმა. — ამ თარიღს ღირსეულად ხვდება ჰოსპიტალის ორგასაკიანი კოლექტივი. კერძოდ, ვაფართოებთ მარტოხელა მოხუცებისა და შრომისუუნარო მოქალაქეების ბინაზე მკურნალობას. ამ მიზნით საბჭოთა კავშირში ამ პროფილის ჰოსპიტლებს შორის შარშან პირველად აქ დაინერგა ავადმყოფთა სტაციონარული მკურნალობა ბინაზე, რისთვისაც შეიქმნა სამედიცინო დახმარების სპეციალისტ-კონსულტანტთა ბრიგადა, რომელსაც ემსახურება მანქანა სათანადო დიაგნოსტიკური მოწყობილობით.

ომგადახდილ ავადმყოფებს პერსონალურად ამაგრებენ ექიმს, რომელიც მათ ბინაზე უტარებს ლაბორატორიულ გამოკვლევას და ელექტროკარდიოგრამას.

ამ მეთოდით მუშაობის თითქმის ერთი წლის გამოცდილებამ უჩვენა, რომ სამედიცინო მომსახურების ეს ფორმა ძალზე მოსახერხებელია ავადმყოფისათვის. ის აღარ წუხს, თუ ვინ გაუკეთებს ნემსს, ვინ აუღებს სისხლს ანალიზისათვის, ვინ გაუზომავს წნევას და ა. შ. იცის, რომ ყველა ამ ოპერაციის ჩასატარებლად ჰოსპიტლიდან თავის დროზე მიაკითხავენ. ეს მეთოდი ჰოსპიტლისთვისაც მეტად ეკონომიურია, რადგან ავადმყოფის კვებაზე ზრუნვა აღარ სჭირდება.

არის სხვა სიახლეც. ჰოსპიტლიდან გაწერილ ყველა პაციენტს ხელზე ეძლევა ჯანსაღი ცხოვრების წესის [illegible] ტოპანორამა, რომლის ბოლო გვერდზე მოცემულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების პასპორტი, სადაც აღნიშნულია ავადმყოფის ძირითადი დაავადების დიაგნოზი, სისხლის ჯგუფი და ალერგიულობა სამკურნალო პრეპარატების მიმართ.

გავესაუბრეთ ყოფილ მეომრებს, ჰოსპიტლის ბინადარნი რომ ხდებიან დროდადრო და სატელევიზიო ოთახში თავს ირთობენ საბრძოლო ეპიზოდების გახსენებით.

— 1942 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჯოჯოხეთური ბრძოლები დატრიალდა ქალაქ ორჯონიკიძისა და გროზნოს მისადგომებთან, — იგონებს ყოფილი ნაღმმტყორცნელი, რუსთაველი გალაქტიონ ბაბუნაშვილი. — ჩვენ, 414-ე ქართული დივიზიის მეომრები ისე ჩავებით გააფთრებულ ბრძოლებში, რომ არც არტილერიის მხარდაჭერა გვქონდა და არც ტანკები გვიფარავდნენ. მტერმა იძალა და საფრთხე შეგვიქმნა, მაგრამ მთელი შეუპოვრობით ვიბრძოდით და გარემოცვაში ვეღარ მოგვიქცია.

გურჯაანელი შაქრო სინჯიაშვილი ტანკსაწინააღმდეგო თოფით ებრძოდა ფაშისტებს და მამაცობისათვის დიდების მესამე ხარისხის ორდენით დაუჯილდოებიათ.

გიორგი მაღრაძე ბაქსანთან იბრძოდა.

— მტრის ჭარბ ძალებთან ერთ მძიმე შეტაკებაში, — იგონებს გიორგი, — ჩვენი ასეულიდან რამდენიმე მეომარი გადავრჩით. ბევრი დაეცა მამაცთა სიკვდილით. პირადად მე ომის შემდეგ ხუთი შვილი გავუზარდე სამშობლოს.

— როგორ ყურადღებას გაქცევენ ჰოსპიტალში, უკმაყოფილონი ხომ არა ხართ ყოფილი მეომრები?

— უაღრესად ყურადღებიან გარემოცვაში ვართ. ვფიქრობ, რომ აქ ყველაზე მეტად იგრძნობა ომის ვეტერანების დაფასება. აი, უკვე მეოთხედ მომიყვანა აქ ომში მიღებულმა იარებმა და ოთხივეჯერ საავადმყოფოსკენ მომაბრუნეს. ადრე ექიმებმა ვახტანგ მაჩაბელმა და ნელი გიჟიმყრელმა, ახლა კი ნათელა მაღლაკელიძემ და ალექსი ეგოროვმა ყველაფერი იღონეს ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად. თვითონ ეგოროვიც სამამულო ომის მონაწილეა, მტრის ტყვია მკერდში აქვს გავლილი. ამიტომ არის, რომ ჩემს ტკივილს საკუთარივით განიცდის. ერთი სიტყვით, თუ აქამდე ცოცხალი ვარ, ეს ამ ექიმების მადლია, — დაასრულა სიტყვა გიორგიმ.

გიორგი გოჩიტაშვილი

კარლო კობერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრაფვარეული

დეტექტიურ წიგნს ვკითხულობ, თუ ფილმს ვუყურებ, ვიდრე მაძებრებს მოეფიქრებათ, მანამდე ამოვიცნობ ხოლმე დამნაშავეს — იმდენი დრო სადა მაქვს, დავდგე და ველოდო, როდის გახსნიან ამ სულ უბრალო დანაშაულს: სვირინგებიანი ქურდია, კეპი ახურავს ხშირად, უკმეხია, ქვეშ-ქვეშ გამოხედვა იცის და, საერთოდ, ულაზათოდ აცვია. ყველაზე სერიოზული კაცი კომბინატორია, ან საქმოსანი, რომელმაც აუარებელი ზარალი მიაყენა სამშობლოს (სიტყვა სამშობლომ პირვანდელი ცნება დაკარგა თანდათან, ახლა მთავრობას გულისხმობს), დიდებულად აცვია, კონიაკს სვამს, შამპანურს, მისი ოჯახი ანტიკვარული მაღაზია გეგონებათ. ბანდის მეთაური მაღალია, საოცრად კულტურული, თავაზიანი. ძალიან, ძალიან უყვარს მეზობლებს — რა ხელობა არ იცის და რა გასაჭირში არ ეხმარება, ბავშვებიც ჭკუას კარგავენ მასზე. დამნაშავე ქალი, უფრო საწამლავით რომ უღებს ბოლოს ვიღაცას, ლამაზია, გავლენიანი — ვის აღარ იცნობს! მუსიკა უყვარს და საყვარელსაც არ ენდობა (თუმცა უნებლიეთ უწყობს ხელს). ვიდრე დანაშაულს ჩაიდენდეს, ისეთ ალიბს აკვარახჭინებს, ყოვლისმცოდნე და ყოვლისმხილველი დეტექტივებიც ჩიხში ექცევიან, მაგრამ ქალია მაინც და უმნიშვნელო რამეზე ვარდება — რას გამოაპარებ ამდენი ჩახლართული დანაშაულის გამხსნელ, გამობრძმედილ მაძებრებს, ასე ფხიზლად რომ დგანან მშრომელი მასების სიმშვიდის სადარაჯოზე. ახლახან ბინა რომ დაიქირავა და განმარტოებით ცხოვრობს, იმ კაცს ტყუილად უთვალთვალებენ — ის ან მოაზროვნე ვინმეა, ანდა კერძო დეტექტივი.

აი, ამ ნიშნებით, მთლად უბრალოდ ამოვიცნობ ხოლმე დამნაშავეს დეტექტიურ წიგნებსა თუ ფილმებში. ცოდვას ვერ ვიტყვი, ბოლოს და ბოლოს მაძებრებიც ჩემს მეთოდამდე მიდიან და საქმეც ადვილად იხსნება, მაგრამ ერთ სოფელში ისეთი ამბავი დატრიალდა, იმგვარ სიუჟეტს ჟორჟ სიმენონიც კი ვერ მოიფიქრებდა: მთელი წელიწადი ფეხზე იდგა მილიცია: ერთმანეთის მიყოლებით ტყდებოდა სასურსათო მაღაზია, რკინა-კავეულის, კოლმეურნეობის ხილ-ბოსტნეულის სავაჭრო წერტი და ახლომახლო მდებარე ბინები. ამ სისხლის სამართლის საქმეებს ოპერატიულად ხსნიდა მილიცია — ქურდებს ხულ მალე იჭერდნენ, ისინიც მალევე გამოტყდებოდნენ ხოლმე და ქურდობაც თავიდან იწყებოდა. მოკლედ, ქურდები ქურდობას არ იშლიდნენ, მილიცია — დაჭერას. იმ წელიწადს ათჯერ მაღაზიები გატეხეს, თვრამეტჯერ კიდევ ბინები. სოფელში აღარავინ დარჩა ისეთი, ვისზედაც ეფიქრა მილიციას, ქურდობა შეუძლიაო, და არ დაეპატიმრებინა. ისინიც მალევე გამოტყდებოდნენ ხოლმე და სოფელიც არ მალავდა გაოცებას, ვერ უყურებ მაგ მიწაში ამოსადებს, ქვეყნის ამკლები ყოფილა, ფეხს კი არიდებდა ჭიანჭველასო. თუმცა მაინც ყოყმანობდა სოფელი, გვარში არ მოდგამთ ქურდობაო — ამ საბუთის უტყუარობას ვერავინ და ვერაფერი გადააჯერებს.

ბოლოს მაინც გამოჩნდა ნამდვილი დამნაშავე და სოფელიც ადვილად მიხვდა, მანამდე დაჭერილი ხალხი რატომაც აღიარებდა დანაშაულს (აქედან ოთხი მეათეკლასელი იყო). მილიციამ თავის გამჭრიახობას მიაწერა ამ დანაშაულის გახსნა, რაიონულმა გაზეთმაც ერთგვერდიანი ქება-დიდების ნარკვევი მიუძღვნა, მაგრამ სოფელმა სიმართლე იცოდა და ამიტომაც იცინოდა ქვეყნის გასაგონად. ვინ ისმენს სოფლის სიცილს!.. უცნაური ის იყო, რომ ამოსაცნობი ნიშნები, რომლებიც ზემოთ მოგახსენეთ, არც ერთი არ მიესადაგებოდა დამნაშავეს. იმ ნიშნების გარეშე მე გამიჭირდებოდა დამნაშავის მიგნება, მილიციას რაღა დაემართებოდა! — ამიტომ დანაშაულის გახსნის მეორე ტრაფარეტს მიმართა, იმ ტრაფარეტს, ასე ნაცნობი, გასაგები, თვალსაჩინო რომ არის ყველასათვის. ის დანაშაული სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველმა გახსნა. სამუშაო დღის დაწყებისას, დილის რვა საათზე მივიდა მაღაზიის გასაღებად, მოარგო გასაღები საკეტს, ხან აქეთ აწვება, ხან იქით — არაფრით არ ტრიალდება. გამოსწია კარი — ღიაა! საყარაულო ჯიხური იქვეა, კედელს აკრავს, მაგრამ ცარიელი ჯიხური რად გინდა, მაღაზიების გატეხვამ სამი ყარაული გაისტუმრა ციხეში და მეოთხე ვერავინ გააბრიყვეს ვერც ხათრით, ვერც დაშინებით, ვერც ხელფასის მომატებით. გულახდილად რომ ითქვას, არც საჭირო იყო — ადრე თუ ჰყავდათ ყარაული, მამა უცხონდათ, ჭოტივით ჰქონდათ დაჭყეტილი თვალები და ვეღარ ანიავებდნენ! ყარაული იმისია, უნდა დაითვრეს და დაიძინოს, ფხიზელს გაუჭირდება ღამის გატეხვა, მით უმეტეს, ზამთრის გრძელი ღამისა.

გამგე-გამყიდველი უკვე მიჩვეულია მაღაზიის მის დაუკითხავად გაღებას და მშვიდად

ათვალიერებს იქაურობას: ქურდებს (ერთი ამდენს ვერ მოერეოდა) ხუთი ტომარა უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილი წაუღიათ, ორი ყუთი ცხრამანეთიანი ძეხვი, გუშინ მოტანილი და საახალწლოდ შესანახი ნაირ-ნაირი კამფეტები, აუარებელი შოკოლადის ფილა. შამპანურიც აკლია, კონიაკიც, არაყიც და კიდევ ბრინჯის სამი ტომარა. ფქვილის ტომარა სამოცდაათკილოიანი, ბრინჯისა — ორმოცდაათიანი. თვალში ეს აკლია ჯერჯერობით. დღესვე უნდა ჩატარდეს აღწერა, თორემ სხვანაირად ვინ დააზუსტებს, რამდენი მანეთის ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს.

კარი გამოიკეტა: ჯერ უბნის ინსპექტორი უნდა მოძებნოს, მერე სასოფლო საბჭოს დეპუტატები — კონსტიტუციის თანახმად სოფლის მოწინავე მშრომელები არიან, ისინი დაუდასტურებენ აქტით მაღაზიის გატეხას. მილიციაში დარეკავდა, მაგრამ ცოდვაა ინსპექტორი, კარგი ბიჭია, პურ-მარილიც უყვარს, საქმის ჩაფარცხვაც — საყვედურს ეტყვიან, შენს ზონაში საგანგაშო შემთხვევაა, შენ სადღა დაეთრევიო. გამოიკეტა საკეტმოშლილი კარი, ხედავს, ბრინჯი ყრია იქვე, თვალი გააყოლა: ნართის ძაფივით გაბმულა მოყინულ მიწაზე. ეტყობა, დახეული ყოფილა ერთი ტომარა, ხორბლისაში შეეშლებოდათ, ვირთაგვებს. ვირთაგვები იქნებოდნენ ნამდვილად: სადაც ესენი ბატონობენ, თაგვების სინსილა გამწყდარია იქ — დესერტად დააყოლებენ ხოლმე. ამას არსებობისათვის ბრძოლას ვეძახით, რაც ბუნების კანონზომიერებას ნიშნავს და რაც ადამიანთა საზოგადოებრივ განვითარებას დაედო საფუძვლად.

მაღაზიის გამგე-გამყიდველი კვალს გაჰყვა, ესე იგი, დაბნეულ ბრინჯს. ბრინჯმა იქვე, ისეთი ვინმეს ეზოში შეუხვია, იმ ბრინჯივით დაიბნა კაცი, სად ესა და სად ქურდობაო. დგას და ბრინჯს გაჰყურებს — იქიდან კიდევ მაღაზიისკენ მოიკლაკნება. ასე გაბეცებული აქ არავინ დამინახოსო, თავაწეული გამობრუნდა უკან. ვინ დაინახავდა! — შაბათი იყო და ასე ადრე ჯერ გარეთ არ გამოეფინებოდა სალაყბოს აქტივი, კვირა ყოფილიყო, ბაზარზე წასასვლელად წამოიშლებოდნენ.

გზაზე მანქანები მიდი-მოდიან, სადღაც მიეჩქარებათ. გამგესაც მიეჩქარება. ამ სიჩქარეში ქვას წამოჰკრა ფეხი და მაღაზიის გაძარცვაზე უფრო ამან გაამწარა. რაც კულტსახლთან მისასვლელი, ფერდობზე აცოცებული ბეტონის კიბე გააკეთეს, მას აქეთ ეს ქვა სულ ასეა ამოჩრილი. ფილმსა თუ საზეიმო სხდომაზე მონადენმონადენი ხალხიდან ერთიც ვერ იტყვით, ფეხი არ წამომიკრავსო. მის ამოღებას წერაქვის სამი მოქნევა და ძალაყინის ორი დაქნევა უნდა, მაგრამ სოფლის აქტივს საამისო დადგენილება ჯერ არ გამოუტანია. საკუთარი ინიციატივით გაისარჯოს ვინმე, ამას თავის გამოჩენის სუნი დაჰკრავს, რასაც თანამდებობისკენ ლტოლვაში ჩაუთვლის სოფლის ხელმძღვანელობა და საშვილიშვილოდ გადაეკიდება.

გამგემ მილიციის ინსპექტორის კარი გააღებინა ძილით თვალებდასიებულ დარაჯს და თავისივე ტელეფონით დაურეკა ბინაში, წუხელ მაღაზია გამიტეხეს და ქურდსაც მივაგენიო. დაფეთებული გამოვარდა ინსპექტორი, თან ფიქრობდა, ნეტა ამ სოფელში ვინღა დარჩა დასაჭერიო. თუ ვინმეზე ეჭვი ჰქონდა, ისევ მაღაზიის გამგეზე. გამგემ რომ უთხრა, ვის ეზოშიც მიუძღვა ბრინჯი, ისე გაოგნდა ინსპექტორი, ძლივს გაიხსენა მილიციის უფროსის ბინის ტელეფონის ნომერი. დაურეკა და მოკლედ, ოპერატიულად მოახსენა საქმის ვითარება, წუხელ სასურსათო მაღაზია გატეხეს და ნამდვილ ქურდს მივაგენიო. მილიციის უფროსიც დაიბნა. იმ ციხემისჯილ ქურდებს რაღა ვუყოო — მათი კი არა, საკუთარი ბედი აწუხებდა. უდანაშაულო ხალხის დაჭერას არავინ მაპატიებს, გიცემიათ, გიწამებიათ და ისე მოგიწერინებიათ ხელი დანაშაულის აღიარებაზეო. გაიგონ, უდანაშაულო ადამიანს ჩაგრავენო, ვინ აპატიებს, პირუტყვს სცემო, იმაზედაც იმუქრება კანონი, იქნებ ხვალ უნდა დაკლან, ხორცი დაიყღლებაო. მაგრამ მალე გაახსენდა მილიციის უფროსს უბრალო, საყოველთაოდ ცნობილი თავის დასაძვრენი მეთოდი:

— უკვე გახმაურებულია ეგ ამბავი?

— რომელ ამბავზე მეკითხები, უფროსო? — ვერ მიუხვდა უბნის ინსპექტორი.

— ახლა რა მომახსენე, შეგამზთაყვანებულო!

— მოიცა, ვკითხავ! — ხელის გაშლამდე გასწია ყურმილი და მაღაზიის გამგეს უჩურჩულა, — ჩვენს გარდა სხვამაც იცის ესა?

გამგე ადვილად მიუხვდა:

— ბარე ოცს ვუთხარი უკვე, მაგისი დამალვა როგორ იქნება! — გონებანათელი არ იყოს, ოცდათორმეტი წელიწადი ვინ აბოგინებდა იმ სამსახურში, ვიდრე ხელს მოითბობდა, მანამდე გამოიჭერდნენ და გაქერქავდნენ.

— უკვე გაბაზრებულია, უფროსო.

— ვის ელაპარაკებოდი?

— გამგე-გამყიდველია იმისი, წუხელ რომ გაასუფთავეს.

— მერე, რას მიახარე?

— მოწმე ხო უნდა დამესწრო ვინმე, უფროსო!

— კარგი, ახლავე მოვდივარ.

ნახევარი საათის შემდეგ ისე გაოცდა სოფელი, ხმის ამოღება ძლივს მოახერხა, თუმცა ამას გაბეცება ჰქვია — აკი ქალი არ აღმოჩნდა ქურდი?! — სამოც წელიწადს მიღწეული ქვრივი! არც ამის ქურდობას დაიჯერებდა, მაგრამ წუხანდელი ნაარმევიც უნახეს, ძველის ნაწილიც. სხვა რა გზა იყო, დაიჯერა — თურმე ეს ჩვეულებრივი სოფლელი დედაკაცი არ აწრიალებდა იქაურობას? თანაც, კაცო, მოწინავე კოლმეურნე, ანუ სტახანოველი, ესე იგი, დამკვრელი! (პურის დამკვრელში არ შეგეშალოთ). მერე რაც მოხდა, საინტერესო აღარ მეჩვენება, ამიტომ არ ვყვები, არც იმას, სამი წელიწადი რომ მიარტყეს და, ქალი სუსტი არსებააო, ექვს თვეში კი გამოუშვეს; არც უდანაშაულოდ დაჭერილთა გამოშვების ამბავს, არც იმას, პასუხი რომ არავის მოთხოვეს უდანაშაულოთა დაჭერის თაობაზე. ვითომ რაო, ვინ აღარ შემცდარაო, ვის აღარ წაცდენია ფეხიო, ცოტა უდანაშაულო ხალხი მიჟუჟ-მოჟუჟეს ოცდაჩვიდმეტში, მას იქითაც და აქეთაც, რომ მივდგეთ და დამბეზღებლებს, დამჭერებს, მკვლელებს პასუხი მოვთხოვოთ, დაუსჯელ-დაუჭერელი სამოც წელს გადაცილებული ქალი ან კაცი თუ ვინმეღა დარჩება, იმასაც ვნახავთო. ეს კი ნამდვილად ლოგიკურიაო! რაკი ლოგიკურია, ყურადღების გამახვილებაც არ ღირს. მაგრამ იმიტომ მოვყევი, რომ საუბარმა ჩამითრია, აქაოდა, თავისუფალი აზროვნების, ლაპარაკის უფლება მოგვცეს, მართალსა და გამოგონილს ერთმანეთში ვურევთ. ვითომ მე რატომღა უნდა ვიყო გამონაკლისი?.. რაღა თქმა უნდა, ყველა ქურდი არ შეიძლება ერთმანეთს ჰგავდეს, ისევე, როგორც ყველა მათი დამჭერი, სხვაც არ იყოს რა, ერთფეროვნებას გამორიცხავს ბუნება. ჩვენ კი მივდექით და ისე ჩავამუქეთ ომის წინა უხსენებელი წლები, იმხელა შუქიც არ ჩანს, ციცინათელა გვეგონოს. მაშინდელი ამბის მოყოლას რომ დაიწყებს ვინმე, თავაზიანობას ვუხმობ და არ ვაწყვეტინებ, თორემ დასაწყისიც მშვენივრად ვიცი, დასასრულიც: მოგვიცვივდნენ (ან — მიუცვივდნენ), ატყდა ერთი წივილ-კივილი, იარაღის ჩხრიალი, წყევლა, გინება, მანქანის ღრჭიალი — წაიყვანეს და გააქრესო. არც ასეა საქმე — ზოგიერთი დაბრუნდა, დაბრუნდა და მაშინაც აღიარა, ვტყუოდიო. მანამდე [illegible] ვტყუოდიო, ვიდრე [illegible] რეს, უდანაშაულო რომ იყო. ისიც მოლოდ მაშინ დარწმუნდა, როცა ციხე-ციმბირში გაცოდვილებული წლები სტაჟში ჩაუთვალეს და თერთმეტი მანეთით და ათი შაურით გაუზარდეს პენსია... ვინც სიკვდილს გადაურჩა, ყველას ისეთ სიდუხჭირეში გაუტარებია ციხე-ციმბირის წლები, მსმენელი გვეცოდებაო, ზღაპარშიც შეხვდებით ასეთ რამეს... დაჯერებათ, რაკი მოლაპარაკებულებივით ერთნაირ უბედურებასა ჰყვებიან და ერთნაირად გაჟრიალებს სიცივეც, სიშიშვლეც, უდანაშაულო კაცის ცოდვაც — ისეთ დამცირებას პირუტყვსაც არ აკადრებს ნაღდი გლეხი. მათი მაჯახირებლები, უფრო სწორად, ჯალათებიც ერთმანეთსა ჰგვანან თხის ცურცლივით: რეგვენი, ბრიყვი, გაუთლელი, უწიგნური, გაბანჯგვლული, თვალებგადმოკარკლული, გაზინთული, ლოთი, ქვასავით ბრმა, უგულო და უყურო. მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე, ჩემმა ახლობელმა გაიხსენა ერთხელ, როგორ დაუპატიმრეს მამა. მამამისი, გიორგი, რაიონის თავკაცი იყო, ჭკვიანი, განათლებული, ავკარგიანი, თავის ზოგიერთ კოლეგასავით მეზობელი რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგი არ გამოუწვევია სოცშეჯიბრებაში, აბა, ვინ მეტ ტროცკისტს გამოამჟღავნებს მისდამი დაქვემდებარებულ სამფლობელოშიო. მოკლედ, ხალხს უყვარდა და სწორედ ამ სიყვარულმა დაღუპა, რასაც უბრალოდ შური ჰქვია... ჩემი ახლობელი ამ ამბავს რომ მოიყვა, მაშინაც ჯალათებზე ჩამოვარდა სიტყვა, ისაო, ჯალათიო, გაუგებელი უნდა იყოსო, არაკაციო. არ დაიჯეროთ! — დრო ყველაფერს ცვლის, ამიტომ აღარც გასაკვირია, ჯალათიც კი შეიცვალოს გარეგნულად და ფსიქოლოგიურადაც. ცივილიზებული საზოგადოების ჯალათი, ასე ვთქვათ, სამსახურში წასვლის წინ სარკეში იხედება, პიჯაკის საყელოს ისწორებს, ჰალსტუხს აკვირდება, ტანსაცმელს ეხამება თუ არაო, თმასაც მოდაზე იკარცხნის, ჩაცმითაც მოდაზე იცმევს და არც ნაკითხობით ჩამოუვარდება ვინმესო. პირველად მაშინ მივხვდი, ომის წინადროინდელმა ჯალათებმა არა თეული შუასაუკუნეებისა და მანამდელი წინაპრების ყოველგვარი გამოცდილება აითვისეს, არამედ, დროსაც კი გაუსწრეს.

აი, ჩემი ახლობლის მონაყოლი, მაშინვე რომ ჩავიწერე სიტყვასიტყვით:

იმ წელიწადს შევდიოდი სკოლაში, კარგად მახსოვს მაისის ის ღამე, ალბათ იმიტომ, რომ მას შემდეგ აღარ მინახავს მამა. ყველანი შინა ვართ: დედა, მამა, ბებია — მამაჩემის დედა და მე. დედა ჩაის აწყობს; ბებია გაზეთს ათვალიერებს, თან ვიშვიშებს, ეს რა უბედურება დაუტრიალებიათ სამშობლოს მოღალატეებსო; მე კნუტს ვათამაშებ ძაფზე გამობმული ასანთის ცარიელი კოლოფით, მამა კი მეორე, მომცრო მაგიდაზე ნახაზებს ჩაჰკირკიტებს.

დედამ ჩაი გააწყო, გადახედა სუფრას და ეუბნება მამას:

— რამდენ ხანსღა უნდა უყურო, გიორგი?

— საინტერესოა. — ამბობს მამა და ნახაზზე ფანქრით ინიშნავს რაღაცას.

— ისევ ხიდის პროექტს უკირკიტებ?

— დიახ. გამოანგარიშებაში შეცდომაა. მშენებლობის დროს რომ შეემჩნიათ, მავნებლობაში ჩაგვითვლიდნენ.

ბებია შეკრთა. დედა მივიდა და ნახაზს დააჩერდა, მაგრამ, ვიცი, ტყუილად უყურებს: ისტორიის მასწავლებელია და ხიდის პროექტში ვერ გაერკვევა. მამა კი ინჟინერია. იმ ხანებში უნდა დაეწყოთ ხიდის მშენებლობა. როგორც წესი იყო მაშინ, ბურჯების ჩაყრას დიდი ზარ-ზეიმით აპირებდნენ. ამ ხიდს ძველი. ხის ხიდი უნდა შეეცვალა, თითქმის ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე რომ მიანგრ-მოანგრევდა ხოლმე მდინარე და გაღმითა სოფლები რაიონულ ცენტრს კარგა ხნით ვეღარ უკავშირდებოდა.

— სადაც ხიდის მშენებლობაა დაგეგმილი და დამტკიცებული, ის ადგილი არ მომწონს, მაგრამ ვერც ხმა ამომიღია: ორასი მეტრით რომ დავწიოთ სამხრეთით, გაცილებით უკეთესი იქნება, მაგრამ სახნავ-სათესი მიწების, ბაღ-ვენახების ნაწილი უნდა შეიწიროს მაშინ და ვაითუ, შარში გამხვიონ, გზა განგებ გადაატარა სასარგებლო მიწაზეო.

— ფრთხილად, შვილო, — შეფიქრიანებულია ბებია, — ნურც მთავრობას აწყენინებ, ნურც უბრალო თანამშრომელს. გაჭირვებით გამიზრდიხარ და არ დამღუპო.

— ხელები დაიბანე, — მხარზე ხელი შემახო დედამ, — აღარ გწყინდება კნუტთან ამდენი თამაში?

მაგიდას შემოვუსხედით. მამამ ნამცხვარი გადაიღო და კარზეც დაიკაკუნეს. დედამ სწრაფად გაიარა ოთახი და კარი გააღო:

— მობრძანდით!.. მე კი რა ვიცი, რა აღარ გავიფიქრე.

ოთახში ორი კაცი შემოვიდა. მამას გაუხარდა მათი დანახვა. ყველანი ვიცნობდით ორივეს, ერთი მილიციის უფროსი იყო, ძია მინაგო, მეორე მისი ნოადგილე, — ძია ივლიანე. რა დათვლის, სხვა დროს რამდენჯერ ყოფილან ჩვენსა!

მამა წამოდგა, ორივეს ჩამოართვა ხელი:

— რა ჰქენით, დაიჭირეთ ის ბანდიტი?

— სადამდე ირბენს, დავიჭერთ, — თქვა ძია მინაგომ, დაიხარა, ამიყვანა და მაკოცა, — სკოლაში მიდიხარ, ჰა?

— დიახ.

— ძალიანაც კარგი, სწავლას რა სჯობია!

ძია ივლიანემ კი პიჯაკის ჯიბიდან მუჭით ამოიღო ფოჩიანი კანფეტი და მომაწოდა:

— ახალ წლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ წინასწარ გილოცავ ახალ წელს: ასე ტკბილად დამბერდი!

— შენი კნუტია? — მეკითხება ძია მინაგო.

— ჩემია.

— მეც ძალიან მიყვარს კნუტები. შენ ისეთი გოგონა ხარ, სხვასაც იშოვნი, მოდი, ეს კნუტი მე მაჩუქე.

— მეც რომ ძალიან მიყვარს?

— მაშინ არ უნდა მაჩუქო. ყველანი ღიმილით მივჩერებივართ სტუმრებს.

დედამ მაგიდასთან მიიწვია.

— მობრძანდით, ჩაი მიირთვით.

— არ გვცალია, — თქვა ძია მინაგომ, — საქმეზე მოვედით.

— რა ამბავია? — ღიმილი მოიშორა მამამ.

— უნდა წამოხვიდე, გიორგი. ახლავე უნდა წამოხვიდე, ხომ იცით, ჩვენც ბრძანებას ვემორჩილებით.

— აქ რაღაც გაურკვევლობაა.

— ჩვენც ასე გვგონია.

ვაიმეო, იყვირა დედამ და ნელ-ნელა, თითქოს ფრთხილად ჩაიკეცა იატაკზე. ჯერ ძია ივლიანე მივარდა, მერე ძია მინაგო და ტახტზე გადააწვინეს.

— რა ვთქვით ახლა ასეთი, გულის წასასვლელი, — თავი გააქნია ძია მინაგომ.

მამამ ვალერიანის წვეთები გამოარბენინა გვერდითა ოთახიდან.

ბებია ისეა დაბნეული, სკამიდან არც ამდგარა — ისევ ჩაის უბერავს.

დედას მალე დაუბრუნდა გონი.

— ნუღა ვიგვიანებთ! — ამბობს ძია ივლიანე, — ამაღამ სხვა საქმეც გვაქვს.

— რა წამოვიღო? — ეკითხება მამა.

— არაფერი, ასევე წამობრძანდით.

დედასაც გულზე მოეშვა, ბებიასაც.

მამას გაეღიმა:

— ქალაქიდან რაიმე სასწრაფო საბუთი ხომ არ მოვიდა?

— ასეა.

აჩქარებული გაჰყვა.

ვიდრე კარს გაიკეტავდა, ძია მინაგო მოტრიალდა, დაიხარა და მაკოცა:

— აბა, შენ იცი, როგორ ასახელებ სამშობლოს შენი სწავლით.

ეს იყო და ეს, მას შემდეგ აღარ მინახავს მამა, თურმე მეექვსე დღეს დახვრიტეს, ბუდუ მდივნის თანამოზიარე ხარო, რაც სამშობლოს ღალატს ნიშნავდა. სხვათა შორის, არც მინაგოსა და არც ივლიანეს ტყავის პალტოები არ სცმიათ, არც რეზინის სუნით ყარდნენ. თქვენ კი ამბობთ, დამჭერები უხეში, უზრდელი ვინმეები იყვნენო. ჯალათებზეც ამას ამბობენ. მაგრამ მთავარი გავიწყდებათ: რაკი ცხოვრება წინ მიდის, აღარც გასაკვირია, ასეთმა ხვადაგებმა შეიცვალონ გარეგნობა, ადამიანებთან დამოკიდებულება. მაშინ ჰალსტუხი ბურჟუაზიული გადმონაშთი რომ არ ყოფილიყო, რაღა თქმა უნდა, მამაჩემის დამჭერებსაც ჰალსტუხები ექნებოდათ ჩამოკონწიალებული. ასე რომ, შეცდომაში არ შეგიყვანოთ დალაგებულმა სიტყვა-პასუხმა და უახლესი მოდის ჰალსტუხებმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტური იადგარი

რად ეძახიან საქართველოს მგოსანთა მხარეს

უძღვება
სარგის ცაიშვილი

იოანე—ზოსიმე

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

1. დამარხულ არს ენაჲ ქართული
   დღედმდე მეორედ მოსვლისა მესიისა
   საწამებელად,
   რათა ყოველსა ენასა
   ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
2. და ესე ენაჲ
   მძინარე არს დღესამომდე,
   და სახარებასა შინა ამას ენასა
   ლაზარე პრქუიან.
3. და ახალმან ნინო მოაქცია
   და ჰელენე დედოფალმან.
   ესე არიან ორნი დანი,
   ვითარცა მარიამ და მართაჲ.
4. და მეგობრობაჲ
   ამისთვის თქუა (მახარებელმან).
   რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ
   ამას ენასა შინა დამარხულ არს.
5. და ოთხისა დღისა მკუდარი
   ამისთუის თქუა დავით წინაჲსწარმეტყველმან,
   რამეთუ „წელი ათასი,
   ვითარცა ერთი დღეჲ“.
6. და სახარებასა შინა ქართულსა, ხოლო, თავსა
   მათეჲსსა
   წილი ზის, რომელ ასოჲ არს,
   და იტყუის ყოვლად
   ოთხ ათასსა მარაგსა.
7. და ესე არს ოთხი დღეჲ,
   და ოთხისა დღისა მკუდარი,
   ამისთუის მისთანავე დაფლული
   სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა.
8. და ესე ენაჲ
   შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა,
   მდაბალი და დაწუნებული,
   მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა
   უფლისასა.
9. და სასწაულად ესე აქუს;
   ასოთხი წელი
   უმეტჲს სხუათა ენათა
   ქრისტჲს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.
10. და ესე ყოველი, რომელი წერილ არს,
    მოწამედ ნარმოგითხარ
    ასოთხი ესე წელი,
    და წილი ანბანისაჲ.

ფილიპე

ბეთლემის საგალობელი

თავნი იტყუიან: „ფილიპე—ბეთლემი“

ფესუთა მათგან ოქრუანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო,
იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქუს, ღმრთისმშობელო,
ლამპრითა მით ბრწყინვალითა მოგეგებვით, დედოფალო,
ითხოვე შენ მოტევებაჲ ბრალთა ჩუენთაჲ, დიდებულო.
პატიოსან და წმიდა არს სახლი შენი, სანატრელო,
ეკლესიაჲ ბეთლემისაჲ ცათა მსგავს არს, უბიწოო.
ბუნებათა შემოქმედი ვიცანთ შენგან, ოჲ ბეთლემო,
ემსგავსე შენ სამყაროთა ზეცისათა, ოჲ წმიდაო,
თაყუანის ვცეთ ქუაბსა მაგას დიდებულსა, ოჲ უხრწნელო,
ლოცეა ჩუენი შეიწირე, ბაგასა მას მწოლარეო.
ეც მოსავთა შენთა პოვნაჲ წყალობისაჲ, სახიერო,
მადლი შენი მფარველ მეყავნ მე უღირსსა, მოწყალეო,
ისმინე დღეს ოთხოვაჲ ჩემი ცოდვილისაჲ, მწყალობელო.

ძველი ქართული პოეზია

ძეგლი, რომელსაც ამ ნომერში ვთავაზობთ მკითხველს, არის უკანასკნელ წლებში ძალზე გახმაურებული ჰიმნი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. ძეგლი აშკარად ეზოტერული შინაარსისაა და დღესაც არაა ბოლომდე გაშიფრული. ერთი რამ ცხადია, „ქებაჲ“ ეროვნული თვითშეგნებისა და მისი აღზევების გამომხატველი ძეგლია.

ეს აზრი თხზულებაში გატარებულია პოეტური პარალელიზმის ხერხით. ქართული ენა ამჟამად თუმცა „მდაბალი და დაწუნებულია“, იგი აუცილებლად აღსდგება (სახარების იგავი). საინტერესოა თვით სახელდებაც: ქართული ენა უდრის ლაზარეს. ლაზარე კი სახარებით იყო იესო ქრისტეს მეგობარი და აღდგა მკვდრეთით მეოთხე დღეს. ასევე, ქართულ ენას მფარველობს მაცხოვარი და იგიც ამაღლდება. უფრო მეტიც, მეორედ მოსვლისას უფალი განიკითხავს ერთ ენაზე და ეს ერთი ენა იქნება ქართული ენა. ამასთან დაკავშირებით „ქებაჲს“ ავტორი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს სხვა ნიშან-სასწაულებზეც და ზოგიერთ აშკარად საკრალური მნიშვნელობის მქონე რიცხვებზე (იხ. ტექსტი).

ძეგლის ავტორად ტრადიციულად მიჩნეულია მე-10 საუკუნის პოეტი-ჰიმნოგრაფი — იოანე-ზოსიმე. პავლე ინგოროყვა ფიქრობდა, რომ იგი ეკუთვნის გიორგი მერჩულეს ან მისივე სკოლის რომელიმე ჰიმნოდს. ბოლო ხანებში გამოითქვა, ჩემის აზრით, ჯერ კიდევ დაუსაბუთებელი შეხედულება იმის თაობაზე, რომ თითქოს „ქებაჲ“ დაიწერა ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრების ახლო ხანებში. ერთი რამ ცხადია, ძეგლში წარმოდგენილი კონცეფცია, რომელიც ეროვნული თვითდადგინების ახალ საფეხურს მოასწავებს, უფრო ბუნებრივად თავსდება მე-10 საუკუნის საქართველოს იდეოლოგიურ კონტექსტში.

„ქებაჲს“ ტექსტი აქ წარმოდგენილია კრიტიკული გამოცემის მიხედვით (პ. ინგოროყვა), მაგრამ ხელნაწერებზე დაკვირვება მოწმობს, რომ ზოგი ადგილი ჯერ კიდევ მოითხოვს შემდგომ დახვეწას. „ქებაჲ“ გამორჩეული ძეგლია როგორც თემატიკით, ისე მხატვრული სტრუქტურით. მიუხედავად გარკვეული ენობრივი ბარიერისა, იგი დღესაც გვხიბლავს თავისი „წყობილი ნიტყვით“, ნაკვთებად ჩამოსხმული ფრაზებით, რომელთაგან უმრავლესობა ზეპირად იცის ბევრმა ჩვენმა პოეზიის მოყვარულმა.

პოეტი ჰიმნოგრაფი ფილიპე (X ს.) ქართველ ჰიმნოგრაფთა პალესტინური სკოლის წარმომადგენელია. აქ წარმოდგენილი ფილიპეს საგალობელი უურადღებას იქცევს პოეტური ფორმითაც. საგალობლიდან ჩანს, რომ ქართულ ჰიმნოგრაფიაში უკვე ამ დროიდან გზას იკაფავს საერო პოეზიის ხაზოვანი. იგი შესრულებულია 16 მარცვლოვანი მაღალი ზაირით და აშკარაა სტრიქონების შერითმვის ცდაც. საგალობელი ამახთან აკროსტიქული ხასიათისაა და იკითხება: „ფილიპე —ბეთლემი“.

რაც შეეხება მცირე ზომის ჰიმნს „გალობანი სულისანი“, იგი მიეკუთვნება მე-10 საუკუნის უცნობ პოეტს ოპიზიდან და ძალზე წააგავს სახელგანთქმული ჰიმნოგრაფის იოანე დამასკელის (VII VIII ს.) ასეთივე ხასიათის საგალობლებს, შესაძლოა თარგმანიც იყოს. უცნობი ავტორის ჰიმნი უურადღებას იქცევს გამჭირვალე პოეტური ენით და ამქვეყნიური ამაოების ძველი ბიბლიური თემის ოსტატური დამუშავებით.

ოპიზარი მგოსანი (ანონიმი)

გალობანი სულისანი

ცხორებაჲ ესე წარვალს და განილევის,
შუენიერებაჲ და დიდებაჲ დაჭნების.
ხოლო სიმდიდრე დალპების და წარწყმდების.
რასა ცუდად ვმაღლოჲთ, ოდეს ყოველნი
მოკუდავნი ვართ და მინად მიქცევადნი!

მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავთა,
სადა არს შური, საოცრებაჲ და ხდომაჲ,
სადა არს ძუირის ხსენებაჲ და ზუაობაჲ
და ხორცთა გულის-თქუმანი, აბა ესერა
მინა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი.

შენიშვნები:

დამარხული — დაფლული, შენახული. მესია — ცხებული, ძე ღვთისა. საწამებელად — სარწმუნოდ, საბოწმოდ. ამხილოს — გააცხადოს, თქვას. ლაზარე — სახარების მიხედვით იესო ქრისტეს მეგობარი, რომელიც მაცხოვარმა მკვდრეთით აღადგინა მეოთხე დღეს. ახალი ნინო და ჰელენე დედოფალი — საუბარია ნინო ქართველთა განმანათლებელსა და ელენე დედოფალზე. ეს უკანასკნელი იყო რომის იმპერატორის, კონსტანტინე პირველის (IV ს.) დედა, ქრისტიანობის დიდი დამცველი, მანვე შეუწყო ხელი ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად დადგინებას საქართველოში. მარიამ და მართა — ლაზარეს დები. დავით წინასწარმეტყველი — ბიბლიური მეფე დავითი, რომელსაც მიეწერება აგრეთვე „ფსალმუნნის“ ავტორობა. მარაგი — საიდუმლო, აქ საიდუმლო სიტყვას უნდა ნიშნავდეს. მოწამე — აქ მოწმე მოწამედ ე. ი. სამოწმოდ.

უშანგი ბედია

ჩვენი ეროვნული ჯაჭვი

თბილისის ეროვნული პარკი ერთ-ერთი უსამაზესი ადგილია, რომელსაც მცენარეთა და ცხოველთა იშვიათი სახეობების გარდა, არქიტექტურული და ეთნოგრაფიული მნიშვნელობის ძეგლების დაცვაც ევალება. ამავე დროს ადამიანთა მასობრივ დასვენებასაც ითვალისწინებს.

პარკი გლდანის, მარტყოფის, ღულელების და ცხვარიჭამიას სატყეო ბაზაზე შეიქმნა, რომელიც სულ 19.426 ჰექტარ ფართობს მოიცავს, აქედან 17.354 ჰექტარი ტყეს უკავია.

გლანდში რომ შევედით, გაოცებული დავრჩით. სოფელს ისეთი სიმწვანის საბურავი ეფარა, თითქოს რომელიმე საკურორტო ზონა ყოფილიყო, ხოლო საავტომობილო ახალ ტრასას, თუ მდინარე გლდანულას, მრავალსართულიან ბინებს, ფიჭვისა და ნეკერჩხლის ელფერი თავზე დასდგომოდათ.

რამდენიმე წელი იქნება, რაც გლდანის სატყეო უბნის უფროსს გოდერძი გიორგობიანს არ შევხვედრივართ. ოდნავ შეჭაღარავებულს, ენაწყლიანს და საქმის მცოდნეს, მისთვის დამახასიათებელი სიმარდე და სიმშვიდე შერჩენოდა.

— ტყე ჩემი კარ-მიდამოა, აბა, აბა, აბა, ამას ვერ ვუღალატებ, — ხელს გაასავსავებს ხოლმე გოდერძი გიორგობიანი, როცა ხუმრობით, ამა თუ იმ ხის მოჭრას სთხოვენ. ტყეზე აუგის თქმას ეს კაცი ვერ იტანს. ჩუმდებიან და თანაც უხარიათ, რომ გლდანის სატყეოს უფროსი ტყის ასეთი მზრუნველია, წინამორბედიც კარგი ჰყავდა — პლატონ კობერიძე, დამსახურებული მეტყევე, ღვაწლმოსილი კაცი.

— შენ ჩემო წინამორბედო, უძვირფასესო პაპაო, — დაიწყო გოდერძი გიორგობიანმა, როცა პლატონ კობერიძეზე ჩამოვარდა ლაპარაკი და ვაჟას ლექსი თავიდან ბოლომდე თქვა.

მანქანამ თიანეთის გზიდან გადაუხვია და საურმე გზას ტყეში ნელა შეჰყვა, ვგრძნობ, რაც უფრო მაღლა ვიწევით, მით უფრო იშვიათდება ჰაერი.

— აქ მოვლითი ჭრა ჩავატარეთ, — მაცნობს გოდერძი და მანქანიდან გადმოდის. ირგვლივ სიწყნარეა. კელაპტარებივით დგანან გაფოთლილი ხეები. ტყეში სიმწვანის ფერი ტრიალებს. მრუდეს, თავღორიანს და ფაუტიან ხეს ვერ ვხედავ, ხოლო მეტყევის ცოდნა ამ ჭრაგავლილ ტყეში ნათლად იგრძნობა. აქვეა პლატონ კობერიძის წყარო, არ ივიწყებენ მეტყევე პაპას, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ამ ტყის მოვლა-პატრონობას, თითქოს მისი მადლიანი ხელი, თითოეული ხის ძირში ტრიალებს. ეს წყაროც მისი სულის მოსახსენებლადაა გაკეთებული.

წყაროს დავეწაფეთ.

— თითქოს ქოთნის ლობიო თუხთუხებსო, ისე ამოდის მიწიდან, — შენიშნა გოდერძიმ.

— პოეტური თვალი გქონია, — კვერი დავუკარი.

— ამის გარდა სხვა წყაროებიც გვაქვს — ბურძგლას, სოსაანთ და საჭიდაო ველის. თითქმის ყველგან კეთილმოწყობილი ადგილებია. ახლა კიდევ ლელუბანში მდინარე გლდანულას მარცხენა მხარეს საურმე გზას ვაფართოვებთ და იქაც დასასვენებელ ადგილებს მოვაწყობთ. მაგრამ რად გინდა, — ოდნავ ნაწყენი ხმით თქვა გოდერძი გიორგობიანმა, როცა დაყრილ ქაღალდებს და საჭმლის ნარჩენებს მოჰკრა თვალი.

— აბა, ეს საქნელია? წარწერები მაინც არ იყოს გაკეთებული — „ნუ დაანაგვიანებთ“, „კოცონს უყურადღებოდ ნუ მიატოვებთ“, „პატივი ეცით მეტყევის შრომას“ — ამას არც კი კითხულობენ. პაპაჩემი იტყოდა ხოლმე, წინათ მაზრის უფროსი სადმე რომ წავიდოდა, მის მაგივრდ მეტყევე რჩებოდა, იმხელა პატივისცემა ჰქონდათ. ახლა გაგიგია? რას უშლიდა, ეს რიკულები რომ მოუგლეჯიათ, ამ ტყეში შეშის მეტი რა არის, ეზარებათ ზედმეტად ხელის განძრევა, რა ქნას ტყისმცველმა, ათასორასი ჰექტარი მარტო ტყე აქვს შემოსავლელი. გოდერძი გაჩერდა და იქვე მდგომ ორკაპა წიფლის ხეს მიაპყრო თვალი.

— მოსაჭრელი იყო და განგებ არ მოვჭერით, დავტოვეთ — ლამაზია, — თავისთვის ჩაილაპარაკა. წიფელი მართლაც ლამაზი იყო. მეტყევის გამოცდილი თვალი რომ არა, ალბათ, ტყისმჭრელი ბოლოს მოუღებდა. მეტყევეებმა ბუნების ენა კარგად იციან, ისინი პოეტურ სახეებშიც კარგად ერკვევიან, თავისებური არქიტექტურული ალღოც აქვთ.

— შეხედე, რა ლატნარია, ... არის, კაცმა აქ რომ დაანაგვიანოს ... ხო წაუვა ამ მშვენიერებას, — გულდაწყვეტით განაგრძობს გოდერძი საუბარს და რცხილისა და წიფლის ტევრზე მიგვანიშნებს.

— რა ჰქვია ამ ადგილს? — ვკითხე, როცა უკან ვბრუნდებოდით.

— კაპიტნის ხევი! — წინათ ვინმე რუსი კაპიტანი ივანე შჩერბაკოვი ყოფილა გადმოსახლებული. ამ ხევში მშვენიერი ბაღი გაუშენებია. ახლაც შემორჩენილია ზოგიერთი ხეხილი. იმ კაცის პატივსაცემად კაპიტნის ხევი შეურქმევიათ. სოფელ გლდანში ახლაც ცხოვრობენ შჩერბაკოვები, მაგრამ ისინი უკვე მესამე თაობაა და გაქართველებულან.

***

ვისაც ავჭალისაკენ გაუვლია, შეამჩნევდა ერთ მაღალ მთას, სადაც პატარა სალოცავი დგას. ეს სალოცავი პეტრე მოციქულის ბაზილიკაა, ხოლო მისი ფერდობები ერთ დროს გაშიშვლებული იყო. ახლა მარადმწვანე ფიჭვებს დაუფარავთ. ეს ადგილები როგორც მატარებლიდან, ასევე საქართველოს სამხედრო გზიდანაც კარგად ჩანს. მისი გზა ჯვრის მონასტრის ძირიდან იწყება. პატარ-პატარა მუხის ტყეებით, მდელოებით, მერე ავჭალის და მტკვრის ლამაზი პანორამა იშლება. ბუნებრივ ტყეს კარგად ერწყმის ფიჭვის კულტურებიც.

— აქ ჩვენ ჩავატარეთ ტყის რეკონსტრუქცია, — გვიხსნის სატყეოს უფროსი ვახტანგ ტორიაშვილი.

— რას ნიშნავს ეს?

— თქვენთვის უფრო გასაგები რომ გახდეს, სჯობს აი, იმ ტყეში შევიდეთ, მუხის ხეებია და განახვებთ. — წინ გაგვიძღვა. პატარა ტყეში შევდივართ, — ამ მუხების ხნოვანება ათი-ოცი წელია, — დაიწყო ვახტანგმა, — აქ მთავარი ჯიში მუხა რჩება და ჯაგრცხილა იჭრება, ხოლო მის მაგივრად წიწვოვანი ირგვება, ასევე ფოთლოვანი ჯიშის ნარგავები, სახელდობრ, იფანი, რამდენიმე წელიწადში გაიზრდება და ტყეში, როგორც ფოთლოვანი, ასევე წიწვოვანი ჯიშები გვექნება. ეს არის ტყის რეკონსტრუქცია.

ვათვალიერებთ და ვრწმუნდებით, სხვა რომ არაფერი არ გაეკეთებინათ, მარტო ჯაგრცხილისაგან ტყე რომ გაეწმინდათ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამხელა შრომა და ჯაფა დაადგებოდათ ტყის თითოეულ მუშაკს. თვალნათლივ ჩანს ტყის სილუეტში გამოკვეთილი მუხები, ზოგი ძირკვზეა ამოსული, ზოგი კიდევ თესლით, წიფლის და იფნის ნარგავებს, ჯერ მიწას დიდად რომ არ ასცილებიან, უკვე ემჩნევათ გახარება. პირველი თოხი და მორწყვა სჭირდებათ, ფესვები რომ მოიმაგრონ.

— გამარკვიეთ! — ვეუბნები ავჭალის სატყეოს უფროსს, — მუხა და იფანი რომ იმძლავრებენ, ფოთლებით დაფარავენ წიწვოვან ჯიშებს, შეიძლება დაჩაგრონ კიდეც, მაშინ მათ რა ეშველებათ? — ვახტანგს გაეცინა.

— ეს არ მოხდება, პირიქით, მომავალში მუხის, იფნისა და ფიჭვის საუკეთესო ჯიშები გაიხარებენ.

— შერეული ტყე იქნება, არა?

— დიახ!

***

თბილისის ზღვამ სატყეო უბანში თვალწინ ლამაზი სანახაობა გადაგვშალა, ვიფიქრეთ, ვიღაც მებაღის კარ-მიდამოში თუ მიგვიყვანეს-მეთქი. მშვენიერი ქართული ჭიშკარი, ფილაქნებით გარშემოვლებული გალავნით. ფაცხა, ფანჩატური, ბუჩქოვანი ნარგავი, ყვავილნარი, გაზონები, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც პარკის კეთილმოწყობას განეკუთვნება.

— რამდენიმე წლის წინ ტრიალი მინდორი იყო, — გვეუბნება მთავარი მეტყევე ოქრო ოქროპირიძე, — მხოლოდ ერთი ფშატი იდგა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ადგილი ბაღად გადაიქცეოდა. პირველი ბარის დამკვრელი და დაქანების ფერდობების დამტერასებელი თბილისის ზღვის სატყეოს ყოფილი უფროსი ჭიჭიკო ნადირაძე გახლდათ, ტყის მუშაკებს თავშესაფარი რომ არა ჰქონდათ, ერთი ძველი ვაგონი მოათრია, დააგდო, რომ წვიმებისაგან ხანდახან თავი შეეფარებინათ. ასე ექვსასი ჰექტარი, როგორც წიწვოვანი, ისე ფოთლოვანი ჯიშის ნარგავები დარგეს და გაახარეს. ამჟამად ჭიჭიკო ნადირაძე ტყის ოსტატად მუშაობს, რაც უნდა დაავალო, ხმის ამოუღებლად მიდის და აკეთებს, ამნაირ მეტყევესთან მუშაობა ძალზე სასიამოვნოა, — მჯერა, ოქრო ოქროპირიძე გულიანად ლაპარკობს თავის ამხანაგზე. ვგრძნობ, კარგს არ უკარგავს.

მშვენიერი სანახავია თბილისის ზღვის სატყეო უბანი.

— შვიდას კვადრატულ მეტრზეა ეს სპორტული მოედანი, — გვეუბნება გივი კანდელაკი, — ამ სატყეოს უროსი.

— ჯერჯერობით ერთადერთია ჩვენს სატყეო სისტემაში. კანტორისთვის ფინური სახლი მოგვცეს. სანამ არ გადავაკეთეთ და ქართული იერი არ მივეცით, დავით გიგაურმა ისე რა დაგვადგმევინა, ეროვნულ პარკში ყველაფერი ქართული სახით უნდა იყოს წარმოდგენილიო. ეს მთის ფილაქნები საიდან არ მოატანინა, მოაგროვა, მამაპაპურად ნაშენი კედელი ამ ნარგავებს შეუხამა და თბილისის ზღვის სატყეო უბანი უფრო წარმოსადეგი გახადა. ხის ბუნებრივი ქანდაკება „დრაკონი“, —გვითითებს გივი კანდელაკი ერთ კუნძზე, — ტყეში უნახავს, წამოუღია და აქ დაუდგამს, ჩვენი ბუნების ნახელავიაო.

— მამკოდაზე სახლი ააშენა, — სიტყვა ჩამოართვა ახლა ოქრო ოქროპირიძემ.

— სამი წელია, რაც ეს კაცი აქ მოვიდა, მეტი ზრუნვა და მეთვალყურეობა დაეტყო აქაურობას. ტყეში მარგალიტებივით გაფანტული წყაროებიც კი შეკრიბა და დასასვენებელ ადგილამდე მიიყვანა, — უმატებს გოდერძი გიორგობიანი,— განათლებულია, მეტყევეობის კარგი მცოდნე და ორგანიზატორი.

იმ დღეს შემხვდა, შეწუხებული იყო, ტყეში „ზომელა“ და „ოქროკუდა“ გაჩენილა, აეროპორტში გავრბივარ ვერტფრენის გამოსაძახებლად, დროზე უნდა შევწამლო, სხვა ტყეზე არ გადავიდესო. ჩქარობდა დავითი, საუბარი ვერც კი მოვასწარი, ისე წავიდა. „ზომელა“ და „ოქროკუდა“ ფოთლებისაგან ისე აშიშვლებენ ხეს, ცოდვისგან გული დაგეწვებათ. ვიდექი და ვფიქრობდი, ტყესაც შვილივით გაზრდა სდომია, მოვლა სჭირვებია, როგორც ვაზს.

***

ამ მავნე ჭიების ამბავმა საბადურის ტყისაკენ წაგვიყვანა, დავინტერესდით, იყო თუ არა იქით გადასული. ჩასვლისთანავე ღულელების სატყეოს უფროსი დავით წიკლაური დაგვხვდა. ტყეს ათვალიერებდა.

— ჯერ აქ არაფერი შეიმჩნევა, — გვითხრა დავითმა და ტყეს გახედა, ტანაშოლტილი ხეები იდგნენ და მზის სხივებს თითქოს მაღლა მიჰყვებოდნენ. წიფლის წმინდა კორომები აღარ ილეოდა.

— ეს რა ადგილებია?! — ვკითხე დავით წიკლაურს.

— მოგწონს?

— რა თქმა უნდა!

— თანათგორაა, ეს კიდევ თაგუნას მოსახვევი, თეთრი წიფლები. რა ვიცი, რომელი ერთი დავასახელო. წინათ ასეთი ტყე კი არ იყო. დღესაც არიან იმის მომსწრეები, ამბობენ, ოთხ-ხუთ კილომეტრზე საქონელს ვხედავდითო, ძალიან თხელი ტყე ყოფილა, ახლა, რაც ეროვნული პარკის გამგებლობაში გადავიდა, მომძლავრდა და სიხშირეც მოემატა. „შენ გენაცვალე, ტყევ დაბურულო, ჩემო სიცოცხლევ, სულო და გულო“.

დავით წიკლაური გაჩუმდა და თავის სატყეოს თვალიერება დაუწყო.

— რა ვქნა, რომ არ შევხედო, ვერ მოვისვენებ, უკვე ჩვევად მაქვს გადაქცეული, — თქვა და კიდევ ტყისაკენ გაექცა თვალი.

***

— შენ რაღას იტყვი! — ვკითხე ცხვარიჭამიის სატყეოს უფროსს თემურ მელქაძეს, რომელიც ჩუმად იჯდა და თავისთვის ფიქრობდა. მართლაც, საფიქრალი და საზრუნავი კი ბევრი აქვს. ჯერ ერთი, მის სატყეო ტერიტორიაზე განლაგებულია პიონერთა ბანაკი, სოფელი კევლიანი, თიანეთის ცენტრალური საავტომობილო გზა. ამიტომ დიდ ყურადღებასა და სიფრთხილეს მოითხოვს, რათა ტყე მაქსიმალურად იყოს დაცული როგორც ჭრისაგან, ასევე ხანძრისაგან. მეორეც კიდევ ის, რომ ტყე მუდამ საზრუნავია. მართალია, ტყეს თავისი ენტომოლოგი ჰყავს, როგორც ადამიანს ექიმი, მაგრამ სატყეოს უფროსზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ერთ გაწამაწიაშია თემურ მელქაძე. დაღლილ-დაქანცული საღამოობით შინისკენ მიიჩქარის, იქაც მცირეწლოვანი შვილები ელოდებიან, მათაც მოფერება და მზრუნველობა სჭირდებათ, უდედობა რომ არ იგრძნონ.

— იმ დღეს ყვავილები ვიყიდეთ და საფლავზე გავედით, — დაღონებული ამბობს თემური. — ყველაზე პატარა მეკითხება, — დედას გული საითკენ აქვს, ყვავილები რომ დავუწყოო.

თვალზე ცრემლი მომერია, ჩემთვის გავიფიქრე: „თემურ მელქაძეს იმდენი ძალა და მხნეობა შესწევს, რომ სითბო და მზრუნველობა შვილებსაც გაუნაწილოს და ტყესაც“.

***

ცა უცებ მოიქუშა. ოქროპირიძემ მაღლა აიხედა და, წამოსული შავი ღრუბელი რომ შეამჩნია, სახეზე უგუნებობა დაეტყო.

— კიდევ იწვიმებს, აღარ გვეშვება, — ჩაილაპარაკა და განაგრძო, — ტყის შესაწამლად დღეში ოცდაოთხ აფრენას მაინც აკეთებს ვერტმფრენი. შევწამლავთ, დავმშვიდდებით და გავიხედავთ, ისევ ნაკვალევი აავდრდება ხოლმე.

— წვიმა ხელს ასე გიშლით? — ვკითხე.

— გვიშლის რომელია, რაც შევწამლეთ, გადარეცხავს, ისევ ხელმეორედ მოგვიხდება ტყის შეწამვლა, და ეს მერამდენედ, — წუხს.

— პრეპარატი თუ ძლიერია, „ზომელაზე“ და „არაფარდაზე“ მაინც იმოქმედებს, წვიმა რას გახდება, — ვაიმედებ.

— დარი სჯობს, დაავადებულმა ხეებმა ძლივს თვალში გამოიხედეს. აჰა, შეხედე, წამოწინწკლა, ალბათ გაავდრდება კიდეც. ცას ისევ ახედა, — ბედი არ გინდა, — თქვა გულმოსულმა და მანქანაში ჩაჯდა.

***

ეროვნულ პარკს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი სატყეო აქვს. ეს მამკოდის მემორიალია, სადაც ძირითადად თავს იყრიან როგორც არქიტექტურული, ასევე ეთნოგრაფიული თუ ისტორიული ძეგლები. ამ ლამაზი ეროვნული არქიტექტურული ანსამბლის აღდგენა-ჩამოყალიბებაში დიდი სამუშაოები ჩაატარა ინჟინერ-მშენებელმა ზაურ კიკვაძემ, რომელიც აქ პარკის დაარსებიდან მუშაობს.

— კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს გასაკეთებელი, ამას თანდათანობით გავაკეთებთ, — გვეუბნება მამკოდის სატყეოს უფროსი გაიოზ ბანეთიშვილი, რომელმაც კარგად იცის, რომ ეროვნული პარკის თვალი მაინც მამკოდის მემორიალია თავისი განუმეორებელი პეიზაჟებით, პანორამებით, ბეწვის ხიდით, ციხე-კოშკებით და ოდა-სახლებით.

გაგონილს თვალით ნანახი სჯობსო, — უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, სწორედ ნანახმა და განცდილმა ნათლად დაგვანახა, რომ მარტყოფის სატყეო (უფროსი ზაურ მიმინოშვილი) თავისი განთქმული ისტორიული ძეგლებით, მამკოდის მემორიალს არაფრით ჩამოუვარდება. აქ ნახავთ ღვთის მონასტერს, მარტყოფის ველს, არჩილისა და წმინდა გიორგის მონასტრებს, წყაროებს. ტყეც კარგად აქვთ მოვლილი.

***

ეროვნულმა პარკმა თავისი არსებობის თოთხმეტი წლის მანძილზე ბევრი რამ გააკეთა, თუმცა დასვენების ადგილების რაოდენობა, ჯერჯერობით ზუსტად არ არის ნორმირებული.

საქართველო საქვეყნოდ არის განთქმული საკურორტო ზონების უნიკალური კორომებითა და მრავალფეროვანი ტყეებით.

ამ მხრივ თბილისის ეროვნულმა პარკმაც თავისი სიტყვა უნდა თქვას, მით უმეტეს, რომ მის დასათვალიერებლად ბევრი უცხოელი სტუმარი ჩამოდის.

— წელსაც იყვნენ საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, — გვეუბნება პარკის დირექტორი დავით გიგაური. — ისინი პროფესიით მეტყევეები არიან და აინტერესებთ ჩვენი ეროვნული პარკი. ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის ეროვნული პარკების შემდეგ, ჩვენი ეროვნული პარკი საბჭოთა კავშირში მეოთხეა. თბილისის ეროვნულ პარკს დიდი პერსპექტივები და მომავალი აქვს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოტო ბონდო დვალიშვილისა

გზა მშვიდობისა.



ფოტო ი. შელამოვისა (სპეციალური)

ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე

ნახატი გ. ფირცხალავასი

მსოფლიო ჩემპიონები გარი კასპაროვი და მაია ჩიბურდანიძე.

ნახატი შ. შანიძისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი ჰაერიანი ყოფილა

ფოტო არნოლდ მიმეშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭადრაკო ცხოვრებიდან ილევ შაისლია

უველა გზა მიდიოდა... თელავისაკენ. მოხდა ისე, რომ მატჩს თელავში მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის არაერთი სხვა საჭადრაკო შეჯიბრებაც დაემთხვა. მით უარესი ამ შეჯიბრებებისათვის! თვენახევრის მანძილზე გულშემატკივრებს მხოლოდ თელავის ამბები აინტერესებდათ, დიდი დაძაბულობით ადევნებდნენ თვალყურს იმ შედგარ ბრძოლას, რომელიც მსოფლიოს ორ უძლიერეს მოჭადრაკეს შორის მიმდინარეობდა. მსოფლიო პირველობაზე იოლი მატჩები არ ასრულებობსო, ნათქვამია. ეს სწორია ან ნაწილობრივ სწორი იმიტომ, რომ წინა ორ შეხვედრაში მსოფლიო პირველობაზე ირინე ლევიტინასა და ელენე ახმილოვსკაიასთან მაია ჩიბურდანიძეს მაინც ერთგვარი „შესვენება“ ჰქონდა. ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ შეძლეს ჩემპიონის „ტახტის“ შერყევა, მატჩებისადმი ინტერესმაც თანდათან იკლო და ბოლოს ყველაფერი ბანალურ „ცალ-კარში თამაშში“ გადაიზარდა. ეს კარგად აისახა ამ შეხვედრების საბოლოო ანგარიშშიც. შეიძლებოდა ერთი დასკვნის გამოტანაც: უფროსი თაობის მოჭადრაკეები უკვე ვეღარ უწევდნენ მსოფლიო ჩემპიონს სათანადო წინააღმდეგობას, ვერ უძლებდნენ დაძაბულობას, იმ დიდ ნერვულ დატვირთვებს, მატჩებს რომ ახლავს ხოლმე.

ერთი სიტყვით, თუ ვინმე შეუქმნიდა მაია ჩიბურდანიძეს რაიმე ხიფათს, ეს მხოლოდ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.

დიდად ნიჭიერი ნანა იოსელიანი. მთელი მატჩი თელავში პრეტენდენტმა დიდი ენერგიით, ექსპრესიულად წარმართა. მისი შეტევითი ინიციატივა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო პირველ ექვს პარტიაში, როცა იოსელიანი სისტემატურად იღებდა უკეთეს პოზიციებს. იღებდა, მაგრამ... ვერ იყენებდა! აქ, ერთი მხრივ, თავი იჩინა სათანადო გამოცდილების უქონლობამ, ეჩვეულო სიტუაციამ, ზოგჯერ, თუ გნებავთ, თავისი როლი უიღბლობამაც შეასრულა. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ მაია ჩიბურდანიძე, თუმცა დასაწყისში (როგორც მას საერთოდ სჩვევია კიდეც) სრული ძალით ვერ თამაშობდა, მაინც არაჩვეულებრივი შეუპოვრობით იცავდა უარეს პოზიციებს და... უკეთეს დროს ელოდა.

ექვსი პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო, თუმცა იოსელიანის მომხრეების აზრით, მათი ფავორიტი ორი ქულით მაინც უნდა ყოფილიყო წინ. ახლა ძნელი სათქმელია, რამდენად იმოქმედებდა ეს გარემოება მატჩის საბოლოო შედეგზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სტარტზე იოსელიანმა საუკეთესო შესაძლებლობები დაკარგა.

თეორიული მომზადების თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, იოსელიანის უდავო მიგნებად უნდა ჩავთვალოთ შავებით კარო-კანის დაცვის გამოყენება, დაცვისა, რომელიც მის რეპერტუარში ადრე საერთოდ არა გვხვდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მატჩის წინ ჩიბურდანიძე სპეციალურად ვერ მოემზადებოდა კარო-კანის დაცვის წინააღმდეგ. ასე რომ, იოსელიანი თუ ამ, მისთვის უცხო, სადებიუტო სისტემას მიმართავდა, შეიძლება აზრად არც ჩემპიონის სეკუნდანტებს დიდოსტატ გენადი კუზმინსა და საერთაშორისო ოსტატ იგორ პოლოვოდინს მოსვლოდათ. ამ მოულოდნელობის ელემენტმა კი, თავისი ნაყოფი გამოიღო. ზედიზედ სამჯერ თეორებით კარო-კანის დაცვის წინააღმდეგ ჩიბურდანიძემ ისეთი აუხერხული პოზიციები მიიღო, რომ მოგებაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა.

საერთოდ, მატჩის სტარტზე იოსელიანმა გვიჩვენა ის აშვიათი თვისებები, რომელიც მას ახასიათებს: დიდი ფანტაზია, შემართება, შეტევის წარმართვის უნარი, გონებამახვილობა, ენერგია... აი, მისი მოწინააღმდეგე მაია ჩიბურდანიძე რომ არ ყოფილიყო...

მაია შეტევაზე გადავიდა. კარო-კანის დაცვის შესახებ მართლაც რომ უმდიდრესი ლიტერატურა შეიქმნა. როცა მის წინააღმდეგ ერთმა იარაღმა, ე. წ. „პანოვის შეტევამ“ არ გაამართლა, ჩიბურდანიძემ გადაწყვიტა სხვა რესურსის ამოქმედება. მან მიმართა უმწვავეს ვარიანტს, რომელსაც გარი კასპაროვი ანატოლი კარპოვის წინააღმდეგ იყენებდა და ეს არჩევანი სავსებით სწორი გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, მეშვიდე პარტიაში პრეტენდენტმა ვერ შეძლო სადებიუტო პრობლემების გადაჭრა. ჩიბურდანიძის შემტევმა ძალებმა „დაბარებულებივით“ მოიყარეს თავი მეფის ფრთაზე. ჩემპიონი დიდი გონებამახვილობით წარმართავდა იერიშს და ამ პარტიის მოგებით დაწინაურდა კიდეც. ანგარიში 4:3 გახდა და სხვათა შორის, ნათლად გვიჩვენა — ჩიბურდანიძე ჩვეული ძალით იწყებდა თამაშს. ახლა პრეტენდენტის წინაშე უკვე გაცილებით ძნელად გადასაჭრელი ამოცანა დგებოდა, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, სულაც არ აპირებდა ფარ-ხმალის დაყრას. ბრძოლა მეტი სიმძაფრით გაგრძელდა.

მაიამ ერთი გარემოებაც გაითვალისწინა — ნანა თეორებით მეტად ენერგიულად იბრძვის, როცა ესპანური პარტია თამაშდება. ამ დებიუტიდან გამომდინარე პოზიციებს იგი ჩინებულად იცნობს, რაც მთავარია, ისინი მთლიანად შეესატყვისებიან პრეტენდენტის ტემპერამენტს. ამიტომ ჩემპიონმა გადაწყვიტა, პრეტენდენტისათვის ესპანური პარტიის გამოყენების საშუალება აღარ მიეცა. ამიერიდან მაიამ უკვე სიცილიურ დაცვაზე აიღო აქცენტი, მაგრამ, როგორც გამოირკვა, მომავლისთვის კიდევ სხვა დებიუტებიც შემოინახა. ეს უკვე მის მრავალმხრივ, საგულდაგულო მზადებაზე მეტყველებდა.

თერთმეტი პარტიის შემდეგ ჩიბურდანიძე უკვე ორი ქულით იყო წინ, ეს თითქმის „დასასრულის დასაწყისს“ მოასწავებდა, თუმცა სჯობს, ნუ ავჩქარდებით...

როცა მეთორმეტე პარტია იოსელიანმა ჩვეულებისამებრ მეფის წინა პაიკით დაიწყო, იგი თვალებს არ უჯერებდა: შავებმა მიმართეს სწორედ იმ კარო-კანის დაცვას, აქამდე პრეტენდენტმა ოთხჯერ რომ გამოიყენა. ერთი სიტყვით, იოსელიანს საკუთარი იარაღის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა.

რა უნდა ეღონა პრეტენდენტს?! აქ წინასწარი მომზადება ვეღარ გამოადგებოდა, საჭირო იყო სწრაფი გადაწყვეტილების მიღება და იოსელიანმა ეს გააკეთა კიდეც. თავის დროზე მიხეილ ტალმა ასევე კარო-კანის დაცვას „ამოფარებულ“ მიხეილ ბოტვინიკს ერთი უმწვავესი ვარიანტი შესთავაზა, რომელიც ადრეულ სტადიაში შეტევაზე გადასვლასთან არის დაკავშირებული. თეორები, თითქოს აქ არაფერიაო, თავიდანვე აშიშვლებენ საკუთარი მეფის ფრთას და გადადიან (ერთი შეხედვით) „ჰუსარულ იერიშზე“. სკეპტიკოსები მაშინვე ამბობდნენ, ეს იერიში სტრატეგიულად დასაბუთებული არ არისო. ისინი სწორი რომ არ იყვნენ, ძალიან მალე დადასტურდა. თვით დიდი საჭადრაკო სტრატეგი მიხეილ ბოტვინიკიც კი ალღოს ვერ უღებდა თეორების, ერთი შეხედვით, ავანტიურულ შეტევას და სისტემატურად ცაიტნოტში ვარდებოდა.

იოსელიანმა მეთორმეტე პარტიაში სწორედ ტალის რეცეპტი გამოიყენა, მოსაგები პოზიციაც მიიღო, მაგრამ შემდეგ რატომღაც რამდენჯერმე შეფერხდა. ჩიბურდანიძემ შეუპოვარი დაცვით შეძლო უმძიმესი პოზიციის ხსნა. ვფიქრობთ, მატჩის ბედიც საბოლოოდ ამ პარტიამ გადაწყვიტა.

„მანდატი“ ორი წლით. ახლა მაია ჩიბურდანიძის „მანდატი“ კიდევ ორი წლით გაგრძელდა. მას შეუძლია, გაისად ცოტა დაისვენოს, 1990 წელს კი მორიგი მატჩი მოელის მსოფლიო პირველობაზე. ვის წინააღმდეგ? ვინ იცის! ახლა მსოფლიო ჩემპიონთან შებმის მსურველი ბევრია. ტარდება მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირები, აქ გამარჯვებულები კი გაისად საზონთაშორისო ასპარეზობებში (ასეთი ორია) მოიყრიან თავს. 1990 წლის დასაწყისში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონობის 8 პრეტენდენტის ორწლიანი მატჩ-ტურნირი. მისი ორი მონაწილე წინასწარვე ცნობილია: ნანა იოსელიანი და ელენე ახმილოვსკაია.

მაინც ვინ იქნება მაიას მომდევნო მეტოქე? ნანა იოსელიანი? ეს, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, მით უმეტეს, რომ ექსპრეტენდენტმა ამ მატჩში დიდი გამოცდილება შეიძინა. სწორედ ის გამოცდილება, რაც ყველაზე მეტად აკლდა. დებმა პოლგარებმა, რომლებიც აქამდე ქალებთან თამაშს ერიდებოდნენ, ახლა ხელი აიღეს ამ გადაწყვეტილებაზე. შეიძლება მაიას რომელიმე მათგანი შეხვდეს? რა თქმა უნდა, არც ეს არის გამორიცხული. იქნებ ქეთევან არახამია? ერთი სიტყვით, ვნახოთ.

მჩქეფარე და მღელვარე საჭადრაკო ცხოვრება გრძელდება...

გივი გამრეკელი

ქართული ეროვნული საგანძური



პირისპირ

„...როცა ამას წინათ ხელმეორედ გადავიკითხე ეს წიგნი, გაკვირვებული დავრჩი. როგორ ვახერხებთ ჩვენ ასეთი დონის ნაწარმოებისა და მწერლის წლების განმავლობაში ჩრდილში ჩაყენებას... მაშინ, როდესაც გაცილებით უფრო ნაკლები ხარისხის მწერლები და ნაწარმოებები ლამის არის ცაში გვყავს აყვანილი", — აღნიშნავს გურამ გეგეშიძე ალექსანდრე ქუთათელსა და მის „პირისპირზე" „მნათობში" დაბეჭდილ წერილში.

სასიამოვნოა, როცა ასეთი გულითადობით ნათქვამ სიტყვას კითხულობ. მითუმეტეს სასიამოვნოა ეს მაშინ, როცა ამას მწერალი ამბობს მწერალზე. „პირისპირ" მართლაც ეპოქალური ნაწარმოებია და მისი ღირსება, უპირველეს ყოვლისა, მის მხატვრულ ღირებულებაშია. წლების მანძილზე ის მკითხველთა საყვარელი წიგნი გახლდათ და მას განსაკუთრებული გულისყურით კითხულობდა ახალგაზრდობა. აზრის სიღრმითა და ფორმის სისადავით გამორჩეული ეს ოთხტომიანი რომანი, ქართული ლიტერატურის შენაძენია და, გურამ გეგეშიძის ბრძანებისა არ იყოს, საკვირველია, როგორ ხერხდება „წლების განმავლობაში მისი ჩრდილში ჩაყენება".

ალექსანდრე ქუთათელი იყო პირველი ცოცხალი მწერალი, რომელიც შვიდი წლის ბავშვმა ვნახე. მამაჩემმა, გვარდიის ინჟინერ-პოლკოვნიკმა, ომი რომ დაიწყო, მე და დედა ქალაქ ჩერნიგოვიდან ევაკუაციით ჩამოგვიყვანა ბებიასთან, ქუთაისში. ომის პირველი ზაფხული ბაღდათში, სოფელ როკითში გავატარეთ ნათესავებთან. აღარც გავყრილვართ მერე ამ შესანიშნავ სოფელს, ნიკოლოზ კახიანის, გიორგი ახვლედიანის, იუსტინე აბულაძის, დემეტრაძეებისა და ქუთათელაძეების ალაგის დედას. განსაკუთრებით მიყვარდა ქუთათელაძეების ოჯახი, მომხიბვლელი მედეა ქუთათელაძე ნოდარითა და ედიშერით — თავისი რაინდი ძმებით, რომლებიც იმხანად რეპრესირებული მამის გამო სოფელში ცხოვრობდნენ.

აი, მათთან ვნახე მათი ღვიძლი ბიძა ალექსანდრე ქუთათელი, ყველასათვის საყვარელი მწერალი, როკითის მუდამ ძვირფასი სტუმარი. დედაჩემი კი მაცნობდა „პირისპირის" გმირთა პროტოტიპებს, ჩემთვის მუდამ ძვირფას ადამიანებს — გიორგი ახვლედიანს, ნიკოლოზ კახიანს, ლეგენდად რომ დარჩა სოფელს, რუთა ბეროძეს, თითონ მედეას, სხვათა და სხვათა.

მწერალი მხოლოდ ასეთი წარმომედგინა: საშუალოზე მაღალი, დახვეწილი ქართველი ინტელიგენტი, არისტოკრატული ნატიფი მანერებითა და სუფთა ქართულით მოსაუბრე. იუმორით გასხივოსნებული, ლაღი, ბავშვთან ბავშვი, მუდამ ჭაბუკურად შემართული, ხუმრობაში ლათინური ფრაზების მომშველიებელი, ღიმილიანი, სევდიანი თვალებით, სწორი, გრძელი ცხვირით, თხელი და ათლეტურიც, შუბლგახსნილი, მოსიყვარულე, კეთილშობილი რაინდი. უყვარდა ყველას, უამრავი მეგობარი ყავდა, დრო არ ენანებოდა არც თანატოლებისათვის, არც ახალგაზრდებისთვის.

როკითში ჩამოსვლისას უსათუოდ გიორგი ახვლედიანის ეზოში უნდა აევლო. კარგარეთლების ძელქვის ძირას ჩამოჯდებოდა. გარშემო შემოეხვეოდნენ როკითელები. მერიდებოდა, მაგრამ მაინც მივუახლოვდებოდი ხოლმე. ბიძია გიორგი „უკრაინელ როკითელს" მეძახდა, ბატონი ალექსანდრე ჩემს ქართველობას ამოღებული ხმლით იცავდა და მეც სხაპასხუპით ვკითხულობდი ლექსს ლექსზე იმით შეშინებული, ქართველობა არ წამართვან-მეთქი.

ალექსანდრე ქუთათელს, მედეა ქუთათელაძისაგან მსმენია, იუბილეები და საზეიმო საღამოები არ უყვარდა. სამოცდამეათე წლისთავზე „კომუნისტში" ბატონი დაიბეჭდა ნიკოლოზ ტიხონოვისა და სერგო კლდიაშვილის წერილები.

— ძვირფასო, გულითადო მეგობარო, აი, შენც მიაღწიე შენი ცხოვრების გზაზე აღმართულ ბუმბერაზ ნიშანსვეტს, რომელზეც სწერია: სამოცდაათი! ისეთი ადამიანისათვის, როგორიც შენა ხარ, ეს ციფრი მხოლოდ სიმწიფისა და სიბრძნის ნიშანია — სხვას არაფერს არ გამოხატავს. მაგრამ ჩვენ, რომლებსაც უკვე დიდი ხანია, რაც საშა გვიყვარს, გულითადად ვეხვევით ძველ მეგობარს მისი არაჩვეულებრივი ზეიმის დღეს, რომელიც ბევრ რამეზე მეტყველებს... როგორც გამოჩენილმა მწერალმა, როგორც შესანიშნავმა ადამიანმა, პატრიოტმა და ულამაზესი საქართველოს ერთგულმა შვილმა შენ დაიმსახურე გულითადი აღიარება ხალხისა, — წერდა მაშინ ნიკოლოზ ტიხონოვი.

ალექსანდრე ქუთათელი (ქუთათელაძე) დაიბადა 1898 წელს ქუთაისში. დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია 1917 წელს და ჩაირიცხა კიევის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. მონაწილეობდა თურქეთის ომში. კიევსა და მედიცინას აღარ უბრუნდება. თბილისის უნივერსიტეტს ირჩევს ფილოლოგიის შესასწავლად. მალე იქცევს გრიგოლ წერეთლის ყურადღებას და ეუფლება ძველბერძნულს, სწავლობს იონურ და დორიულ კილოკავებს. 1923 წელს ჟურნალ „სახიობაში" ჩნდება მისი პირველი ნაწარმოები — ბერძნული მითოსის სიუჟეტურ ქარგაზე აგებული დრამა „ქრისე". ანტიკური ლიტერატურის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ შთამაგონებელი გავლენა იქონია ახალგაზრდა მწერლის მსოფლმხედველობაზე. წერს ლექსებს, პოემებს, დრამატურგიაშიც ცდის ბედს, და არც უშედეგოდ. მის მეორე ნაწარმოებს (კომედია „ნაშუაღამევი") დგამს კოტე მარჯანიშვილი. ლექსების პირველივე წიგნით (1934 წელს)დგება პოეტური სიტყვის თვალსაჩინო ოსტატთა რიგებში.

დასანანია, რომ დღემდე უყურადღებოდაა მივიწყებული მისი ვრცელი პოემა „ბედი მდევარი", რომელიც ალ. ქუთათელმა უძღვნა გრიგოლ ორბელიანს. ასევე მივიწყებულია მწერლის მრავალი მოთხრობა და ესსე, „აბესალომ და ეთერიც" კი, მშვენიერი ნაწარმოები უბადლო მომღერლის ვანო სარაჯიშვილის ცხოვრებაზე.

სერგო კლდიაშვილმა ამ მოთხრობის შესახებ თავის დროზე თქვა: „აქ მკვეთრად იგრძნობა ქუთათელის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მეორე მხარე — დახვეწილი, ფაქიზი ლირიზმი. ეს გარემოება მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა მრავალმხრივი ტალანტით არის დაჯილდოებული მწერალი. „აბესალომ და ეთერი" საყურადღებოა იმითაც, რომ აქ ავტორი პოეზიის, მუსიკის, ხელოვნების საკრალური ბუნებისა და თვისებების საიდუმლოს გამოცნობას ისახავს მიზნად".

მწერალმა დიდი ამაგი დასდო მთარგმნელობითი ლიტერატურის განვითარებას. ძველბერძნულიდან თარგმნა და სიმონ ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობით გამოსცა ესქილეს ტრაგედია „პრომეთე", გერმანულიდან თარგმნა გოეთეს „ფაუსტი". მაგრამ ენების სრულყოფილად მცოდნე, დიდად განათლებული ინტელიგენტი, უწი-

ნარეესად რომანისტია, იმ ეპოქისა და ადამიანების მხატვარი პორტრეტისტი, რომელთა გვერდით მოუხდა თავად ცხოვრება.

ოთხტომიან ეპოპეა „პირისპირზე“ კი რამდენი რამაა სათქმელი. გამოქვეყნებისთანავე ეს რომანი-ეპოპეა ფართოდ გახმაურდა ჩვენშიც და ითარგმნა რუსულად, ბელორუსულად, სომხურად, ოსურად, გერმანულად, ჩეხურად.

„პირისპირში“ ალექსანდრე ქუთათელმა უტყუარი მხატვრული ალღოთი წარმოაჩინა ოციანი წლების საქართველოს ინტელიგენცია. გლეხკაცობის სახეები. დოკუმენტურად გააცოცხლა ის, რაც იყო, რაც ხდებოდა, ყველაფერი ცხოვრებისეული, შეულამაზებლად და ამავე დროს მაღალმხატვრულად, სადად, გასაგებად მკითხველისათვის მისაწვდომად. დაგვაახლოვა ჩვენი ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს.

აქ ისევ გურამ გეგეშიძე უნდა მოვიშვილიო და მოვიტანო მისი სიტყვები: „ჩვენ არა გვაქვს უფლება ასეთი წიგნის მიფუჩეჩებისა, ჩვენი ახალგაზრდობა ამგვარ წიგნებზე და მაგალითებზე უნდა იზრდებოდეს, სადაც კეთილშობილება, სიამაყე, ზრდილობა, განათლება, ღირსება და პატიოსნება არის თავისთავადი ფასეულობანი და ადამიანს სწამს ამ ფასეულობათა მნიშვნელობა და საჭიროება“...

...სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: თანამედროვე ახალგაზრდობა ხეირიანად არც იცნობს ალექსანდრე ქუთათელის შემოქმედებას. არც ერთ სახელმძღვანელოში არ არის შეტანილი მისი ლექსი, თუნდაც ნაწყვეტი რომელიმე მოთხრობიდან. ასე გვერდავლილია საბჭოთა ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1986 წელს გამოიცა „პირისპირ“. გამოიცა ისეთი მცირე ტირაჟით, რომ მხოლოდ მაკულატურის ჩაბარებაზე აღებული ქვითრით დარიგდა.

ალექსანდრე ქუთათელი წელს ოთხმოცდაათი წლისა გახდა. და მე მინდა ეს წერილი დავამთავრო მისი საეპიტაფიო ლექსით:

ცისა და მიწის მცნობელი
გული ჩავიდა საგულეს,
როცა ვიხილე მშობელი
ქვეყანა მოჭირნახულე.
ქართლო, მიმიღე მეგობრად,
საწუთრომ სად არ მატარა!
შენი ერთი ხეც მეყოფა
და მისი ჩრდილი პატარა.
პატარა ჩრდილი მეყოფა,
ხის მხოლოდ სამი ფიცარი.
ქართლო, მიმიღე მეგობრად,
შენი ვარ, შენად მიცანი!

ვალმოხდილი შემოქმედის ნათქვამია ეს სტრიქონები, შემოქმედისა, ქვეყანას რომ სინდისიერი კალმით ემსახურა და ალალად თქვა თავისი სათქმელი. სული არ დაუბერდა, დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა, სულიერად იტანჯა კიდეც, და იპოვა ღირსეული ადგილი მკითხველთა გულში.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა წარმოუდგენელია ალექსანდრე ქუთათელის შემოქმედების გარეშე.

კირა კვეიძე

ნუგზარ აფხაზავა

ჰარა-ლელე-ბი

ჩემი მეზობელი მგელი

გუშინ, დილით, ჩემი კარის მეზობელი მგელი გამომიტყდა:

— მორჩა, ამიერიდან ცხვრის ხორცის მჭამელი აღარ ვარო.

რატომ-მეთქი?

რატომ-და, თურმე უცნაური ხიზმარი უნახავს: ცხვრის დუმა მგელს გამობმია, ცხვარს კი ბალახის წიწკნაზე ხელი აუღია და მგელს შეხაჭმელად განთქია. თავზარდაცემულმა მგელმა თურმე ფარეხისკენ მოუხვია, მაგრამ წინადღით მის მიერვე გამოხრული ცხვრის ჩონჩხს ფეხი წამოხდო და ცხვირი მიწაში წაჰკრა. სწორედ ამ დროს გამგელებული ცხვარი დუმაში სწვდომია და მოუქაჩავს. „პეეო“, — დაპეტალება სდომია მგელს, მაგრამ უმუილი აღმოხდომია და თურმე ამას გაუღვიძებია.

— ამისთანა კოშმარი ჩემს დღეში არ მსიზმრებიაო, — თქვა ფერდაკარგულმა, სულმთლად გარუხებულმა მგელმა.

...ხალამოს იმ ორლობეში ჩამოვიარე და რას ვხედავ, — ჩემი მეზობელი მგელი ძმაკაცებთან ერთად ბატკნის მწვადებს არ მიირთმევს?

ეგაა შენი სიტყვა-მეთქი?!

თათი ჩაიქნია:

— წუხელ ჩემსავე მგლურ უმუილს რომ არ გავეღვიძებინე, ის მგლადქცეული ცხვარი ხომ აქეთ შემჭამდაო, — იმართლა თავი.

ამაზეა ნათქვამი: მგელი არ მოიშლის მგლობასაო.

მეტამორფოზა

სხვაფრივ ის ჩემი ნაცნობი სავხებით ჩვეულებრივი ჭაბუკი გახლდათ: ცეკვებზედაც დადიოდა და გიტარასაც უკრავდა, გოგოებსაც ეარშიყებოდა და წყალნარევ ლექსებსაც წერდა.

ერთი უცნაურობა სჭირდა მხოლოდ: მუდამ მარტოკა დადიოდა თეატრში. კომედიებს ვერ იტანდა, ჭუდი რომ შეგეგდოთ, არ შეეკითხავდა, ტრაგედიებსა და დრამებზე კი კაცი ვერ მიასწრებდა მისვლას. დაჯდებოდა პირველ ან მეორე რიგში, ოღონდ აუცილებლად კედელთან და სმენად და მზერად გადაიქცეოდა. ხელმოცარულ და უბედურ გმირთა ტანჯვა გულთან ახლოს მიჰქონდა და... ამსიგრძე კაცი ცხარე ცრემლებად იღვრებოდა ხოლმე.

მაინც, სხვაზე უმოწყალოდ ერთი ხახალხო არტისტი ატირებდა. ის დალოცვილი სულ ოტელოს, ლირს, ოიდიპოსსა და ხევისბერ გოჩას თამაშობდა, თანაც ისეთნაირად, ქვასაც კი ღვარად მოადენდა ცრემლს.

რაკი დღენიადაგ ამ როლებში ხედავდა, ის მსახიობი უგრიმო და უნიღბო ცხოვრებაშიაც დაჩაგრული, უბედური და გაუცინარი ეგონა.

ერთხელ იმ ხახალხო არტისტს თაყვანისმცემლებმა შეხვედრა მოუწყვეს. ბანკეტზე როგორღაც ჩემი ნაცნობიც მოხვდა. ასე ეგონა, წარბშეკრულ, დარდიან, თვალნაღვლიან კაცს ვიხილავო.

ის ხახალხო არტისტი კი საკმაოდ უწმაწურ ანეკდოტებს ჰყვებოდა, საკმაოდ ხმამაღლა, ხარხარებდა და და სადღეგრძელოებში ნათქვამი ჭიქა საკმაოდ აშკარად სიამოვნებდა.

ჩემი ნაცნობი სუფრიდან გაიპარა და ბნელ ქუჩაში ცხარე ცრემლებით დაიტირა თავისი გულუბრყვილობა.

ის იყო და ის.

მას შემდეგ წყალობის თვალით გადახედა კომედიებს, თუმცა არც ტრაგედიებზე სიარული შეუწყვეტია. ოღონდ ეგაა, მეფე ლირის, ოიდიპოსისა და ხევისბერის უბედურება ცხარე ცრემლებით აღარ ატირებდა ხოლმე.

თურმე...

პატარაობისას ამ მაღალ-მაღალი თხმელებით ჩამობურულ ანკარა ღელეში ხშირად მიჰყუმპალავია და გუშინდელივით მახსოვს — ყველაზე ღრმა ადგილას ჭიპამდე მიწევდა წყალი მოკლეპერანგა ბალღს.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. წელს სოფელს ვეწვიე თუ არა, ჩემი წყალფირუზა ღელე ხელახლა მოვინახულე და გამიკვირდა — ყველაზე ღრმა ადგილას მუხლებამდეც კი ძლივს მომწვდა წყალი.

დამენანა:

— აფსუს, დამშრალა ჩვენი ღელე და ესაა როგორ დაპატარავებულა!

....ჩემმა ქალიშვილმა, სულ ახლახან ერთი წლის რომ გახდა, დღეს პირველად თქვა „მამა“.

და მაშინ მივხვდი, რომ ის ღელე კი არ დაპატარავებულა, თურმე მე გავზრდილვარ.

„წავმხდარვართ“!

ბინდდებოდა.

ცხრანი იყვნენ.

ერთმა, ულვაშამ, გაშლილ ხელისგულს ტკაცანით დაჰკრა მუშტი და თქვა:

— ბიჭებო, დალევა მინდა და ხახიათი გამისწორეთ. ვკისრულობ.

ბიჭებს უარი არ უთქვამთ, რადგან კიდეც შიოდათ და კიდეც სწყუროდათ. მხოლოდ ერთი მათგანი შეყოყმანდა, ცისფერთვალება, პირხმელი და ტანთხელი ჭაბუკი. მაგრამ თავი შეიკავა და გაჰყვა. ულვაშამ ოდნავ შეხამჩნევად გაუღიმა და მხარზე მსუბუქად ჩამოადო თავისი მძიმე ტორი.

სუფრა გაიშალა — ქორწილს დაამშვენებდა. ქარვისფერი ღვინო სულ ჩინჩხლებს ისროდა, ისეთი იყო. მარტო დაჭაშნიკებაც კი მეცხრე ცას მოგატარებდა კაცს.

ულვაშა წამოდგა:

— ძმებო, დღეს ჩვენ ჭირის სუფრაზე ვართ. ამ მამაპაპური თიხის ჯამით იმ საცოდავი ქალის ხსოვნის სადღეგრძელო შევსვათ, ჩვენი ჭაბუკი მეგობრის ალალი სიყვარული სამარეში რომ ჩაიტანა.

სუფრა წამოიშალა. ცისფერთვალებამ მადლიერი მზერა შეანათა თამადას და თავი ჩაჰკიდა.

შესვეს. დასხდომა დააპირეს. თამადამ გაშლილი ხელისგული ახწია:

— დღეს ეს ვიკმაროთ! ქეიფი —ხვა დროს! წავედით! ოფიციანტო, ანგარიში!

რესტორნიდან გახვლისას ცხრათაგან მხოლოდ ერთმა, კისერშესქელებულმა და ღიპწამოზრდილმა ბიჭმა მოაბრუნა თავი, ჯერ გაოცებულ, გაშტერებულ ოფიციანტს შეხედა, მერე სავხე, ხელუხლებელი სუფრა მოათვალიერა და გუნებაში წაიბუზღუნა:

— წავხდით ქარხველები! ამისთანა სუფრას კაცი მიატოვებდა?!.

ცისფერთვალება ჭაბუკი კი გულთმისანი არ იყო და ის ხქელკისერა ბიჭიც თავის ძმაკაცებში მითვალა....

ეთვარიან ღამეს

ბივი გუთხუზი

ვავცდი სოფელს, ჩავიყავი ჯიბეებში ხელები და გავუტიე გზას. მივიჩქარი და გაყინულ თოვლზე მკვეთრად ისმის ჩემი ნაბიჯების ხმა — ხრაშ-ხრუშ, ხრაშ-ხრუშ... გამახსენდნენ მასპინძლები. თითქმის სათითაოდ წარმომიდგნენ მათი კეთილად გაღიმებული სახეები, თითქოს ჩამესმა კიდეც მუდარის კილოთი აღსავსე ხმები: „დარჩით და ამაღამ ერთად შევხვდეთ ახალ წელს!..“

მე თუ მკითხავს ვინმე, ამ დროს თავის ოჯახში უნდა იყოს ყველა, საკუთარ ჭერქვეშ. მიუთუმეტეს მაშინ, თუ იცის, რომ ძიელის მრავალრიცხოვანი ჯალაბი: ჯერ კიდევ მთლად ახალგაზრდა მშობლები, გასათხოვრად და საქორწილოდ შეღერებული და-ძმები, ცოლი, საყვარელი ბავშვები. რა გინდა სხვაგან? რომ დავეტოვებინე როგორმე, მგლებზეც კი ჩამომიგდეს სიტყვა. წლეულს მოძალებაია, სოფელში შემოდიანო, ძაღლებს იტაცებენო. ერთი პირობა მართლა შევფიქრიანდი, მაგრამ ეს ისე, გულიგულში, არ გამომიხატავს გარეგნულად. რამდენი რამ წამიკითხავს ამ მეტისმეტად ფრთხილ და დაუნდობელ მტაცებელზე. მართლა კია საშიში, მაგრამ რამხელა თავმოყვარეობა გვაქვს ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომელთაც ასე გვერჩის ჯანიც, გულიც, მკლავიც, მუხლიც... ვერ წარმომიდგენია, ერთმა მგელმა რა უნდა უყოს კაცს! ვწვდები ყელში და მივახრჩობ ხელდახელ. რა უნდა დამაკლოს ერთმა? სამი-ოთხი ძაღლი მომიგერიებია ბალღობისას და ერთი მგელი რაა?

მიმოვიხედე ირგვლივ. ვარსკვლავიან ღამეში თუმცა თეთრად ანათებდა თოვლი, მაგრამ არა ჩანდარა კი არსად, არც არა ისმოდა არსაიდან. მარტო ჩემი ფეხის ხმა: ხრაშ-ხრუშ....

თანდათან მომიჭირა ყინვამ და ავიკეცე თბილი საყელო. მერე ჩავიყავი ჯიბეებში ხელები და კვლავ დავფიქრდი მგლებზე. რა ეშმაკად ამეკვიატა ეს უპატრონო? ხომ არ მეშინია და იმიტომ? არა!... მივდივარ მშვიდად, ჩვეულებრივ და გავცქერი გზას. გავალ ამ მინდვრის ბოლოში, ჩავალ ხევს, მერე შევუდგები აღმართს. კიდევ კაი დიდი მანძილია ჩვენს სოფლამდის. ვინ იცის, როგორ მიმელიან შინ, ალბათ, ხშირად იყურებიან გარეთ. შინაურებზე ფიქრმა წუთით თითქოს როგორღაც მიმავიწყა მგლები, მაგრამ თანდათან ისევ წარმომიდგნენ თვალწინ. ალბათ, ასე სჩვევია უდროო დროს უკაცრიელ მინდორში მიმავალ დაგვიანებულ მგზავრს, როცა ირგვლივ ყველაფერი თოვლით არის გადალესილი.

იქნებ არც მე ვარ გამონაკლისი? მერე რა? ვიფიქრო ჩემთვის! ვინ ჩამხედავს გულში? მგელი!.. მომიკრავს ყური, რომ მთლად ამოწყვიტეს ავსტრალიასა და ევროპაში. კარგი ქნეს ძალიან. რასაც ის ზიანს აყენებს ცხვარ-საქონელს, შვლებს, ირმებს, ყველაფერს, რაც კი ცოცხალი რამ დაჭაჭანებს წყალსა თუ ხმელეთზე. აღარ უნდა ბოგინობდეს ჩვენშიც, მაგრამ ვიღაც გამოუჩნდა ქომაგად, ვითომც საჭირო ყოფილიყოს.

ტყუილია. მტკნარი სიცრუეა! რუსეთში მას სპობენ ხაფანგებით, ბისატყუარებით, ვერტმფრენებით, ნადირობენ ჯგუფურადაც. ზოგან თითქმის ამოწყვეტენ მთლად. მაგრამ გამოხდება ხანი, გაჩნდება საიდანღაც და შეაწუხებს ხალხს, ჭამს აქაიქ შემორჩენილ შვლებს, ირმებს, ღორებს. კვლავ დაიწყება მასზე ერთობლივი ნადირობა!...

ჩვენ კი მიშვებული გვყავს ნებაზე. ტყის სანიტარი უწოდა ვიღაცამ და თარეშობს როგორც უნდა. ჰი, ჰი... ჩაგეცინება გუნებაში. ტყის სანიტარი არა?!!

ამოანათა მთვარემ და ქარვისფრად აქათქათდა მინდვრები. ხეთა ჩრდილებით მოიხატა დათოვლილი ველები, გაუცვდათ შუქი გაყინულ ცაში მიკარგულ ვარსკვლავებს. დავიხედე მაჯაზე. თერთმეტზე დატყუპულა ორივე ისარი. ერიჰაა! რამდენი ხანი იქნება, რაც მოვყვები გზას? მასპინძლებთან მაინც მენახა საათი. ვიჩქარო, თორემ... გადაელევათ გული ჩემს ლოდინში! იქნებ თორმეტზე მაინც როგორმე მივიდე შინ? კი, მეყოფა დრო. როგორ გავახარებ ჯალაბს.

ვირბინე ერთხანს, მაგრამ ისევ მოვუკელი თანდათან, მერე კვლავ ჩვეულებრივი ნაბიჯებით განვაგრძე სიარული. თანაც შევათვლიერე არე-მარე. გაჭიმული ქამარივით სწორია მარხილებითა და საბურვებით გაკვერილი გზა. ოღონდ ერთგან ოდნავ ვიწროვდება მინდორი, თითქოს დაბლა ჩამოდის ტყეც და მერე აღარა ჩანს მთვარის ყვითელი შუქით დაქსოვილ ბინდში. ვიყურები წინ და ვხედავ შავ რაღაცას. თითქოს მდინარის ტალღები მიაქანებენო ნარნარად თოვლზე, ისეთი

რწევით როგორღაც ეშვება დაღმა. მივიჩქარი და ვუყურებ იმ ნელიად მოძრავ წერტილს, რომელმაც პირდაპირ ჩამოსერა მინდორი, შედგა გზაზე და წამოვიდა ჩემსკენ. ხომ არ მატყუებს თვალი? უფრო დავძაბე მზერა.

რის მოჩვენება, რა მოჩვენება? მოძუნძულებს ჩემსკენ!.. ტყის სანიტარი ხომ არ იქნება, ნეტა? გამახსენდა მისი ნამოქმედარი ოინები. ირემს ყოველი მხრიდან მოუჭრის გზას და მიუშვებს თითქმის გაუვალი ჯაგნარისკენ, რომ გაებას რქებით. ან გადაჩეხავს კლდეზე. ასევე ემართება ცხენსაც! გადააგდებს მაღალ ბექზე... დათვი ხომ უძლეველად მიაჩნია ყველას, თუ დაიგულა სადმე, მორჩა! სოროში შეასწრებს? იქაც შეჰყვება, იქაც შეაწუხებს, გააბრაზებს და გაექცევა გარეთ. გაედევნება მასპინძელიც. აქა-იქ კი სხვებიც არიან ჩასაფრებულნი... ადამიანს კი ინდობს ეს სანიტარი?..

მიმოვიხედე ირგვლივ, არსად არაფერი არ მოიძევება ხელმოსაკიდი. ამასობაში მოძუნძულდა კიდეც და გაჩერდა პირდაპირ ჩემს წინ. უნებურად გავჩერდი მეც ნამდვილად მგელია, ეს უპატრონო! დაფჩენილი პირი, ნაკვერჩხლებივით ელვარე თვალები. რა უნდა მიყოს მარტო? არა, მე რა უნდა ვქნა ახლა? ვეცე ხელდახელ?

— გადი იქითა! — დავიკივლე.

ფეხიც არ მოუცვლია ადგილიდან.

რაღაცნაირად გამაბრაზა მისმა სითავხედემ. ჯიბეებიდან ამოვიღე ხელები, გავიწოდე მისკენ, რომ ვცემოდი ყელში, გადავდგი რამდენიმე ნაბიჯიც, მაგრამ ამითაც ვერ ვაცვლევინე ნირი.

— გადი იქითა, შე უპატრონოვ, გადი! — ვუყვირე უფრო ხმამაღლა.

უძრავად დგას ქვის ქანდაკებასავით. რა ვქნა. სად გავამხილო სირცხვილით, რომ... არ არის მეტი გზა, უნდა დავბრუნდე უკან! როგორც კი შევალ სოფელში, მოვტეხავ ან მოვაძრობ სადმე ერთ კარგა დიდ მარგილს და მერე მე ვიცი. დავბრუნდი და თანაც მაშინვე მივიხედე მისკენ. ამედევნა გელვეშად. ასე, ათიოდე ნაბიჯზე ნელა გამომყვა. ფრთხილად უნდა ვიყო ყოველ წამს, თუ მომიახლოვდა, კიდევ უფრო... მზად უნდა დავხვდე მეც. ახ, როგორ ძალიან მინდოდა დროით შინ მისვლა! რა მიყო ამ სატიალემ?

დავიწყე სირბილი, რომ მალე შევვარდნილიყავი ორღობეში და ხელთ მეგდო რაღაც.... მივრბივარ და თანაც წამდაუწუმ ვიხედები უკან. ისიც მომდევს ძუნძულით. ერთი სული მაქვს, როდის შევალ სოფელში, რომ ვტაცო ხელი რამეს, დავცხო და მოვიფხანო გული.

ხან მისკენ მივიხედავ, ხანაც წინ გავიხედავ. სოფლის მხრიდანაც რაღაც წერტილმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ვიხედები უკან, წინ, უკან... და უნებურად როგორღაც მომეღო მუხლი. გავჩერდი და გაჩერდნენ ორივენი. აქეთ-იქით — ისინი, შუაში — მე.

გზიდან გადავიდე? სად გავიქცევი დიდ თოვლში? არა და... დგანან და შემომცქერიან ყვითლად აელვარებული თვალებით. ხან ერთს მივხედავ, ხან მეორეს. რომელი მომვარდება პირველად? დგება ყველაზე უმძიმესი წუთები. უნებურად გამახსენდნენ შინაურები. დილაზე ალბათ, წამოვლენ ჩემს საძებნელად, ტანსაცმლის ნაბუარსაც ვეღარ ნახავენ გეშად. მეთვლება წუთები. აი, უკანასკნელი წამები და ორივე ნელა წამოვიდა ჩემსკენ.

უნებურად აღმომხდა უაზრო ბღავილი, მევე შემზარა ჩემმა ხმაძ. მერე თითქოს დაუფიქრებლად როგორღაც ვიტაცე ხელი ჯიბეზე. ხელში მომხვდა რაღაც ხმელი და მაგარი. ამოვიღე ელვისებური სისწრაფით, გავკარი ასანთს და ანთებული ღერი ვესროლე ერთს. იგი მყისვე გადახტა გვერდით, რაკიღა გამითავისუფლდა გზა, ოდნავ გულმოცემულმა მოვკურცხლე ჩვენი სოფლისკენ. მივრბივარ და წამდაუწუმ ვიხედები უკან, თანაც მზადა მაქვს ასანთი. მომიახლოვდებიან თუ არა, ჰაა, ის არის უნდა მეცნენ, რომ მყისვე ვესვრი ანთებულ ღერს და შედგებიან კვლავ. გამოვშორდები კარგა დიდი მანძილით. დამედევნებიან ისევ, მომიახლოვდებიან და მეც უმალვე გავკრავ წინასწარ უკვე მომზადებულ ღერს. ნეტამც შეყოფა სოფლამდის? თითებით ვარკვევ ღერების რაოდენობას. ერთი, ორი, სამი... ათიღაა! რას მეყოფა ეს? მერე რიღათი დავიცვა თავი? მივჩაქჩაქებ და თანაც ვიხედები უკან. აი, საცაა...

ვისროლე უკანასკნელიც და ჩამორჩნენ კვლავ. სწრაფად ვეღარ მივრბივარ. მუხლი მომჭრია. ვსუნთქავ ჩქარ-ჩქარა და თითქოს არ მყოფნის ჰაერიც. რაღა ვქნა ახლა? მიახლოვდებიან და... აღარავითარი საშველი. მეცემიან, ჩამჯენჯავენ... თითქოს უკვე ვგრძნობ მათი კბილების სიმწარეს. ხარბად დამფლეთენ, აუტანელი წამებით მომიღებენ ბოლოს... დაქანცულმა რაღაცას წამოვკარ ფეხი, დავეცი და ვიღრიალე შემზარავად.

ამ დროს ამოაშუქა ხევიდან ამოვარდნილმა მანქანამ და მისი გამჭოლი სინათლით დამფრთხლები, გაუკვალავ თოვლზე დაეშვნენ დაღმა.

აი, ესეც შენი ტყის სანიტრები!..

გზები რაჭაში

რაჭაში გზების მშენებლობასა და რემონტს ემსახურება საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მე-10 საგზაო საამშენებლო სარემონტო სამმართველო (უფროსი რ. მიქაუტაძე).

უკანასკნელ წლებში აშენდა მრავალი თანამედროვე ხიდი და საგზაო ნაგებობა. აღდგა გასული წლის სტიქიით დანგრეული და დაზიანებული საავტომობილო გზები. მრავალ ათეულ კილომეტრზე გამოიცვალა გზის საფარი, დაიგო ასფალტი.

გარდა რეგიონში არსებული რესპუბლიკური მნიშვნელობის ტრასების რესტავრაცია-რემონტისა, ამჟამად მიმდინარეობს მაღალმთიან სოფლებში საავტობუსო გზების გაყვანა. წელს (კერძოდ, ონის რაიონში) დამთავრდება საკაო-მაუეთის, მუხლიბარის, ონი-ბოლთის გზების მშენებლობა. მომავალი წლისათვის ნავარაუდევია ხირხონის-ქორთას გზის დამთავრება. ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობს რეგიონის სხვა რაიონებშიც.

ტექსტი და ფოტო
თარხან არჩვაძისა

18707

ახალი ცნობები გარისის შესახებ

1558 წელს შაჰ-თამაზმა დიდი ლაშქარი გამოგზავნა ქართლის დასაჩოქებლად. მცირერიცხოვანმა მხედრობამ სიმონ ბატონიშვილის სარდლობით სოფელ გარისთან სასტიკად დაამარცხა ყიზილბაშები.

დიდხანს გაურკვეველი იყო, თუ სად მდებარეობდა სოფელი გარისი.

„ქართლის ცხოვრების“ II წიგნში გარისის ადგილმდებარეობის შესახებ ასეთი მინიშნებაა: „რა ეს შეიტყო, მეფე ლუარსაბ გორითგან გარის ვარხუნას მივიდა, იქიდგან შავერდი სულთან წამოვიდა და მოვიდა ქართლად და რა სულთან შავერდი რაზმწყობით მოახლოვდა, და არა ინება მეფემან ომი მინდორსა ზედა, და ჩავიდა გარისს, და უთავა ქართველთა უხუცესი ძე თვისი სვიმონ“ (გვ. 508—509).

ტექსტიდან ირკვევა, რომ ვარხუნო მაღლობზე, ხოლო გარისი მასზე დაბლა, მის ქვემოთ, ტყიან ტაფობში ყოფილა განლაგებული. „ჩა“ — ზმნისწინი ხომ ძოქმედების მხოლოდ ზევიდან ქვემოთ, მაღლიდან დაბლა მიმართულებას აღნიშნავს.

ვახუშტის ცნობების თანახმად ვარხუნოს სახელწოდებით ქვემო ქართლში, ანუ საბარათიანოში, მხოლოდ ერთი სოფელი არსებობდა, რომელიც მართლაც მაღლობზე, ბედნის მთის სამხრეთის უტყეო კალთაზე მდებარეობს და ზევიდან გადმოჰყურებს ქალაქ თეთრიწყაროს. მის ახლოს ერთადერთი დაბლობი, ტყიანი და ვიწრო ტაფობი არსებობს, სადაც აქედან სწრაფად ჩასვლა შეიძლება. ეს არის დღევანდელი თეთრიწყაროს აღმოსავლეთი ტერიტორია. იგი დღესაც ბორცვებითა და ტყიანი ხეობებით არის დაქსელილი. ამ ტერიტორიას სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისითაც აქვს უპირატესობა, ახლოს მდებარეობენ უძლიერესი ციხესიმაგრეები სამშვილდე და ბირთვისი.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ვარლამ გონგაძემ აღმოაჩინა ამ ტერიტორიების რუკა, რომელიც 1847 წელს შეუდგენია მანანა ორბელიანს რუსეთის სამხედრო უწყებისათვის მამულების მიყიდვასთან დაკავშირებით. სოფელი გარისი მდებარეობდა ზუსტად იქ, სადაც დღევანდელი თეთრიწყაროა. მკვლევარის დასკვნით, პირველმოსახლე რუსებმა სათავე დაუდვეს დასახლებას, რომელსაც უწოდეს არა კანონიერი ისტორიული სახელი — გარისი, არამედ კირქვიან ქანებში ჩამომდინარე თეთრი ფერის წყაროს სახელი — „ბელი კლუჩი“ — თეთრი წყარო.

რას ნიშნავს ამ სოფლის სახელწოდება „გარისი“? ზოგი ვარაუდობს, რომ იგი უნდა აღნიშნავდეს გარე ციხეს, ანალოგიურად იმისა, როგორც მაგალითად, ფარცხისი იყო ფარი ციხე, ხოლო ბირთვისი დედა ციხე (ბირთვი ციხე თბილისის დაცვაში). მაგრამ ამ ვარაუდის მომხრენი წინააღმდეგობაში ვარდებიან, რადგან იმასაც აღიარებენ, რომ გარისის ტერიტორიას არ გააჩნია საქართველოს ციხესიმაგრეებისათვის დამახასიათებელი მიუვალი ბუნებრივი მდებარეობა.

ძველ აღწერებსა და სიგელ-გუჯრებში ერთი და იგივე სოფლის სახელი სხვადასხვა ფორმით არის მოხსენიებული და ხშირად ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი მათგანია სწორი. ეს ფაქტორი აქაც მხედველობაშია მისაღები. ვახუშტი ბატონიშვილი ყველგან წერს „გარისი“, ასევე „ქართლის ცხოვრებაშიც“ და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც საბოლოოდ დამკვიდრდა „გარისი“. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1699 წლის 26 მაისის სიგელ-გუჯარი, რომლითაც ქართლის კათალიკოსი იოვანე დიასამიძე მანგლისის ეპისკოპოსს გაბრიელ ჯავახიშვილს უმტკიცებს სამწყსოს დასახლებული პუნქტებისა და საზღვრების მითითებით.

ჩვენთვის აქედან საინტერესოა სახელწოდებები სოფლებისა „ღრისთავი“ და „გორისი“.

ტექსტიდანვე ირკვევა, რომ ზოგიერთ სოფელზე ხშირად ჰქონიათ დავა მანგლელ და დმანელ ეპისკოპოსებს, რის გამოც ქართლის კათალიკოსები იძულებული ყოფილან, განეახლებინათ ძველი სიგელ-გუჯრები და ხელახლა დაემტკიცებინათ საადგილმამულო უფლებანი. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ კათალიკოსს არ სცოდნოდა საკუთარ სამწყსოში არსებული რომელიმე გეოგრაფიული პუნქტის ზუსტი სახელწოდება, ანდა დასაშვებად მიეჩნია მათი მცდარად ჩაწერა ასეთ დოკუმენტში. სიგელში ნათქვამი „ჩვენც იმავე წესით დავამტკიცეთ, რომელიც ბატონიშვილს კათალიკოსს გაერიგებინა“ იმას ნიშნავს, რომ ის განახლებულია, გადაწერილია ძველიდან და დასახლებული პუნქტები მოხსენიებულია უცვლელად, ისეთივე ფორმით, როგორც ძველ სიგელებში იხსენიებოდა.

ამიტომ საფიქრებელია, რომ კათალიკოს იოვანე დიასამიძის სიგელში აღნიშნული სახელწოდებანი სოფლებისა „ღრისთავი“ და „გორისი“ უძველესი და ნამდვილად სწორი, დაუმახინჯებელი ფორმით არის ჩაწერილი. ალგეთის გაღმა სოფლების ადგილმდებარეობანი დღესაც ცნობილია. აღნიშნულ სიგელში ისინი ჩამოთვლილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ განლაგების ზუსტი თანამიმდევრობით: ვაკე, ღრისთავი, გუდარეხი, ცოვრეთი, გორისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი.... სიგელის მიხედვით გორისი იგულისხმება ცოვრეთის (დღევანდელი ქსოვრეთი) დასავლეთით და ვარხოვნას (ამჟამად ვარხუნო) აღმოსავლეთით, მათ მეზობლად, მათ შუა. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით კი იგი ვარხუნოსთან ახლოს მდებარეობდა. ქსოვრეთსა და ვარხუნოს შუა, ვარხუნოსთან ახლოს, დღევანდელი თეთრიწყაროს აღმოსავლეთის უბანია, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ მისი აღმოსავლეთის ნაწილი ნამდვილად გორისის ტერიტორია იყო.

ჩვენი წინაპრები უღრანი ტყით დაფარულ ღრანტე ხეობას უწოდებდნენ ღრეს

ადგილის დედა გვეძახის

(დღესაც ასე ვუწოდებთ), ხოლო ... ქედს, რომლითაც ის ... ღრისთავი ერქვა. ბუნებრივია, რომ ... კოშკთან, ღრისთავზე მდებარე სოფელსაც ღრისთავი ერქვა. საუკუნეების მანძილზე სიტყვამ ფონეტიკური ცვლილება განიცადა, გამოთქმის გაიოლების მიზნით „ღ“ და „რ“ ასოებს შორის გაჩნდა ხმოვანი „ო“ და ასე მივიღეთ დღევანდელი დამახინჯებული ფორმა „ღორისთავი“, რომელიც სულ სხვა მნიშვნელობისაა.

ასევე ეჭვს არ იწვევს, რომ სიგელში ნახსენები გორისიც სწორი ფორმითაა წარმოდგენილი. მისი წარმოშობაც, როგორც ქვემო ქართლის უმეტესი სოფლებისა, უნდა განეპირობებინა გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას. ქვემო ქართლში ბევრია ასეთი სოფელი: პაპისგორა, უკანგორი, დიდგორი, გორისა, გორისუბანი, გორმაღალი, გოროვანი, გორაკა და ა. შ.

მეგალითების თითქმის ყველა სახეობა: კარკნალები (დურნუკი), ლოდოვანები (გოხნარი, ბედენი), ციკლოპური ზღუდეები და ნაციხარ-ნაქალაქევები (ბედენი, ჩხიკვთის გმირთნაკვეთი, სამშვილდე, გოხნარი, ნარდევანი, სანთა, ავრანლო, ტაშბაში, ჩოლაყი, გუმბათი, ოზნი), დოლმენები (გოხნარი, ბედენი, ბეშთაშენი), დარანები (დურნუკი, გოხნარი, ნარდევანი), კრომლეხები (თეთრი წყარო — ალექსეევკის გზაზე).

ცნობილია, რომ ქრისტიანობა გააფთრებით ებრძოდა კერპთაყვანისმცემლობას და ბევრ რამეს სპობდა ან ქრისტიანულ „მოსასხამში“ ხვევდა. მანგლისთან მდებარე კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი ქალქვა — „მამიდას ქვა“ ითვლებოდა მიწათმოქმედების მფარველად არა მარტო წარმართული, არამედ ქრისტიანული რელიგიის პერიოდშიც. მანგლისის ეკლესიის სამღვდელოება მეოცე საუკუნის პირველ ნახევარშიც კი ხანგრძლივი გვალვების პერიოდში „ლაზარობის“ პარალელურად აწყობდა ცრუმორწმუნეთა ხალხმრავალ მსვლელობას „მამიდას ქვასთან“, სადაც იმართებოდა ე. წ. ქვის გადაბრუნების რიტუალი. უკან დაბრუნებული პროცესიის მონაწილენი ალგეთზე გადმოსვლისას ერთმანეთს მდინარეში წუწავდნენ, რის შემდეგაც ღვთის მსახურნი მათ არწმუნებდნენ, რომ აუცილებლად წვიმა მოვიდოდა. ასევეა წმინდა გიორგის (თონეთი), წმინდა ელიას (კლდეისი), კოპალეს (ამჟამად კობალოს ტყე მანგლისის მახლობლად, ალგეთხეობაში) ჟულტი, ციკლოპურ ციხე-სიმაგრე გმირთნაკვეთზე სამების ეკლესიის დაშენება, უძველესი მენჰირების ქვაჯვარად გადაკეთება (სამშვილდე, ჩოლაყი და სხვ.).

ქვაჯვარად გადაკეთებულ საკულტო-მეგალითურ ძეგლად უნდა ჩაითვალოს გორისის ქვასვეტიც. თეთრმა წყაროელმა მოხუცებმა გვიამბეს, რომ ეს სვეტი აღმართული იყო გორაზე XX საუკუნის პირველ ნახევრამდე. აქვე იდგა პატარა ეკლესიაც. კოლექტივიზაციის გარიჟრაჟზე თეთრიწყაროს სასოფლო-სამეურნეო კომუნის წევრებმა ეკლესია დაშალეს და ფერმის მშენებლობისათვის გამოიყენეს, ხოლო ქვასვეტი ბორცვის ფერდობზე არსებულ ქვის სამტეხელოში გადაჩეხეს. ერთ-ერთ ქვისმჭრელს უნდოდა მისი დაჭრა და მშენებლობისათვის სახლში წაღება, მაგრამ, როცა მოხუცებმა უთხ-

რეს, რომ ამ ქვაზე ჯვარია ამოკვეთილი და იგი ისტორიული მნიშვნელობისაა, მას განზრახვაზე ხელი აუღია.

1968 წელს ამ უბანში მცხოვრებმა მოხუცებმა გვიჩვენეს გორაზე ის ადგილი, სადაც ქვასვეტი იდგა, მის დაბლა ფერდობზე კი ქვის სამტეხლო და შიგ პირქვეჩამხობილი დიდი ლოდი. მას ზურგზე აშკარად ეტყობოდა გასაპობი სოლებისათვის ამოჭრილი ღრმულები. მათი თქმით, სწორედ ეს იყო ქვასვეტი. მოგვიანებით ეს ლოდი ტექნიკის დახმარებით გადავაბრუნეთ. მასზე ჯვარი არ აღმოჩნდა. ეს იყო ეკლესიის ზღურბლის ქვა (მას კარის ძელის საბრუნი ქუსლი ჰქონდა ამოჭრილი). ეტყობა, ქვისმთლელებმა მაინც მოახერხეს ქვასვეტის ფარულად დაჭრა და წაღება.

ამავე წელს ჩვენ მიერ მოწვეულმა არქეოლოგებმა შეისწავლეს სამაროვანი და აქაური ქვევრსამარხები ძალზე საყურადღებოდ ჩათვალეს.

„უძველესი ქვევრსამარხები დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი (დაბლაგომი, ფარცხანაყანევი, ბორი, ბანძა, ქუთაისი, ცხაკაიას რაიონის ახალსოფელი, ნოსირი და სხვ). იქ ამ სახის სამარხები ძვ. წ. IV—V საუკუნეებიდან ჩნდება. აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრსამარხები ვრცელდება უფრო გვიან, ძვ. წ. III ს. შემდეგ (მცხეთა, ზემო ავჭალა, ურბნისი, კავთისხევი, თბილისი, საგარეჯო, თელავი, მაჩხაანი, წითელწყარო, მუკუზანი, არკნეთი) მაგრამ მიუთითებენ უფრო ადრინდელ ქვევრსამარხებს თეთრწყაროში, ისინი თითქოს VI—V სს. უნდა მიეკუთვნოს, თუმცა ქვევრსამარხთა თარიღად შემოთავაზებულია ხანა არა უადრეს ძვ. წ. IV საუკუნისა. თუნდაც ეს უკანასკნელი თარიღი აღმოსავლეთ საქართველოსათვის საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ თითქმის ორი საუკუნით უსწრებს მცხეთა-სამთავროს უძველეს ქვევრსამარხებს და საინტერესო პერსპექტივებს სახავს ადრეანტიკური ხანის პირველ საფეხურზე მისი გავრცელების შესასწავლად. თუ ეს თარიღი დადასტურდა, მნიშვნელობა ექნება ამ სახეობის სამარხთა წარმომავლობის საკითხების საკვლევადაც და მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის მევენახეობა-მეღვინეობის ისეთი ზომით განვითარების წარმოსადგენად, როდესაც მას სასაქონლო წარმოების მასშტაბები მოუპოვებია. ეს კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების საჩვენებლად“ (ავტორთა ჯგუფი. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.1, გვ. 691—692).

მეცნიერთა ამ ვარაუდზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ გორისის დასახლებას 2600 წლის ისტორია აქვს. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ გორაკზე საფორტიფიკაციო და საკულტო-მეგალითური ნაგებობის არსებობას და იმას, რომ ალგეთხეობაში მეგალითური ძეგლების სიმრავლე ბრინჯაოს ხანაში აქაურობის მჭიდროდ დასახლებაზე მეტყველებს, მაშინ გორისის ტერიტორიაზე ადამიანთა მოსახლობა შეიძლება ბრინჯაოს ხანიდანაც ვივარაუდოთ.

გურამ მაისურაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საირხე: უძველესი ქალაქი

ჯურხა ნადირაძე

წარმატებით დაამთავრა მიმდინარე სეზონი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც უძველეს ნაქალაქარს სწავლობს საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში.

აქ ჯერ კიდევ სამოციან წლებში გაითხარა შავი და ფერადი ლითონის საწარმოო უბნები, სახელოსნოებში აღმოჩნდა ლითონის სადნობი ქურის ნაშთები და ტიგელები. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საირხე ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ქვეყანას ამარაგებდა ლითონის ნაწარმით, ხოლო ამ ათასწლეულის შუა ხანებიდან, როდესაც ფართო სავაჭრო ურთიერთობა მყარდება იმდროინდელ ცივილიზებულ ქვეყნებთან, აქაური ლითონის პროდუქციას გარკვეული წილი უნდა შეეტანა საგარეო საალებმიმცემო საქმეში.

საირხეში შემთხვევით მიაკვლიეს და შემდეგ გათხრების შედეგადაც აღმოჩნდა უძვლესი ტაძრის ფრაგმენტები, მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული დორიული ფორმის კაპიტელები მეტყველებენ, რომ საირხე ორდერული ხუროთმოძღვრების ქალაქი იყო წინაქრისტიანულ ხანაში.

ნაყოფიერების ღვთაების სახელზე აგებული ამ ტაძრის კაპიტელები, რომელთა წონა ნახევარ ტონამდეა, მოტანილია საირხიდან ოცი კილომეტრით დაშორებული ბერეთის კირქვის კარიერიდან. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ იმ დროს უკვე მოწესრიგებული ყოფილა საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციაზეა დაყრდნობილი მთელი სულიერი სფერო. ამავე დროს მასში გაერთიანებულია შუშა-ხელოსანთა და მხატვარ-ხელოსანთა ფართო წრე. საირხე წარმოჩნდა სამეურნეო, სავაჭრო-ეკონომიკურ და სასულიერო ცენტრად, ქალაქად, რომელსაც უეჭველად უნდა ჰყოლოდა პოლიტიკური ხელისუფალი. მაშინ, სამი მოკლევადიანი სეზონის მანძილზე, ექსპედიციამ ამ კვალს ვერ მიაგნო.

1982 წელს ახალმშენებლობასთან დაკავშირებით კვლავ მოგვეცა საშუალება, საირხეში გათხრები გვეწარმოებინა და ჩვენი ყურადღება ისევ საბადურის გორამ მიიქცია. მის დასავლეთ ფერდობზე დავბინავდით და გათხრები დავიწყეთ. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ექვსი სეზონის მანძილზე აქ გამოვლინდა ძვ. წ. VI-I საუკუნეების ნაქალაქარის ფენები, რომელიც შეიცავდა სხვადასხვა ხასიათის ნაგებობათა ნაშთებს, მატერიალური და მხატვრული კულტურის მნიშვნელოვან მასალებს.

აქვე, მიწის პირიდან 5-6 მეტრ სიღრმეზე გაითხარა ხეს ძელებით ნაგები დიდებულთა აკლდამები. ძელები ნახევარმეტრიანი რკინის მძლავრი ლურსმნებით ყოფილა გამაგრებული და შემდეგ ქვის დიდი ლოდებით დაფარული. საუკუნეთა მანძილზე ხე დაფერფლილა, ქვა ფსკერზე ჩახერგილა და ჩვენამდე მოაღწია ფასდაუდებელმა განძმა. მზეზე გამობრწყინდა შესანიშნავად ნახელავი ოქროს ნივთები: საკიდები, საყურეები, სამაჯურები, საკერებლები, ასობით ოქროს ღილაკი, ოქროს მძივები, ოქროს ფირფიტები, ოქროს მძივებისაგან შედგენილი პირამიდული ფორმის ნივთები, ოქროს ფირფიტისაგან გამოკვეთილი არწივები, იხვები, ვერძის თავისაგან შედგენილი ყელსაბამები ვერცხლის დიადემები, სამაჯურები, ბეჭდები და ბოლოს ცხენის ოქრო-ვერცხლის აღკაზმულობა.

ყველაფერი ეს ადგილობრივ სახელოსნოშია დამზადებული. შორეული ქვეყნებიდან კი შემოუტანიათ ნატიფად ნაძერწი და შესანიშნავად მოხატული ბერძნული კერამიკა, ძვირად ღირებული (დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებისათვის დღემდე უნიკალური) სირიული მინის თასი, ფინიკიური მინის ჭურჭელი ნელსაცხებლისათვის, თაზოსური ამფორები ზეითუნის ზეთისათვის, უზარმაზარი სპილენძის ქვაბები. მეორე კამერაში აღმოჩნდა ძვ. წ. V საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ძეგლი—ფრინველის ქანდაკებებით შემკული მოძრავსაკიდიანი საყურეები.

საირხეში, საბადურის გორის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე, მიწის სიღრმეში მეხუთე მეტრზე, ჯერ კიდევ შარშან გაითხარა მშრალად წყობილი ქვისაგან ნაგები საკურთხეველი, რომელსაც აღმოსავლეთიდან პატარა ნიში ჰქონდა ჩაშენებული და შიგ შეწირული საგნები ელაგა. საკურთხევლის გარშემო ეყარა დალეწილი თიხის სასმისები და ქვევრის ნატეხები. ეტყობა, სახელდახელოდ აღმართული საკურთხევლის გარშემო ტრაპეზი გაიმართა და რიტუალი შესრულდა. მისი საკრალურობა ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ რის გამო, ან ვის სახელზე უნდა ყოფილიყო იგი აღმართული, ჩვენთვის გაუგებარი გახდა.

ოქტომბერი მიიწურა, გორებს შორის გაჭრილ თხრილში მსხვილმა ალმაცერმა წვიმამ წამოუშინა. სეზონი დასასრულს მიუახლოვდა, საკურთხეველი მიწით დავფარეთ და ნაქალაქარი ერთი წლით დავტოვეთ.

წლეულს გათხრები წყაროსთავის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე განვაგრძეთ. გაითხარა მიწის პირიდან ერთ მეტრზე გათლილი ქვის კვადრებით ნაშენი ნაგებობის კედლები. კედლებს შიგნით სხვადასხვა დონეზე გამოჩნდა მატერიალური და მხატვრული კულტურის შესანიშნავი ნიმუშები. განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ოსტატურად მოხატულმა ჭურჭლის ფრაგმენტებმა. ასეთი ჭურჭელი ატიკაში იქმნებოდა ამ ორიათასხუთასი წლის წინათ. ერთ მათგანზე, რომელიც ნახანძრად ფენაში ეგდო, ბერძნული მითოლოგიის გმირი სილენია გამოხატული.

აქვე აღმოჩნდა მრავალი ათეული ფრაგმენტი ბერძნული კრატერისა, რომელიც აგრეთვე, ატიკაშია დამზადებული ძვ. წ. IV საუკუნეში. წყალთან ღვინის შესასავებელი ეს ჭურჭელი, რომელიც ბრწყინვალე მხატვრობითაა შემკული, უმეტესად ათენის არისტოკრატიის სასუფრე-სანადიმო ჭურჭელს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, იმ დროისათვის საირხეში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებსაც მოთხოვნილება და შესაძლებლობა ჰქონდათ, შეეძინათ შორეულ ხაბერძნეთში დამზადებული, ოქროსფასად ღირებული ეს ძვირფასი ნივთი. იგი, როგორც ხელოვნების უძველესი ნიმუში, დღსაც დიდად ფასობს.

ნაგებობაში დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ადგილობრივი კერამიკის ფრაგმენტები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და აუარებელი რკინის ნივთი, უცილობელი საბუთი იმისა, რომ საირხე იმ დროისათვის შავი მეტალურგიის უმძლავრეს კერას წარმოადგენდა.

ნაგებობისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ საკურთხევლის არსებობა კარგა ხანს აღარავის გახსენებია. მხოლოდ შუა საფხულში შევუდექით მის გარშემო არსებული ფენების პრეპარაციას. საკურთხეველიც გავასუფთავეთ და სამხრეთის კედლის ჩასწვრივ თხრილი რომ ჩავჭერით, ერთი მეტრის სიღრმეზე ქვაყრილი გამოჩნდა, მერე კედლიც მოიხაზა და ჩვენთვის, ამ საქმეში ჩახედული ხალხისათვის, ნათელი შეიქმნა, რომ აკლდამას მივაკვლიეთ. ისიც ნათელი გახდა, რომ ქვებითა და ხის ძელებით ნაგები აკლდამა მიწის ხქელი ფენით დაფარეს, მის თავზე ხახელდახელო საკურთხეველი აღმართეს და გარდაცვლილისადმი მიძღვნილი საწესო რიტუალი შეასრულეს.

ორ კვირაზე მეტ ხანს უდიდესი სიფრთხილით იწმინდებოდა აკლდამაში ჩახერგილი ქვაყრილი. როგორც იქნა მთლიანად გამოიკვეთა დასაკრძალავი კამერის კედლები. მის მთელ სიგრძეზე ძელების დასამაგრებელი დიდი ზომის ლურსმნები იყო შემოვლებული. ლურსმნების ქვემოთ ორმოცი სანტიმეტრის სიღრმეზე გამოჩნდა სპილენძის ჭურჭლები და ჩვენთვის რამდენადმე ნათელი გახდა, რომ აკლდამა გაუძარცვავი უნდა ყოფილიყო.

სწორედ ამ დროს ჩრდილოეთ კედელთან ახლოს მოიხაზა ვერცხლის სურის პირი, უტყუარი საბუთი იმისა, რომ აკლდამა ხელუხლებლადაა ჩვენამდე მოღწეული. ცოტა ხნის შემდეგ მზის სინათლე იხილა 2400 წლის წინათ მცხოვრები ოსტატის ხელით მაღალმხატვრულად შესრულებულმა კომპოზიციამ, რომელიც ძვირფასად ნახელავი სურის ყელს შემოუყვება. ხარს, ულამაზეს და ძლიერ ცხოველს, უკანა მხრიდან ხახადაღებული ლომი მიდგომია, ეშვისებური ბასრი კბილებით ბარკალს უბოშავს და სადაცაა მიწაზე დაანარცხებს. სიუჟეტი ასტრალურ მოვლენასთან, ეხე იგი წარმართულ ქართულ რელიგიასთანაა დაკავშირებული. შინაარსობრივად ეხმიანება ვანის ოქროს დიადემათა რელიეფის სიუჟეტებს. აქაც ლომი ხარს ამარცხებს. ეს უკვე დიდი აღმოჩენაა, რადგან სურისა და დიადემის კომპო-

ზიციათა ერთგვაროვნება ქვეყნის კულტურულ და რელიგიურ ერთიანობაზე მეტყველებს.

დანა და ფუნჯი გამუდმებით მუშაობს და კამერის ცენტრში გასაოცარი სურათი იხატება. შესანიშნავად ნახელავი კოლხური ჭურჭლის გვერდით ბრწყინავს ნატიფი ორნამენტით შემკული მოოქროვილი ვერცხლის ფიალა, ოფალოსიანი ვერცხლის თასი და ვერცხლის კილიკი. ბრინჯაოსა და ვერცხლის ფიალებთან ერთად ყრია ვერცხლის კოვზები. მათი ტარები გედისა და ვერძის თავების სკულპტურული გამოსახულებებით ბოლოვდება.

კამერის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამოჩნდა ტაფისებური სპილენძის ჭურჭელი, რომლის ტარი აგრეთვე გედის თავის სკულპტურულ გამოსახულებას წარმოადგენს. მის გვერდითაა შესანიშნავად ნახელავი ლითონის დოქი ლამაზი ყურითა და სამყურა ფოთლის მსგავსი პირით. ამ ფორმის ჭურჭელს ბერძნები ღვინის ჩამოსასხმელად ხმარობდნენ და ონოხოიას ეძახდნენ. აქვეა დიდი ზოშის ბრინჯაოს ქვაბები. ერთ მათგანს ადგილობრივი თიხის ჭურჭლის ყურები აქვს. სახელურები ცხოველის თავს გამოხატავს.

თიხის ჭურჭლებს შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია საველე მათარამ, რომლის ზედაპირზე მზისა და არწივის სიმბოლიზაციაა წარმოდგენილი. არწივის დაგრძელებული ფრთები და კუდი მბრუნავ-ხხივებიან მზის დისკოს ერწყმის ისე, რომ მნათობი და ფრინველი ერთ სხეულადაა გააზრებული. ამ კომპოზიციაში თვალნათლივაა დადასტურებული აზრი იმისა, რომ წარმართულ რელიგიაში არწივი მზის ფრინველად იყო მიჩნეული.

სამწუხაროდ, მიცვალებულის ძვლები ცუდადაა შემონახული. იქ, სადაც თავის ქალა უნდა ყოფილიყო, ოქროს გვირგვინი გაბრწყინდა. დიადემა უნიკალურია იმ მხრივ, რომ ასეთი ფორმისა და შემკულობისა, აქამდე მხოლოდ ვერცხლის დიადემები იყო ცნობილი. მასთან ერთად აღმოჩნდა ოქროს წრიულრკალიანი სხივანა საყურეები, ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებებით შედგენილი ოქროს ყელსაბამი. მეორე ყელსაბამსაც ძვირფასი ქვებითა და ოქროს მძივებით შემკული და მაღალმხატვრულად ნახელავი ხარის თავის სკულპტურული გამოსახულება აღშვენებს.

ოქროს სამაჯურებთან ერთად აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი, რომლის ფარაკზე ქურციკია გამოსახული. შესანიშნავი კომპოზიციაა ამოტვიფრული ოქროს ფირფიტაზე: ტახისა და ლომის ხარზე თავდასხმის სცენა. ამ ნივთებს შორის არის ოქროს ზოდი, უტყუარი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ჩვენში ამ დროისათვის არსებობდა ოქროს მომპოვებელი სარეწები. საეჭვო აღარაა, რომ საიუველირო ხელოვნების ის ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზეა მოპოვებული, ადგილობრივ სახელოსნო ცენტრებშია დამზადებული. ვანის გარდა ასეთი ცენტრი ყოფილა საირხეში და ეს სადღეისოდ უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს.

საირხემ თვალნათლივ ცხადყო, რომ ქვეყანაში შექმნილია ერთიანი მხატვრული სტილი, სრულიად განსხვავებული იმ დროის სხვა ქვეყნების საიუველირო ხელოვნებისაგან. იგი ქართული მოდგმის ტომების მიერ შექმნილ უძველეს მხატვრულ ტრადიციებს ემყარება და მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში შეინიშნება ბერძნულ-სპარსული ნიუანსები, მისი ეროვნულობა სადაო აღარ არის.

ახლა, არქეოლოგიური აღმოჩენების ფონზე, დიდად ანგარიშგასაწევი ჩანს ძველ ბერძენ მოღვაწეთა ცნობები კოლხეთის შესახებ. ისინი საქართველოს ისეთი სახელმწიფოების გვერდით ახასელებენ, როგორებიც იყო მიდია და სპარსეთი. მოგვითხრობენ ელინთა და კოლხთა ურთიერთობაზე, აღწერენ მათ ქალაქებსა და ციხეებს, ტაძრებსა და სხვა საზოგადოებრივ ნაგებობებს. ქართულ ტომებს წარმოგვიდგენენ მაშინდელ მსოფლიოში სახელგანთქმულ მელითონეთა, რვალისა და ფოლადის დნობის ოსტატებად. კოლხეთს კი აღიარებენ ოქრომრავალ ქვეყნად.

ერთი სიტყვით, ქართული მაღალგანვითარებული ცივილიზაციის არსებობა ამ ცნობების მიხედვით ეჭვს არ იწვევდა. დღეს ამას თვალნათლივ ადასტურებს საირხეში მოპოვებული უძველესი კულტურის ბრწყინვალე ნიმუშები.



ჯროსვორდი



თარაზულად: 1. ორი ან რამდენიმე ასოსაგან შეთხზული ნიშანი; 5. ისტორიული ოლქი და პროვინცია ესპანეთში; 6. ქართული კინოფილმი; 8. გრძელი ფართო წამოსასხამი; 10. შენობის კედლების ზევითა ნაწილების შემაერთებელი, გადამხურავი ნაგებობა; 12. კოშკის ან კედლის ძველებური საათი; 15. მონარქიული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში იმპერატორი უდგას; 16. აბრა; 17. რაიმე დარგის გარკვეული ცნების ზუსტად გადმოცემული სიტყვა; 19. ხმელთაშუაზღვის კუნძული; 24. ველი, მინდორი; 26. ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 28. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 30. ბზისა და ხორბლის შესახვეტი ხის იარაღი კალოზე; 31 ჰომეროსის პოემა; 32. ომნიბუსის, დილიჟანის ზედა ნაწილი, მეორე სართული მგზავრების დასასხდომად.

შვეულად: 1. ჩრდილოეთ აფრიკის მაჰმადიანი არაბი; 2. მეჭერმეტყველი; 3. ლექსში გარკვეული წესით გამეორებული ტაეპი; 4. ჩილეს ქალაქი; 5. ცხრასტრიქონიანი სტროფი; 7. გაღივებული, გამხმარი და დაღერღილი მარცვლეული; 8. პატარა ფერადი სურათი ან მოხატული მხატვრული ასო ძველ ხელნაწერებში, წიგნებში; 9. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ამერიკაში; 10. გემის ფსკერის მთელ სიგრძეზე გადებული ძირითადი კოჭი; 11. სხვადასხვა ფერის ქაღალდის ან ქსოვილის ნაჭრების დაწებებით შექმნილი ნახატი, ორნამენტი; 13. ერთპალატიანი პარლამენტი ფინეთში; 14. ციხესიმაგრე და ქალაქი შუა საუკუნეების სომხეთში; 18. ზამში; 20. ახმეტის რაიონის სოფელი; 21 ქართველი საოპერო მომღერალი; 22. ცხვრის მატყლიანი ტყავი; 23. მეტყველების ნაწილი; 25. საუკეთესო ხარისხის სახიანი აბრეშუმის ქსოვილი; 27. მეტეოროლოგიური მონაცემების ჩამწერი პატარა აეროსტატი; 29. სამხედრო პარადებისა და სამწყობრო ვარჯიშისათვის განკუთვნილი მოედანი.

ჯროსვორდი შეადგინა ა. ხერხეულიძემ

მე-11 ნომერში გამოქვეყნებული ჯროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. დიოსკურია; 5. თურდი; 7. ციკლი; 9. ტრეკი; 10. ყურსი; 11. პიესა; 13. დალია; 15. შპური; 17. ხიხვი; 18. თურლაი; 19. „ილიონი", 20. შიფრი; 22. აჩაჩა; 24. აპარა; 28 იონჯა; 31. ბანძა; 32. ადადი; 33. ირემი; 34. ლორკა; 35. იუმორესკა.

შვეულად: 1. სოფიტი; 2. გრაცია; 3. დარაია; 4. ალკაპი; 5. თერგი; 6. რევიუ; 8. „იმედი"; 10. კლავესინი; 12. აკვატორია; 14. აბული; 15. შხარა; 16. იალტა; 17. ხანკა, 21. რანგი, 23. ალთაი; 25. ჭანბა; 26. იაფეტი; 27. იბერია; 29. საირმე; 30. სილოსი.

გარეკანის პირველსა და მეოთხე გვერდებზე: საირხეში მოპოვებული უძველესი კულტურის ნიმუშები.

ჩემპიონი კვლავ ჩემპიონია

საბჭოთა კავშირის XXV ჩემპიონი უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდებს შორის ქართული რეგბის დიდი გამარჯვებით დამთავრდა. ქუთაისის „მშენებელის“ ოსტატ რეგბისტთა გუნდი 1988 წელს ზედიზედ მეორედ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი.

1987 წელს რიონისპირელი რეგბისტების მიერ მოპოვებულმა ჩემპიონის ოქროს მედლებმა და თასმა ბევრი გულშემატკივარი გააოცა. ზოგმა ეს სენსაციად მონათლა. დაიწყო თუ არა 1988 წლის XXV საკავშირო ჩემპიონატი, ქუთაისელი რეგბისტები სატურნირო ცხრილის ხათავეში მოექცნენ. ეს მიღწევა მათ ხელიდან არ გაუშვიათ ფინიშამდე. რაღა თქმა უნდა, ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა გააფთრებით იბრძოდა, მაგრამ ქართველების სახახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ღირსეულად ეჭირათ თავი ამ მარათონულ პირველობაში. მარტის ბოლოდან ოქტომბრის დასაწყისამდე არ დამცხრალა ოვალური ბურთის ოსტატთა ვნებათაღელვა. გამოვლინდა ოთხი უძლიერესი გუნდი, რომლებმაც სუპერფინალურ ტურნირში გააგრძელეს ბრძოლა პირველი, მეორე და მესამე ადგილის მოსაპოვებლად: ქუთაისის „მშენებელი“, კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაუსტროი“, ქ. მონინოს (მოსკოვის ოლქი) იური გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის და ალმა-ათის არმიის სპორტული კლუბის რეგბისტთა გუნდები. ამ კვარტეტშიც იყო ორი გამორჩეული გუნდი. გულშემატკივართა ვარაუდით ოლიმპზე ასასვლელად ქუთაისელ და მონინოელ მორკინალებს უნდა ებრძოლათ. ეს ვარაუდი გამართლდა კიდევაც. საბჭოთა რეგბის აღიარებულ ლიდერს, ქვეყნის ცხრაგზის ჩემპიონს და ხუთგზის თასის მფლობელ მონინოელებს ბოლო ხუთი წელია საკავშირო ჩემპიონატში ქუთაისელი რეგბისტების სახით უძნელეს მეტოქესთან აქვთ საქმე.

მოხდა ისე, რომ 1988 წლის 7 ოქტომბერს XXV ჩემპიონატის ბოლო გადამწყვეტ მატჩში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს ქუთაისში. მონინოელების მდგომარეობა უფრო მწვავე გამოდგა. თუ წააგებდა, გუნდი საპრიზო სამეულის მიღმა რჩებოდა, ხოლო ქუთაისელი რეგბისტები გამარჯვების შემთხვევაში მეორედ ხდებოდნენ ჩემპიონები. მონინოელები ქართველმა რეგბისტებმა 1988 წლის ჩემპიონატის მსვლელობისას სამჯერ დაამარცხეს. ასეთი რამ არ ახსოვს ამ ტიტულოვან გუნდს. გადამწყვეტი მატჩი, რაღა თქმა უნდა, ძალზე დაძაბულად წარიმართა. 80 წუთის განმავლობაში ქუთაისის ცენტრალური სტადიონის რეგბის თაყვანისმცემლებს მღელვარება და სიხარული არ განელებიათ. ეს იყო საბჭოთა რეგბის ორი უძლიერესი გუნდის საუკეთესო მატჩი. ქართველმა რეგბისტებმა დაჯაბნეს შეუპოვარი მეტოქე, გაიმარჯვეს (16:9) და მეორედ ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ამ გამარჯვებას ჰედნენ: რობერტ ობოლაძე, ნიკოლოზ ნემსიწვერიძე, თამაზ ოდიშარია, თენგიზ ტურძელაძე, ალექსანდრე ნაჭყებია, ბესარიონ ლილუაშვილი, ალექსანდრე გრიგალავა, ავთანდილ დეიხაძე, ოლეგ ლიპარტელიანი, პაატა ძოწენიძე, ოლეგ ყორეოლიანი, ბათლომე ხამაშურიძე, ზაზა თხელიძე, მიხეილ ხარშილაძე, ნუგზარ ძაგნიძე, თამაზ ფხაკაძე, მამუკა ლოსაბერიძე, კახაბერ გაბრიჭიძე, გიორგი ბაბუნაშვილი, მათე ხვანიძე, გელა ფირცხალავა, დავით იობიძე, მამუკა ჭიქაბერიძე, ალექსანდრე გაბიძაშვილი, იგორ მარიამიძე, ალექსანდრე ისაკაძე და ხვიჩა გეგეელია.

„მშენებელს“ მესამე წელია დაუბრუნდა წარსულში ამ გუნდის შესანიშნავი მოთამაშე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დუგლას კავთელაშვილი. გამჩრიახმა მწვრთნელმა ხამი სეზონიდან ორში „ოქრო“ მოიმკო. შედეგიც ამასა ჰქვია.

ქუთაისელმა რეგბისტებმა ყველა სინჯის მედალი მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატში: 1984 წელს — მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები, 1985 წელს — ბრინჯაო, 1987 და 1988 წელს — ჩემპიონობა და ოქროს მედლები. ამასთან, 1987 წელს გუნდმა პირველად დაისაკუთრა სსრ კავშირის თასი. საერთოდ კი ქუთაისელი რეგბისტები 10 წელია უმაღლესი ლიგის ბინადრები არიან. ბოლო ხუთ წელიწადში მათმა მიღწევებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ეს ყველაფერი გამოწვეულია აქაური რეგბისტებისა და მათი მწვრთნელების სწორი დამოკიდებულებით ამ თამაშის მიმართ. მათ თავდავიწყებამდე უყვართ ოვალური ბურთი, მისი მრავალსახეობანი შინაარსი და თვით ამ თამაშის ვაჟკაცური ხასიათი.

ქუთაისი რეგბის საიმედო ცენტრი გახდა სსრ კავშირში. ახლა მთავარია, არ შენელდეს ეს აღმასვლა. ვფიქრობთ, ქუთაისელი რეგბისტები საიმედო მომავალი თაობის წყალობით კარგად დაწყებულ საქმეს კიდევ უფრო გაღრმავებენ და საინტერესოს გახდიან.

ლელობურთის სამშობლოში — საქართველოში რიონისპირელი ათლეტების დამსახურებით რეგბი მართლაც შინაურული სპორტის სახეობა გახდა.

კვლავ გამარჯვების საამაყო გზებით გევლოთ, ოვალური ბურთის ქუთათურო ოსტატებო!

გაგრიელ გარჯაძე,
საქართველოს რეგბის ფედერაციის წევრი

გინესის წიგნამდე დიდი გზაა...

მოხდება თუ ვერა გინესის რეკორდების წიგნში ზაქრო ცირეკიძე, დღეს ამის თქმა ძნელია, ის კი ფაქტია, რომ ბურთის აკენწვლაში მისი მიღწევები უკვე უკვალოდ ეგებ ამსახურებს.

რეკორდის დამყარებაზე არც ფიქრია, ან კი როგორ იფიქრებდა ოთხი წლის ტყიბულელი ბიჭუნა 1966 წელს, როცა თბილისში სტუმრად ყოფნისას ხხვათა მიბაძვით ბურთის კენწვლამ გაიტაცა.

ამ გატაცებამ, დღემდე რომ არ განელებია, შარშან გულმოდგინე ვარჯიშის შედეგად თვალსაჩინო წარმატება მოუტანა ჭაბუკს:

ტყიბულის სტადიონს ბურთის კენწვლა-კენწვლით ოთხ საათსა და თხუთმეტ წუთში ჩვიდმეტჯერ შემოუარა სარბენი ბილიკით;

ორპირის საშუალო სკოლის მოედანზე ხუთ საათსა და 54 წუთში 36, 363-ჯერ აკენწლა ბურთი მიწაზე დაუშვებლად ფეხების, მუხლების, თავისა და მკერდის დახმარებით;

თბილისისა და კიევის დინამოელთა შეხვედრის დღეს ბურთს სამი საათისა და 50 წუთის განმავლობაში კენწლავდა და ალბათ კიდევ დიდხანს განაგრძობდა ასე, მძლეოსნური გარბენის გამო ხელი რომ არ შეეშალათ;

ასევე შეაწყვეტინეს მას ბურთის კენწვლა შატილობაზე, ხევსურეთში, თორემ საათნახევარს ბევრად გადააჭარბებდა;

ამას წინათ კი ორპირის საშუალო სკოლის სტადიონზე ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი შესაძლებლობა (ალბათ, არასრულად): 10 საათის, 17 წუთისა და სამი წამის მანძილზე 85.500-ჯერ აკენწლა ბურთი ძირს დაუშვებლად.

ერთი სიტყვით, თუ ზაქრო ცირეკიძეს სათანადო პირობებს შეუქმნიან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის გზას გაიკაფავს გინესის წიგნისაკენ.

სეკრეტული ჯაშუშობა



კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო ფართოვდება ნადირობა მეცნიერულ და ტექნიკურ სიახლეებზე. ამას დიდად უწყობენ ხელს ელექტრონული ხელსაწყოები და მოწყობილობები. დღეს ასეთი „იარაღით“ ფართოდ არის აღჭურვილი კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო დაზვერვა და კონტრდაზვერვა.

„ლაზერის ყური“

იყო დრო, როცა ცალკეული ფირმებისა და კომპანიების მეპატრონეები თავიანთ თანამშრომლებს აფრთხილებდნენ, ნაკლები ილაპარაკეთ, ფრთხილად იყავით, კედლებსაც ყურები აქვთო. ახლა ამ გამაფრთხილებელმა ფრაზამ გადატანითი მნიშვნელობა დაკარგა.

ერთ-ერთმა უცხოეთის ფირმამ გულმოდგინედ შეისწავლა... ფანჯრის მინის თვისება და დაამზადა „ლაზერის ყური“. იგი საშუალებას იძლევა, რამდენიმე ასეულ მეტრზე შეიგრძნონ ფანჯრების ვიბრაცია და შორიდან მოიხმინონ, რას ლაპარაკობენ ოთახში. „ლაზერის ყურის“ მოქმედების პრინციპი მარტივია. თურმე ოთახი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მოქნილი მინისკედლიანი ტელეფონის მემბრანის ყუთი. ლაპარაკის ზეგავლენით აკუსტიკური წნევა განუწყვეტლივ იცვლება და მინის კედელი ამ ცვალებადობის ტაქტით ირხევა. რხევა ძალზე უმნიშვნელოა — ინგარიშება მიკრონებით. მაგრამ ეს სრულიად საკმარისია, რომ იგი აღმოაჩინოს ძალზე წვრილმა ლაზერის სხივმა. მინიდან არეკლილი სხივი იწყებს ზონარზე აკუსტიკური წნევის გამოხაზვას, რაც შეეხებამება ოთახში მყოფ მოხაუბრეთა არტიკულაციას.

კედლები ახლა მართლაც ყველარ ფარავენ საუბრის შინაარსს.

ქურდობა შეხსიერების ბლოკებიდან

თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია სწრაფმოქმედი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოუყენებლად. ცხადია, ბევრი ფირმის მანქანის ბლოკში რჩება კოდირებული ინფორმაცია, რომელიც ძალზე საინტერესოა სხვა ფირმისათვის.

ამერიკის პოლიციამ სან-ფრანცისკოში დააპატიმრა 29 წლის ინჟინერი უორდი. იგი სისტემატურად იპარავდა ინფორმაციას ქალაქ ოკლენდის ერთ-ერთი ფირმის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მეხსიერების ბლოკებიდან.

ამ ფირმის შემკვეთები საიდუმლო ტელეფონის ნომრის აკრეფით მანქანიდან იღებდნენ ინფორმაციას. უორდმა დაადგინა ეს ნომერი. იგი ხარგებლობდა თავის ტელეფონთან მიერთებული საბეჭდი მოწყობილობით და დაიწყო მანქანიდან საიდუმლო ცნობების მიღება. უორდის მიერ მოპარული ინფორმაციის ღირებულებამ ათი ათასობით დოლარს მიაღწია.

ქურდს მაშინ მიაგნეს, როცა მანქანის ავტომატიკა ამუშავდა და სიგნალი აინთო, რომელიც იუწყებოდა, სწორად არ მიყენებენო.

ასე რომ, ელექტრონული მანქანები თვით გარდაიქმნენ სეიფებად, რომლებიც ვერ გაიღება ელექტრონული გასაღების გარეშე.

არაჩვეულებრივი შაშხანა

იგი დაამზადეს ამას წინათ ინჟინერებმა და კონსტრუქტორებმა, რომლებიც მონოპოლიებს ემსახურებიან. ეს შაშხანაც ტყვიას ისვრის, მაგრამ ტყვიაც არაჩვეულებრივია.

ვთქვათ, საჭიროა, მოუსმინონ მეზობელი ფირმის ხელმძღვანელების საუბარს. სამრეწველო დაზვერვის აგენტი ოპტიკური სამიზნის დახმარებით შაშხანას უმიზნებს კაბინეტის ფანჯრის ჩარჩოს და ესვრის ტყვიას. ტყვია ერჩობა ჩარჩოში და აგენტი ისმენს, რაზე საუბრობენ კაბინეტში.

კი მაგრამ, როგორ?

უბრალოდ, ტყვიაში მოწყობილია ბაღალმგრძნობიარე წაგრძელებული ფორმის მიკროფონი და მინიატიურული რადიოგადამცემი. დიახ, ტყვია „უსმენს“ ფირმის ხელმძღვანელთა საუბარს და ჯაშუშს გადასცემს.

ქალაქ აბერდინში (აშშ) ერთ-ერთმა სამეცნიერო-კვლევითმა ლაბორატორიამ დაამუშავა აპარატი, რომელიც საშუალებას იძლევა, „კედლის იქით დაინახონ“. აპარატის უმთავრესი ნაწილია რადიოლოკაციური მოწყობილობა „აპ-14“. მას პენტაგონი ვიეტნამის ჯუნგლებში პარტიზანების მოსაძებნადაც იყენებდა.

რადიოგადამცემი... კბილში

სამრეწველო ჯაშუშობისთვის ინჟინერებმა დაამზადეს პარაბოლური ელექტრონული მოწყობილობები, რომელთა საშუალებითაც ობიექტიდან შორ მანძილზე მაგნიტურ ლენტაზე ჩაიწერება ამ ობიექტზე წარმოებული ლაპარაკი. თურმე მიწისქვეშა სატელეფონო ლაპარაკის მოსმენაც შეიძლება ისე, რომ კაბელს არავითარი ხადენი არ მიეერთდეს. ჩვეულებრივი ტელეფონი ადვილად გადაიქცევა მიკროფონად, თუნდაც ყურმილი დადებული იყოს.

დასავლეთ გერმანიის ფირმამ „პოჩკემ“ დაამზადა განსაკუთრებულად მგრძნობიარე სტეტეხკოპები. მათი დახმარებით შეიძლება ლაპარაკის მოსმენა არა მარტო კედლის იქით ოთახში, არამედ მეზობელი ოთახის გვერდითა ოთახშიც.

ერთ-ერთი იაპონიის ფირმის საფინანსო მდგომარეობის გაგება დასჭირდა მოქიშპე კომპანიის ხელმძღვანელობას. ძალზე გაუჭირდათ. და უცბად ცნობილი გახდა, რომ ფირმის მთავარ ბუღალტერს კბილი ახტეოდა. აგენტებმა დევნა დაუწყეს მთავარ ბუღალტერს.

კი მაგრამ, რა შუაში იყო კბილის ავადმყოფობა ფირმის საფინანსო მდგომარეობასთან?

ერთი შეხედვით, ეს მართლაც საკვირველია.

მაგრამ სამრეწველო ჯაშუშობის სპეციალისტებმა იცოდნენ თავის საქმე. მათ მორიგეობა დაიწყეს კბილის ექიმთან, რომელთანაც მოვიდა ფირმის მთავარი ბუღალტერი სამკურნალოდ. დიახ, საჭირო იყო ავადმყოფისთვის ჩაედოთ სპეციალური პლომბი. ექიმმა დავალება შეასრულა და ბუღალტერს პლომბი მოარგო, რომელშიც მინიატიურული რადიოგადამცემი იყო მოწყობილი. და აი, როცა მთავარი ბუღალტერი სამსახურში ლაპარაკობდა თანამშრომლებთან, ფირმის ... დიდ ვალებზე, ყველაფერი ეს ... ფირმის ჯაშუშებს შესანიშნავად ესმოდათ. ბანკებმა უარი უთხრეს ფირმას სესხის მიცემაზე და ისიც მალე გაკოტრდა.

მაგრამ მარტო კბილის პლომბში ფარულად ჩადგმული რადიოგადამცემი როდია თანამედროვე მინიატიურიზაციის ნიმუში. ინჟინრები მაგნიტოფონებს თავსებენ ბურთულიან კალმისტრებში და „ზაე-გალკებში“. მათ სუვენირებად სთავაზობენ ხტუმრებს და მათზე უარს ვინ იტყვის?

მაგნიტოფონები მხოლოდ მაშინ ირთვებიან, როცა „სუვენირების“ მფლობელები ლაპარაკს იწყებენ.

„ელექტრონული ჯაშუშები“ ხად არ იდგმება: თუნდაც ანანთის ყუთებში, მაჯის საათებში, პორტსიგარებში და გულზე დაკიდულ ორდენებშიც... დიახ, იმიტომ, რომ ლაპარაკი შორ მანძილზე მოიხმინონ დაქირავებულმა სამრეწველო ჯაშუშებმა.

მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრი განსაცვიფრებელი მიღწევა გამოყენებულია იმისთვის, რომ დამზადდეს ზემინიატიურული მიკროფონები. ისინი ღილებშიც კი ეწყობა.

მილიონები კონტრდაზვერვას

შვეიცარიაში დააპატიმრეს კომპანია „ექსპორტ-იმპორტის“ თანამშრომელი ჰანს შტრეკერი და მსხვილი საავიაციო ფირმა „შულციხ“ რეაქტიული ძრავების განყოფილების უფროსი ალფერდ ფრაუენკნეხტი, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში ისრაელის დაზვერვის სამსახურში იყვნენ.

ფირმა „შულცი“ ფრანგული ლიცენზიით ამზადებდა ძრავებს „მირაჟის“ ტიპის ავიაგამანადგურებლებისათვის. ფრაუენკნეხტი ძრავების საიდუმლო ნახაზებს ოპარავდა. ჰოლო შტრეკერი მათ ისრაელში გზავნიდა. მათ შეძლეს ნახაზებით სავსე ოცდაათი უუთიდან ოცის მოპარვა და გადაგზავნა.

ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში სამრეწველო ჯაშუშობის წინააღმდეგ შექმნილია სახელმწიფო და კერძო სამრეწველო კონტრდაზვერვა. ერთ-ერთი სამრეწველო უშიშროების საagენტო „უეკენჰატი“ 20 მილიონ დოლარს იღებს წელიწადში, აქვს 22 განყოფილება ამერიკის შეერთებულ შტატებში და 12 ლათინური ამერიკის ქვეყნებში. 3.500 დეტექტივი, რომელთა შორის ბევრი მაღალკვალიფიციური ინჟინერია, „კეთილსინდისიერად“ მუშაობს ამ საagენტოში. საagენტოს მუდმივი კლიენტია 300 მსხვილი ამერიკული ფირმა.

სამრეწველო ჯაშუშობის agენტებად, როგორც წესი, ფირმები და კონპანიები ღებულობენ სახელმწიფოთა სპეციალური სამსახურების ცალკეულ ადამიანებს.

ანდრე ციხკარიძე.

ნიანგი ჰაკნამის ჩეოზაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაილანდში ყოფნისას ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ნიანგების ფერმამ. ხანამ ამ თემაზე ვისაუბრებდეთ, დავახასიათოთ თვით ეს რეპტილია.

ამჟამად ნიანგები შემორჩნენ მხოლოდ ძნელად მისაგნომ, ჭაობიან ადგილებში და იქაც განადგურების ზღვარზე დგანან. რატომ? ნიანგის ტყავისაგან მზადდება ძვირფასი ხელჩანთები, ფეხსაცმელი, ქამრები, საფულეები და სხვა ათასგვარი წვრილმანი. აი, ამ გარემოებამ შეუქმნა უძველეს რეპტილიებს გადაშენების საფრთხე! ბრაკონიერები ახერხებენ ნიანგის ადგილსამყოფელის თუნდაც ყველაზე მიყრუებულ, ანდა კანონით დაცულ ადგილებში შეღწევას.

ცნობილ კინოანიმალისტ ჰაინც ზილმანს მოჰყავს ასეთი ფაქტი: ფლორიდაში (აშშ) ჭაობის უზარმაზარი ფართობები განაკრძალებულია. ნაციონალური პარკის მუშაკები ბრაკონიერთა ხელყოფისგან მკაცრად იცავენ ნაკრძალს.

მიუხედავად ამისა, არიან თავზეხელაღებული ადამიანები, რომლებიც ყოველგვარ რისკზე მიდიან. ისინი ტივის მსგავსი ნაგებობებით აღწევენ ნაციონალური პარკის ნებისმიერ ლაბირინთში და ალიგატორებს ყელში ჰარპუნის ტყორცნით ხოცავენ. მართალია, მცველები ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით არიან შეიარაღებულნი, მაგრამ ბრაკონიერები ხშირად შესანიშნავად ახერხებენ მიმალვასა თუ შენიღბვას. თუმცა ზოგჯერ თავს მაინც ვერ შველიან, მაგრამ ჯარიმა ახლოსაც ვერ მიდის მათი ბნელი საქმიანობით მიღებულ შემოსავალთან.

ამიტომ თუ ფლორიდის ნაციონალური პარკის მესვეურები სერიოზულად არიან შეფიქრიანებულნი ქვეყნის უკანასკნელ ალიგატორთა ყოფნა-არყოფნით, მაშინ გასაგებია, როგორი ხასიათი ექნება რეპტილიებზე ნადირობას სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში! ამ კონტინენტთა ბევრ ქვეყანაში ხომ ნიანგებზე ნადირობა პრაქტიკულად შეუზღუდავია.

მაგალითად, საქმეში ჩახედული ადამიანები თვლიან, რომ თაილანდში მობინადრე ნიანგის სამი სახეობა რამდენიმე წელიწადში შეიძლება საერთოდ გადაშენდეს. მართალია, ბუდიზმი კრძალავს ცხოველთა ხოცვას, განსაკუთრებით კი იმ სახეობისას, რომლებიც საკვებად არ გამოიყენება, მაგრამ ბევრი ადგილობრივი მონადირე არაფრად აგდებს სულიერ მამათა შეგონებებს. ისინი დანახვისთანავე დაუფიქრებლად ესვრიან ან ამპარპუნებენ ქვეწარმავალს, ვინაიდან ერთი ნიანგისაგან მიღებული თანხა ბევრად აღემატება ერთი თვის თავაულებელი შრომით მიღებულ შემოსავალს. ბოლო დროს ზოგიერთ ქვეყანაში ეს პრობლემა დადებითად გადაჭრეს. ლაპარაკია ნიანგის ფერმებზე.

ერთ-ერთ ასეთ ფერმას გავეცანი თაილანდში. იგი მოწყობილია მდინარე პაკნამთან, რომლის ცხელი და ტენიანი დაბლობი საუკეთესო პირობებს ქმნის რეპტილიების გასამრავლებლად. ეს იდეა პირველად თავში მოსვლია ფერმის დამაარსებელსა და მეპატრონეს უტაის. იგი დიდი ხნის განმავლობაში ვაჭრობდა ნიანგის ტყავით, მაგრამ მონადირეებისაგან ქვეწარმავალთა ისეთი ტყავის ყიდვა, რომელზედაც მოსახლეობაში ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა, ყოველთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა. ყველაზე ძვირფასი საგნები მზადდება მეტრანახევარი სიგრძის სამწლიანი, ე. ი. ახალგაზრდა ნიანგებისაგან. გასაგებია, რომ მონადირეებს ყოველთვის არ მიუწვდებათ ხელი სწორედ ასეთ ეგზემპლარებზე.

ქვეწარმავლებს კვებავენ გადამუშავებული თევზის ნარჩენებით. ეს საკვები ძალიან იაფია. ნიანგის კვერცხების ინკუბაცია ხდება სპეციალურ კამერებში. თითოეული კამერის დიამეტრი ოთხი მეტრია. კვერცხების დადების წინ მასში შეძვრება ხოლმე დედალი ნიანგი. მოსამსახურე პერსონალი ყოველნაირად უწყობს ხელს ცხოველის კრუხობას. თავიდანვე შეაქვთ ბუდეში სამშენებლო მასალა— შლამი, ქვიშა, ლპობადი ფოთლები. მთელ ამ მასას ნიანგი უკანა ფეხებით თითქმის ერთი კვირის განმავლობაში აწყობს თავის ჭკუაზე, რაც მშვენიერი სათესერია კვერცხებისათვის.

კვერცხის დების დროს ნიანგს თვალებიდან სითხის მსხვილი წვეთები, ყველასათვის კარგად ცნობილი „ნიანგის ცრემლები“ ცვივა. მაგრამ ეს პროცესი არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ცხოველის ემოციურ განწყობილებას — „სიხარულს“ ანდა „მწუხარებას“. საქმე ის არის, რომ ყველა ნიანგს თვალები დაცული აქვს თხელი ტყავისებური გამჭვირვალე ეპკით, რაც ქვეწარმავალს წყალქვეშ ყურების შესაძლებლობას აძლევს. ხხეულის ძლიერი დაძაბვისას (და ეს სწორედ კვერცხის დადებისას ხდება) თვალის ეპკი სკდება, ქუთუთოები გუგაზე დაგროვილ სითხეს ერთად აგროვებენ და, როგორც ნამდვილი ცრემლები, ძირს ცვივიან.

ხუთი წუთის განმავლობაში დედალი დებს 20-25-მდე კვერცხს. ნიანგი მის მიერვე მომზადებულ ბუდეებში კვერცხებს კუდით თავს უყრის. ასეთი გროვის სიმაღლე 70 სანტიმეტრს აღწევს. ამის შემდეგ ნიანგს ბუდიდან „გამოაგდებენ. ახე მთავრდება რეპტილიის დედური მოვალეობა. მთელ დანარჩენ მზრუნველობას ადამიანი თავის თავზე იღებს. ამას იგი გაცილებით უფრო მეტი რუდუნებით აკეთებს, ვიდრე კრუხი — ნიანგი. ბუდეში ტემპერატურისა და ტენის შენარჩუნება ნაწილობრივ ტროპიკების ბუნებრივი ხელსაყრელი კლიმატის წყალობით ხდება, მაგრამ, თუ ბუდეში სითბომ ცელსიუსით 37 გრადუსს გადააჭარბა, მაშინ ტემპერატურას აქვეითებენ. ღამით, როცა აგრილდება, „ინკუბატორს“ კვლავ უმატებენ ნაგავს. ასევე მთავარია ბუდეში საჭირო ტენის შენარჩუნება. როგორც კი ბუდე გვერდიდან იწყებს გამოშრობას, მას მაშინვე რწყავენ. 65-80 დღის შემდეგ იჩეკება ნიანგის წიწილები.

იმჟამად ფერმაში 3500-მდე რეპტილია იყო. მიუხედავად მომსახურე პერსონალის დიდი ზრუნვისა, ნაჩეკის 20-30 პროცენტი პირველ წელსვე იღუპება. რა თქმა უნდა, ბუნებაში ნიანგების გამრავლება გაცილებით ცუდად მიმდინარეობს. მთავარი მიზეზია ის, რომ ბუდეში ტემპერატურა და ტენის რეჟიმი ცვალებადობს. გარდა ამისა, ჯუნგლებში ცოტა როდია ნიანგის კვერცხების მტერი. ასეთებია ვარანი, მანგუსტა, პავიანი და ა. შ. გამოჩეკილ ნიანგებს ემტერებიან არწივი, ბუ, სვავი, მარაბუ და თვით ზრდასრული ნიანგებიც. სპეციალისტთა დაკვირვებით, ბუნებრივ პირობებში იღუპება ნიანგის მიერ დადებული კვერცხების ნახევარზე მეტი, ხოლო გამოჩეკილი ინდივიდებიდან იზრდება და სქესობრივ სიმწიფეს აღწევს ერთი ნაჩეკის მხოლოდ 5 პროცენტი.

სულ სხვა ვითარებაა ფერმაში. გარდა იმისა, რომ ხელოვნურ პირობებში გაცილებით მეტ რეპტილიებს ზრდიან, ვიდრე ეს ბუნებაში ხდება, ფერმაში გამოზრდილი ნიანგების ტყავი უკეთესი ხარისხითაც გამოირჩევა. ყველაფერი ეს ბიზნესის საუკეთესო პირობებს უქმნის თადარიგიან და ყაირათიან პირებს.

ნიანგების ასეთი წესით მომრავლებას კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს — ბრაკონიერებს იოლი გამდიდრებისადმი მადას უკარგავს. ამიტომ ბუნებაში მომრავლებულ ნიანგებსაც ნაკლები ზიანი ადგებათ. ფერმებში არც უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა ნიანგები იკარგებიან ტყუილუბრალოდ: მათ ფიტულებს სიამოვნებით ყიდულობენ ტურისტები.

თაილანდში, ბანგკოგიდან 100-120 კილომეტრის დაშორებით ნიანგების მეორე, უფრო პატარა ფერმაც არსებობს, სადაც აწყობენ ეგზოტიკურ სანახაობა-შოუს. შეებერთელა გალიაში მოთავსებულია რამდენიმე ნიანგი. ახალგაზრდა კაცი შედის ნიანგებთან და მუსიკის გრიალსა და მაყურებელთა აპლოდისმენტების ხმაურში ხშირად ასრულებს ქსოცილისათვის ათობით სარისკო ტრიუკს.

ყველაზე დასამახსოვრებელია ასეთი ნომერი: განსაკუთრებული ტრიუკის შემდეგ ნიანგების მწვრთნელს ტაშის გარდა მაყურებელი ფულითაც აჯილდოებს. მნახველები მომთვინიერებლებს უყრიან როგორც ლითონის მონეტებს, ისე ქაღალდის კუპიურებს. ახალგაზრდა კაცი იღებს რამდენიმე ქაღალდის ფულს, მიდის ყბადაღებულ 2-3 მეტრი სიგრძის ნიანგთან და ხახაში უჩრის ბანკნოტებს. შემდეგ უბრძანებს, არ დახუროს ყბა და მოედანზე 2-3 წუთი ბოლთასა სცემს. ყბადაღებული ნიანგი ოლიმპიური სიმშვიდით განაგრძობს ერთ ადგილას წოლას. შემდეგ მწვრთნელი ხელახლა მიდის ნიანგთან და დიქტორის დამარცვლული ქათინაურების აკომპანიმენტზე ნელ-ნელა უყოფს ქვეწარმავალს ხახაში ხელს და იბრუნებს ფულს.

ჩემთვის ეს ტრიუკი იმდენად არის გაუგებარი, რამდენადაც ნიანგი ნაკლებად განვითარებული ინტელექტის მქონე ცხოველია. რეპტილიის „მწვრთნელიც“ სრულიად პირობითი ცნებაა, რადგან დაბალი ინტელექტის მქონე ცხოველის გაწვრთვნა შეუძლებელია. ამიტომ, საკვირველია, სათანადო ბრძანების (რაც ნიანგისათვის არაფერს არ უნდა ნიშნავდეს) შემდეგ რეპტილია რატომ რჩება გარკვეული ხნის განმავლობაში უბადაღებული? რატომ არ ულაპაჭს ხახაში ჩაჩრილ ქაღალდის ფულს და ბოლოს, რატომ არ ერჩის შოუმენს?...

არნოლდ ბეგეჯანოვი.

ვადაეცა წარმოებას 1. 11. 88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. XII. 88. უე 01589. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,6, საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.000. შეკვეთა 2769. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

საქართველოს კულტურის ფონდის მოძრავი გამოფენა

საქართველოს კულტურის ფონდმა მოაწყო საქველმოქმედო გამოფენა-ლექტორიუმი კიროვის სახელობის [illegible] ნებელ ქარხანაში.

გამოფენა მიზნად ისახავდა, გაეცნო ქარხნის მშრომელებისთვის ქართული საბჭოთა მხატვრობის განვითარების გზა.

აქ წარმოდგენილი იყო 30 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი მხატვრის სახლის ფონდებიდან შერჩეული სურათები მოიცავდა ქართული საბჭოთა მხატვრობის განვითარების ყველა ეტაპს, დაწყებული 20—30-იანი წლებიდან, დამთავრებული 80-იანი წლებით.

მშრომელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ლ. გუდიაშვილის, ვ. შერპილოვის, ა. ვარაზის, თ. მირზაშვილის ტილოებმა.

კულტურის ფონდს დაგეგმილი აქვს შემდგომში ანალოგიური გამოფენების განხორციელება, თბილისის და რესპუბლიკის სხვა ქალაქების დიდ საწარმოებში.

ლექციას ატარებს საქართველოს კულტურის ფონდის ხელოვნებათმცოდნე ნინო გედევანიშვილი

ფოტო იური რიდალოვისა

გამოფენას ათვალიერებს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არმენ მირზოიანი









ეროვნული
ბიბლიოთეკა